გაზეთი ზიდრიდა, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№145 (752) 19 - 20 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემა

სქემა საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა შეიმუშავა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსის, ჯაბა ებანოიძის ხელით განახორციელა

საქმე, რომელიც სააკაშვილსა და გილაურს შეიწირავს!

გვ. 3

დავით თარხან-მოურავი: „პარტიას არავის დასამარცხებლად არ ვქმნით – იგი საქართველოს გასამარჯვებლად იქმნება!“

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 19 დეკემბერს დაფუძნდება

გვ. 6

ახალი სკანდალი კუს ტბის ირგვლივ

ბესო ხარძიანსა და ბუბა კიკაბიძეს პროკურატურაში უჩივიან და კუს ტბის „ახევაში“ ადანაშაულებენ

გვ. 5

20 გვერდი

მოიხსნება თუ არა დაწესებული შეზღუდვები პრესტიჟული ფაკულტეტების დაფინანსებაზე

გვ. 10

ვინ არის ყვარლის ახალი გამგებელი, რომელმაც „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად კანადაში ბიზნესი მიატოვა

გვ. 9

სტატუსშეჩერებული სტუდენტები აქციებს იწყებენ!

მერიის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ლატაკ სტუდენტებს სტატუსს უჩერებენ!

გვ. 11

„ომის მოგებაც შეგვეძლო და როკის გვირაბამდე გაუჩერებლივ გასვლაც, მაგრამ ბრძანება არ მოგვცეს!“

გვ. 8

საქართველოში „მაიქროსოფთის“ პროგრამების 91% არალიცენზირებულია!

გვ. 12

მსოფლიო საქართველოში

სკანვორდი

სუდოკუ

კულტურა

ჰოროსკოპი

დაიჯესტი

სპორტი

facebook NEWS

„მატროსოვის ციხეში“ 26 პატიმარი შიმშილობის აქციას იწყებს

„ქართული პარტიის“ ცნობით, ე.წ. მატროსოვის ციხის 26 პატიმარი, რომლებიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანა, ამავე სიიდან გაურკვეველი მიზეზით ამოღებული, ლევან და კახა ტერაშვილების, დავით შიუკაშვილისა და შალვა საბაშვილის სოლიდარობის ნიშნად, შიმშილობის გამოცხადებას აპირებს.

მათი განცხადებით, ამორალურად და გაუგონარ ცინიზმად მიაჩნიათ, თვითონ ციხიდან გავიდნენ და ეს ადამიანები, რომლებიც მათი მეგობრები და თანამებრძოლები არიან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკნებში გამოკეტილი დარჩნენ.

„ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდექით, ერთად გადავიტანეთ წამება, დამცირება, შეურაცხყოფა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გაგვიჩნდა იმედი და რწმენა, რომ სამართალს ვიპოვიდით, ამიტომ ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, დაუსაბუთებელი მიზეზებით, ერთსა და იმავე საქმეზე დაკავებული პირებიდან ნაწილის პოლიტპატიმართა სიაში ჩასმა, ნაწილისა კი — არა. თხოვნით მივმართავთ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს და მის თავმჯდომარე ეკა ბესელიას, 19 დეკემბრამდე მოხდეს აღნიშნული ხარვეზის (როგორც თვითონ უწოდეს) გასწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, №9 საპყრობილეს ოცდაექვსი პატიმარი შეუერთდება შიმშილობის აქციას, რომელსაც ძმები ტერაშვილები და დავით შიუკაშვილი მეცხრე დღეა აგრძელებენ“, — აცხადებენ პატიმრები.

„ზილების საქმეზე“ მსჯავრდებული პატიმრების შიმშილობის აქციას, სოლიდარობის ნიშნად, უკვე შეუერთდა ქართული პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც თანაგუნდელებისთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. ამ საკითხზე კომენტარი უკვე გააკეთა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ არც ერთ პატიმარს შიმშილობას არ ურჩევს, რადგან **„პატიმრობა, თავისთავად, რთული მომენტია“. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, „ვინაიდან წინა ხელისუფლებამ იგი ძალით ჩასვა თვითმფრინავში და პრაქტიკულად, გააგდო ქვეყნიდან, ეს არაფრად არ შეიძლება შეფასდეს, თუ არა პოლიტიკურ დევნად. მისმა ყოფნამ წინა ხელისუფალი შეაწუხა და ის, ამ გზით თავიდან მოიშორეს. რაც შეეხება დღეევანდელ პატიმრობას, იმისთვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური პატიმარი, საჭიროა, სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მის დაუსწრებლად წარიმართა, იყოს მიყვანილი ბოლომდე და სიმართლე გაირკვეს. როგორც ვიცი, ის დაბრუნდა ქვეყანაში, რათა დაამტკიცოს, რომ მართალია“.**

„ვერსიანიუსი“

პოლიტპატიმრების საკითხების შემსწავლელი კომისია საქმეების შესწავლას განაგრძობს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტთან არსებული პოლიტპატიმრების საკითხების შემსწავლელი კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საქმეების შესწავლას კვლავაც განაგრძობს, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა და კომისიის წევრმა ნანა კაკაბაძემ. საქმეების შესწავლის მიზანი ხსენებული პირებისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებაა. კაკაბაძის განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი ძალისხმევითა და აქტიური მონაწილეობით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც აღიარა, რომ სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში ქვეყანაში მრავლად იყვნენ პოლიტიკური პატიმრები და პოლიტიკური დევნილები. ამავე დადგენილებით, პარლამენტმა დაადასტურა, რომ ასეთი კატეგორიის პირთა შორის დღეს საქართველოში 190 პოლიტიკური პატიმარი და 25 პოლიტიკური დევნილია. ეს კი სააკაშვილის რეჟიმისთვის საბრალდებო დასკვნაა, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე მისაბაძი დემოკრატიული მმართველის იმიჯი ჰქონდა შექმნილი.

როგორც ამავე კომისიის წევრმა, ლევან ჩიტიძემ განაცხადა, ზემოხსენებული პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების გარდა, ციხეებში დღემდე რჩებიან ადამიანები, რომელთა საქმეები შესწავლილი არ არის და შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა რაოდენობა ჯერაც უცნობია.

მისი ინფორმაციით, შესაძლოა, 2003-2012 წლებში პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა საერთო რაოდენობა 300-საც კი აღწევდეს. ამიტომ კომისია ყველა შესაბამისი პირის საქმეების შესწავლასა და იმ ადამიანებისთვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებას ითხოვს, რომლებიც უკვე გათავისუფლდნენ.

ლევან ჩიტიძის თქმით, ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკურ პიარგეგმას შეეწირნენ „კოჭოია“, მუხროვანის მოვლენებისა და ოპერაცია „ენვერის“ მონაწილეები.

„ადამიანებმა ჩვენებები წამების, არაადამიანური მოპყრობის, გაუპატიურებისა და მუქარის ქვეშ მისცეს. ისინი პოლიტპატიმრები არიან. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და საბოლოოდ, ნიუნბერგის პროცესი ჩატარდეს. ეს იყო აპარტეიდი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომლის მთავარი იდეოლოგი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ და რომელშიც ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიები, დავით საყვარელიძე და სხვები მონაწილეობდნენ“, — აღნიშნა ლევან ჩიტიძემ.

როგორც კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სანიმუშო დემოკრატიის ფასადის მიღმა გადახედვას, იქ მმართველობის კლასიკური ანტიდემოკრატიული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების აღმოჩენასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობას სააკაშვილის რეჟიმის მესვეურები სასტიკი პროტესტითა და თავგანწირული წინააღმდეგობით შეხვდნენ.

„რაც შეეხება სააკაშვილის რეჟიმისა და მისი ლობისტების ძალისხმევით გაბრუებული საერთაშორისო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელთაგან ზოგის შეცდომით და ზოგის ანგარებით ამ რეჟიმს ახალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის მისაბაძად მიიჩნევდა, უჭირს რეჟიმის დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი სრულიად აშკარა ფაქტების ჭეშმარიტების აღიარება, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათ ამ რეჟიმის შეფასებასა და გაძლიერებაში საკუთარი წვლილისა და შეცდომების აღიარებაც მოუწევთ. ამიტომაც ამ ეტაპზე, საერთაშორისო საზოგადოების ამ ნაწილისა და სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლების ინტერესები და პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა და ისინი საერთო ძალისხმევით ცდილობენ, არ დაუშვან სააკაშვილის რეჟიმის პირობებში პოლიტიკური დევნილებისა და პოლიტიკური პატიმრების არსებობის ფაქტების აღიარება“, — ნათქვამია განცხადებაში.

კომისიის წევრები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების არსებობა ფაქტებით განმტკიცებული ჭეშმარიტებაა და მას შეცდომაში შეყვანილი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ვერანაირი მცდელობა ვერ შეცვლის.

„მედიანიუსი“

ავიაკომპანია „აირზენა“ კიევის მიმართულებით 99 ევროდ იფრენს

ავიაკომპანია „აირზენამ“ კიევის მიმართულებით ფრენები განაახლა. როგორც საგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ კომპანიაში განუცხადეს, ავიაკომპანია კიევის მიმართულებით რეისებს ახალი, „ბოინგ 737“-ით შეასრულებს, რომელიც „აირზენამ“ სულ ახლახან შეიძინა. კომპანიის ინფორმაციით, „აირზენა“ კიევის მიმართულებით რეისებს კვირაში 4-ჯერ: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას შეასრულებს.

კიევი-თბილისის მიმართულებით ავიარეისის ღირებულება 99 ევროდან დაიწყება და როგორც კომპანიაში განმარტავენ, აღნიშნული დაბალი ტარიფი იმ საახალწლო აქციის ნაწილია, რომელსაც „აირზენა“ საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს.

კომპანიის გადაწყვეტილებით, მგზავრს არსებული 20 კილო უფასო ბარგის გარდა, დამატებით, 10 კილო ბარგის გადატანაც შეუძლია. ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, „აირზენას“ გადაწყვეტილებით, კიევი-თბილისის რეისზე მგზავრს ტურისტული ინფრასტრუქტურის, საუბარია თხილამურებზე და სხვა დამხმარე აქსესუარებზე, უფასოდ გადატანა შეეძლება.

ცნობილია ასევე ისიც, რომ 28 დეკემბრიდან აირზენა ბათუმი-თბილისი მიმართულებით ავიარისებს ზრდის და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა, დღეში 2 რეისიც კი განახორციელოს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ნალექიანი ამინდები კვირის ბოლომდე შენარჩუნდება

სინოპტიკოსები ყინვების შესუსტებას 20 დეკემბრიდან ვარაუდობენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან აცნობეს, თოვდა დასავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, ფოთსა და ხულოში. კოლხეთის დაბლობზე ქროდა ძლიერი ქარი. ქარის სიჩქარე ყველაზე ძლიერი ქუთაისში დაფიქსირდა — 27 მ წამში.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან ყინვა დაფიქსირდა, თუმცა წინა დღესთან შედარებით, შესუსტებული იყო. კერძოდ, გასულ ღამით წალკაში -15 გრადუსი იყო, საგარეჯოში — -10, თელავში — -6, თბილისში — -6, გორსა და აგარაში კი — -7.

დღეისთვის, აღმოსავლეთ საქართველოში, საშუალოდ, 2 გრადუსით დათბება. ღამით კი ყინვა შესუსტდება. აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ, -1;-6 გრადუსი იქნება, მათ შორის თბილისში — -2.

19 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მათ შორის, თბილისში იქნება მცირე თოვლი, მოსალოდნელია ღამით ყინვა -3 გრადუსი, დღისით +5 გრადუსი.

სინოპტიკოსები 20 დეკემბრიდან დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად დათბობას პროგნოზირებენ. დაბლობში დღისით ჰაერის ტემპერატურა +19 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთში კი +10.

21 დეკემბერს, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წვიმაა მოსალოდნელი, მთაში და მაღალმთაში — თოვლი.

ნალექიანი ამინდები ქვეყანაში კვირის ბოლომდე შენარჩუნდება.

„ინტერპრესნიუსი“

ვაკე-საბურთალოს ყოფილი გამგებელი სააკაშვილს, უგულავას, მაქაცარიასა და ადეიშვილს უჩივის

19 დეკემბერს, ვაკე-საბურთალოს ყოფილი გამგებელი ავთანდილ დავითაძე და ბიზნესმენი ირინა ნერგაძე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, ქალაქის მერის გიგი უგულავას, იმერეთის ყოფილი გუბერნატორის ლაშა მაქაცარიასა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარს შეიტანენ.

„ბიზნესმენ ირინა ნერგაძეს, სახლი, რომელიც ვაკეში ყოფილი სახანძროს პირდაპირ მდებარეობს, ვანდალურად დაუნგრიეს და ამასთან, უკანონოდ დამაპატიმრეს მე. გათავისუფლების სანაცვლოდ კი, საკუთარი ქონება სახელმწიფოსთვის იძულებით გადამაფორმებინეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ პროკურატურაში სარჩელს შევიტანთ“, — განაცხადა დავითაძემ.

ცნობისთვის, ავთანდილ დავითაძე ირინა ნერგაძის სიძეა.

„პირველი“

მოსახლეობა თავდაცვის სამინისტროსგან კომპენსაციას ითხოვს

სენაკის სამხედრო ბაზის მშენებლობისთვის მოსახლეობისთვის წართმეული მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ, მეპატრონეები თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისგან სამართლიანობის აღდგენასა და კომპენსაციას ითხოვენ. მოსახლეობა აცხადებს, რომ წლებია, ცდილობენ სამართლიანობის აღდგენას, თუმცა თავდაცვის სამინისტროს არაერთი ყოფილი ხელმძღვანელი მათ კანონიერ მოთხოვნას დღემდე უგულელებყოფდა.

„მხოლოდ, 2008 წლის ივლისში, ვითომ, გადაწყდა კომპენსაციების გაცემის საკითხი, მაგრამ მერე, აგვისტოს ომი დაიწყო და ჩვენთვის ვერავინ მოიცალა“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ტერიტოროული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლების ვეტერანმა ვაჟა დოლბაიამ. მისი თქმით, არ დარჩენილა სახელმწიფო უწყება, რომელსაც არ მიმართეს დაზარალებულებმა, მაგრამ ეს პრობლემა მუდამ გადაუჭერელი დარჩა.

„რა გასაკვირია სახელმწიფო უწყებების ასეთი დამოკიდებულება, მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით თვით სახალხო დამცველს არ გასცა პასუხი. თუ 2008 წლის ივლისში გვეკუთნოდა კომპენსაცია, მერე რატომ არ გვეკუთვნის? თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყების წარმომადგენლები პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ მართალია მიწის მესაკუთრეები თქვენ ხართ, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ კომპენსაციას ვერ მიიღებთო“, — განაცხადა დანელიამ. მისივე თქმით, ექვსმა მეპატრონემ ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო აღნიშნულ საკითხე დავა.

„როგორც იქნა 2006 წელს თავდაცვის სამინისტრო ვაიძულეთ, გამოეთხოვა საკუთრების დამადასტურებელი მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენ ეს მიწის ნაკვეთები საკუთრებაში ჯერ კიდევ 2000 წელს გადმოგვეცა. ამის მიუხედავად, თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ეს არაა საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ კომპენსაციები მოგვცენ. ნამდვილად არასოდეს მიკადრებია მანიპულირება ჩემი მდგომარეობით. სამშობლოს სამსახურში დავინვალიდდი, I ჯგუფის ინვალიდი ვარ, თადარიგის მაიორი და ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფლება ასე სასტიკად მომექცეოდა და მე და ჩემს შვილებს საკუთრებას წაგვართმევდა“, — აცხადებს დილბაია.

დილბაიას თქმით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იყო ზეწოლა თავდაცვის სამინისტროდან, რათა დაზარალებულებს მიემართათ სასამართლოსთვის.

„თუმცა, კეთილი ადამიანები ამ უწყებაშიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც გვითხრეს, რომ სასამართლო გამოტანდა უკანონო დადგენილებას და ჩვენ იურიდიულად აღმოვჩნდებოდით უმძიმეს მდგომარეობაში“, — აცხადებს დოლბაია და დასძენს, — „2012 წელის 10 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა კვლავ გამოითხოვა საკუთრების დამადასტურებელი დომუმენტაციები, სადაც კვლავინდებურად დადასტურდა, რომ მიწა ჩვენი კუთვნილებაა. მაგრამ თადაცვის სამინისტროს დღემდე არ გაუცია პასუხი სახალხო დამცველის 2012 წლის 30 აპრილს წერილზე, თუ რის საფუძველზე სარგებლობს ეს უწყება ჩვენი კუთვნილი მიწით“.

დოლბაია აცხადებს, რომ ამჯერად, დაზარალებულები ჯერ თავდაცვის სამინისტროს მიმართავენ და თუ კვლავ ვერ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა, მაშინ შეცდებიან სხვა კანონიერი გზებით მიღწიონ სამართალს.

„ჯი-ეიჩ-ენს“

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა გაიშიფრა

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა გაშიფრა, რომელშიც საკმაოდ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები და ბიზნესმენები მონაწილეობდნენ. ამ გეგმის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ელიტა, ახლა უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს გაუსწორდა, რაც სააქციო საზოგადოება (ს/ს) „ქართუ ბანკის“ მიზანმიმართულ გაკოტრებაში გამოვლინდა. „ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა შეიმუშავა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსის, ჯაბა ებანოიძის ხელით განახორციელა. ჯაბა ებანოიძემ და შემოსავლების სამსახურის ორმა თანამშრომელმა, ასევე ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ და ბიზნესმენებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ზურაბ ადეიშვილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აშკარად იკვეთება, მაგრამ გამოძიება გრძელდება და გამორიცხული არ არის, მომდევნო ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.





გამოძიების ოფიციალური ვერსია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა აღნიშნა, რომ „ქართუ ბანკის“ მიზანმიმართულად გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

„მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გააკეთა განცხადება პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შესახებ, პირველ ეტაპზე, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა შეიმუშავეს და პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა, რომ აუქციონის წესით გაეყიდა იურიდიული პირების ქონება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით იყო დატვირთული. იმ მიზნით, რომ „ქართუ ბანკს“ ეს ქონება გონივრულ ფასში არ გამოესყიდა, აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის, ნიკოლოზ მელიას უშუალო მითითებით ხდებოდა აუქციონის ჩაშლა, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონზე გატანილ ქონებას გადასცემდა ეკონომიკის სამინისტროს. ეკონომიკის სამინისტრო კი ამ ქონებებს პირდაპირი მიყიდვის წესით ასხვისებდა“.

როგორც შსს-ში განმარტავენ, ამ კანონის მიღება გათვლილი იყო მხოლოდ და მხოლოდ, „ქართუ ბანკის“ გაკოტრებაზე, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილი იყო. ნინო გიორგობიანის თქმით, დანაშაულებრივი სქემის შემდგომ ეტაპზე, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც „ქართუ ბანკში“ საკრედიტო დავალიანება გააჩნდათ, არარსებული საგადასახადო დავალიანება უნდა ეღიარებინათ:

„ამის შემდეგ, ქონებას, რომელიც ბანკის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, გაიტანდნენ აუქციონზე, სადაც მყიდველი არ დაფიქსირდებოდა. შემდეგ კი ეკონომიკის სამინისტრო, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასებში გაყიდდა სხვა კომპანიებზე, რომლებსაც სინამდვილეში, ამავე ქონების ყოფილი მეპატრონეები აკონტროლებდნენ. ამ გზით, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს ქონებაც არ ეკარგებოდათ და ამ დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობით, „ქართუ ბანკის“ საკრედიტო დავალიანება უუქმდებოდათ, რომლის უზრუნველყოფას, სწორედ, იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენდა. დაზარალებულად რჩებოდა „ბანკი ქართუ“, რომელსაც იმ დროისთვის, მეწარმე სუბიექტებისთვის მიცემული ჰქონდა 59 997 363 აშშ დოლარისა და 3 757 000 ლარის კრედიტები“.

ნინო გიორგობიანის თქმით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ჯაბა ებანოიძემ, ამავე სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, მამუკა ლაშხიამ, მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ, ოთარ აგლაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, დავით გიორგაძემ და ბიზნესმენებმა ითანამშრომლეს სამართალდამცველებთან და გამოძიებას მისცეს სრული ინფორმაცია დანაშაულებრივი სქემის დეტალების შესახებ. სისხლის სამართლის საქმეში არსებული ჩვენებებითა და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც მიმართული იყო „ქართუ ბანკის“ გაკოტრებასა და მისთვის ფინანსური ზიანის მიყენებაზე, შეთანხმებულად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლები. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, ასევე ამ სამინისტროებში შემავალი სტრუქტურები და ქვედანაყოფები.

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროში არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ დანაშაულებრივი კვალი საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთანაც მიდის. ჩაშლილი აუქციონის შემდეგ, ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადადიოდა, ვერა ქობალიას უწყება კი ამ ქონებას პირდაპირი მიყიდვის წესით ასხვისებდა. როგორც წესი, პრეზიდენტის განკარგულების გარეშე, ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების უფლება ეკონომიკის სამინისტროს არ აქვს.

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ჯაბა ებანოიძემ ითანამშრომლა გამოძიებასთან და აჩვენა, რომ 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, საკუთარ კაბინეტში დაიბარა. ზურაბ ადეიშვილმა ჯაბა ებანოიძეს „ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემა გააცნო და მისი განხორციელება დაავალა. თავის მხრივ, ჯაბა ებანოიძემ ამის შესრულება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს იმჟამინდელ უფროსს, მამუკა ლაშხიას და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ოთარ აგლაძეს უბრძანა.

აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებულ იმ ბიზნესმენებს, რომელთა კომპანიებსაც „ქართუ ბანკში“ საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ. მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის შპს „ინტერპლასტს“, შსს-ს იმჟამინდელი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის, ერეკლე კოდუას ახლო ნათესავების საწარმოებს — ს/ს „პირიმზესა“ და შპს „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავას“, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელის, გიორგი ისაკაძის საწარმოებს — შპს „ლოგოსსა“ და ამხანაგობა „თეთრ სახლს“. ამ სქემაში მონაწილეობდნენ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სხვა კომპანიებიც, რომლებსაც „ქართუში“ საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ: შპს „კავკასუს სირიალ კომპანი“, შპს „საქართველოს ღვინოები“, შპს „ხოხობი“, შპს „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსი“, შპს „ვია ესტ ვიტა“, შპს „თოლია“, ს/ს „თბილისის უნივერსალური სავაჭრო ბაზა“, შპს „პროგრესი“, ს/ს „ოკამი“, შპს „ვაზი 2002“, შპს „უნივერსალ სერვისი“, შპს „გრემფილდ ჯორჯია“, შპს „მალი ჯგუფი“, შპს „პროფესიონალი“ და შპს „ალს პლუსი“.

სქემის მიხედვით, ამ კომპანიებს ლეგიტიმური საფუძველი უნდა შექმნოდათ იმისთვის, რომ ბანკიდან მიღებული მილიონობით ლარის კრედიტი აღარ დაებრუნებინათ და ფაქტობრივად, მიეთვისებინათ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსნებთან შეთანხმებით, ყველა ამ კომპანიის ხელმძღვანელმა აღიარა არარსებული საგადასახადო დავალიანება, ხოლო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ფიქტიური აუქციონი ჩაატარა, სადაც არც ერთი ქონება არ გაყიდულა. ამის შემდეგ, აუქციონზე გატანილი ქონება ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, გაიყიდა კიდეც.

2012 წლის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს, დავით გიორგაძეს პირადად დაავალა, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით, აღებული კრედიტების 10%-ის ფარგლებში, ყველა ეს ქონება გადაეცა იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც შემოსავლების სამსახური გაუგზავნიდა. ამგვარად, ყველა ეს ქონება იმ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე გაიყიდა, რომლებიც პირდაპირ, ან ირიბად უკავშირდებიან ამავე ქონების ყოფილ მეპატრონეებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქართუ ბანკის“ გაკოტრების ეს სქემა, ცეზარ ჩოჩელის კუთვნილი შპს „ინტერპლასტის“ მაგალითზე გაშიფრა. შპს „ინტერპლასტი“ 2006 წლის 25 დეკემბერს დააფუძნა ცეზარ ჩოჩელმა — 13%, იაგო ჩოჩელმა — 10%, დევი ოვაშვილმა — 10% და კომპანია „ლიმბოლტონინტერნეიშენალმა“ — 66%.

დასასრული მე-4 გვერდზე

შედგება თუ არა ივანიშვილისა და პუტინის შეხვედრა

ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ მომავალში, მისი შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან ან დიმიტრი მედვედევთან შედგება. ქართველი ჟურნალისტების კითხვაზე, დაიგეგმა თუ არა მისი შეხვედრა პუტინთან ან მედვედევთან ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრაზე, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ უახლოესი მომავლისთვის ამგვარი გეგმა არ არსებობს.

„თუმცა, იმედი მაქვს, მომავალში, ეს აუცილებლად მოხდება. რაც მთავარია, შედგა პირველი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლებს შორის. თავად ეს ფაქტი უკვე საინტერესოა. ამ შეხვედრაზე საუბარი სავაჭრო კულტურული ურთიერთობებისა და ორ ქვეყანას შორის რეგულარული რეისების აღდგენას შეეხო. რაც მთავარია, პროცესი დაიწყო“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პროფესორ ავთანდილ საყვარელიძის მკვლელობის საქმე გახსნილია, მკვლელი — დაკავებული

სამართალდამცველებმა 17 დეკემბერს, ღამით, საკუთარ სახლში მოკლული, ცნობილი ექიმის, ავთანდილ საყვარელიძის საქმე გახსნეს. გარდაცვლილის ახლობლები აცხადებდნენ, რომ თავდამსხმელმა მოხუცი ჯერ გაგუდა და შემდეგ გაძარცვა. მათივე ვარაუდით, პროფესორი მკვლელს იცნობდა, რადგან კარი თავად გაუღო. სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, ავთანდილ საყვარელიძის მკვლელობაში ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს, ხოლო შსს-მ განცხადება გაავრცელა.

„17 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა მკვლელობისა და ქურდობის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული იური ფ. დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, 16 დეკემბერს დაკავებული ყაზბეგის ქუჩაზე №25-ში, 1927 წელს დაბადებული ავთანდილ საყვარელიძის ბინაში მივიდა და როგორც გაირკვა, უთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბინის მეპატრონე ბალიშით გაგუდა, შემდეგ ძვირფასეულობა მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებულმა საყვარელიძის ბინიდან მოპარული ოქროს ნივთები თბილისის სხვადასხვა ლომბარდში ჩააბარა, აღებული თანხით, იმავე დღეს თბილისი-კიევის მიმართულებით ბილეთები შეიძინა და საქართველო დატოვა. უკრაინელმა მესაზღვრეებმა იური ფ-ს დაუყოვნებლივ დეპორტირება მოახდინეს.

17 დეკემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ქართველმა სამართალდამცველებმა იური ფ. მკვლელობისა და ქურდობის ბრალდებით დააკავეს“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 108-ე და 177-ე მუხლის მეორე „ა“ და მესამე „გ“ პუნქტით აღიძრა. საქმეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-7 განყოფილება იძიებს.

„ვერსიანიუსი“

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა გაიშიფრა

მე-3 გვერდიდან

2007 წლის 7 მარტს, „ქართუ ბანკსა“ და „ინტერპლასტს“ შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, კომპანიამ ჯამში, 11 848 148 აშშ დოლარის კრედიტი მიიღო. ამ სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა „ინტერპლასტის“ კუთვნილი ქონება — 55 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომელიც მდებარეობდა თბილისში, სოფელი დიდ ლილოში.

2011 წლის დეკემბერში, ჯაბა ებანოიძის უშუალო დავალებით, მამუკა ლაშხიამ და ოთარ აგლაძემ შპს „ინტერპლასტის“ გენერალური დირექტორი ნიკა ყუბანეიშვილი დაიბარეს. კომპანიის სხვა დამფუძნებლებთან შეთანხმებით, ნიკა ყუბანეიშვილმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა ყალბი საგადასახადო დეკლარაცია, თითქოს, შპს „ინტერპლასტს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, 34 000 000 ლარის დავალიანება ჰქონდა. შესაბამისად, იმ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომელიც სპეციალურად „ქართუ ბანკისთვის“ მიიღეს, შემოსავლების სამსახურს ხელოვნურად წარმოეშვა ლეგიტიმური უფლება, ამ კომპანიისთვის გადასახადის გადახდევინება დაეკისრებინა ისე, რომ „ქართუ ბანკის“ კანონიერი ინტერესი არც კი გაეთვალისწინებინა.

შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 30 იანვარს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დანიშნა აუქციონი, რომელზეც შპს „ინტერპლასტის“ ქონება უნდა გაყიდულიყო. აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის, ნიკოლოზ მელიას ორგანიზებით, ფიქტიურ აუქციონში მონაწილეობის უფლება მისცეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კონტროლირებად კომპანიას, რომელიც ოფშორულ ზონაში იყო დარეგისტრირებული. რაც მთავარია, ამ კომპანიას აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, სავალდებულო საგარანტიო თანხა — 301 950 ლარის ოდენობით, წინასწარ არც კი გადაუხდია. გამოძიებით დადგინდა, რომ რეალურად, ამ კომპანიის მიზანი იყო, ელექტრონულ აუქციონზე გამართულ ვაჭრობაში მონაწილეობა მიეღო მოჩვენებითად, რათა სხვა მყიდველებისთვის არაგონივრული და არარეალურად მაღალი ფასი შეეთავაზებინა.

ამავე აუქციონში მონაწილეობდა „ქართუ ბანკიც“, მაგრამ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მისმა ცრუ კონკურენტმა გაიმარჯვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულმა ამ კომპანიამ კანონით დადგენილ ვადაში, შეგნებულად არ გადაიხადა ქონების საფასური, მაგრამ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მისთვის ფინანსური სანქცია არ დაუკისრებია. იმის გამო, რომ აუქციონი ჩაიშალა, განმეორებითი აუქციონი მოეწყო და მზადყოფნა გამოთქვა, 3 000 000 ლარიც კი გადაეხადა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას დაფარავდა. მიუხედავად ამისა, შპს „ინტერპლასტის“ ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში, ანუ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე მოექცა და პირდაპირი მიყიდვის წესით, 2 000 000 ლარად, ანუ „ქართუს“ მიერ შეთავაზებულზე 1 000 000 ლარით ნაკლებ ფასად, საკუთრებაში გადაეცა შპს „ტექინვესტს“. არადა, შპს „ტექინვესტის“ 100%-იანი წილი შეისყიდა შპს „ინტერპლასტის“ დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ ნარტყოშვილმა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართუ ბანკისთვის“ წართმეული ქონება, შენიღბული გზით, ისევ შპს „ინტერპლასტის“ დამფუძნებლების საკუთრებაში აღმოჩნდა.

გამოძიების პროცესში სხვა მეწარმეებიც დაიკითხნენ. მაგალითად, ს/ს „ეკრანის“ მფლობელმა, ირაკლი შიხიაშვილმა გამოძიებას უჩვენა, რომ 2011 წელს, „ქართუ ბანკში“, ამ საწარმოს სახელით, 400 000 აშშ დოლარის კრედიტი აიღო. 2011 წლის ნოემბერში, ირაკლი შიხიაშვილი დაიბარა ჯაბა ებანოიძემ და „ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემა გაანდო, რომელიც იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის იდეა იყო. ჯაბა ებანოიძემ ირაკლი შიხიაშვილს არარსებული დავალიანების აღიარება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზურაბ ადეიშვილის სახელით დაემუქრა. ირაკლი შიხიაშვილი ჯაბა ებანოიძის წინადადებას დათანხმდა და მამუკა ლაშხიას, ასევე ოთარ აგლაძის დახმარებით, სახელმწიფოს წინაშე, ნებაყოფლობით აღიარა, რომ 4 000 000 ლარის დავალიანება ჰქონდა(!). ამის შემდეგ, მოვლენები იგივე სცენარით განვითარდა, ანუ ს/ს „ეკრანის“ ქონება, რომელიც „ქართუ ბანკში“ იპოთეკით იყო დატვირთული, ნატურით გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. პირდაპირი მიყიდვის წესით კი, ეს ქონება შპს „კოლოსმა“ შეისყიდა, რომელიც ირაკლი შიხიაშვილის კონტროლირებადი კომპანია იყო.

გამოძიების პროცესში კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი გამოიკვეთა, რომელიც ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ნიკა გილაურს უკავშირდება. ზოგიერთ კომპანიას, მაგალითად, შპს „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსს“, რომელსაც პირად ბარათზე 25 210 843 ლარის საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა, ნიკა გილაურის ბრძანებით, საგადასახადო შეთანხმება გაუფორმდა 1 000 ლარზე. ს/ს „უნივერსალ სერვისს“, რომელსაც პირად ბარათზე 11 167 055 ლარის საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა, საგადასახადო შეთანხმება მხოლოდ 3 000 ლარზე გაუფორმდა. მსგავსი კომიკური საგადასახადო შეთანხმებები გაუფორმეს შპს „ხოხობს“, შპს „უნო პრიმს“ და შპს „ქონების მართვის კომპანიას“. გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაგეგმილი ჰქონდა, რომ დარჩენილ კომპანიებთანაც გაეფორმებინა მსგავსი საგადასახადო შეთანხმებები, მაგრამ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ეს პროცესი შეჩერდა.

„ქართუ ბანკის“ მიზანმიმართულ გაკოტრებაში მონაწილე ბიზნესმენები მზად არიან, რომ ბანკს ზარალი აუნაზღაურონ და გენერალურ დირექტორს, ნოდარ ჯავახიშვილს თხოვნით მიმართეს, რათა გადახდის გრაფიკი გაწეროს. მეტიც, ბიზნესმენები თავს დაზარალებულად მიიჩნევენ და დაუფარავად აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებმა ისინი გამოიყენეს.





ახალი სკანდალი კუს ტბის ირგვლივ

ბესო ხარძიანსა და ბუბა კიკაბიძეს პროკურატურაში უჩივიან და კუს ტბის „ახევაში“ ადანაშაულებენ

ეკა სეხნიაშვილი

მთავარ პროკურატურაში მალე ახალი საქმის გამოძიებისთვის მასალები შევა. სკანდალი, რომელიც კუს ტბას უკავშირდება, სპეციალური კომისიის შესწავლის საგანი გახდება. ამ მასალების მიხედვით, შესაძლოა, ბესიკ ხარძიანი „ვარდების ხელისუფლებასთან“ გარიგებასა და წილების მისაკუთრებაში აქეთ დაადანაშაულონ. კუს ტბის ყოფილი მფლობელები ციხიდან ახლადგამოსულ ბესო ხარძიანს კუს ტბის მისაკუთრებასა და მათგან წილების „ახევაში“ სდებენ ბრალს. ხარძიანს, რომელიც ახლა უდესიანსა და მის თანაპარტნიორებს კუს ტბის დაბრუნებაში ედავება, სავარაუდოდ, იმ კითხვებსა და დოკუმენტებზე მოუწევს პასუხის გაცემა, რომელიც მალე პროკურატურაში შევა: როგორ გადაიფორმა ხარძიანმა კუს ტბის მფლობელთა აქციები და როგორ იყენებდა ის სააკაშვილის მოსამართლეებს კუს ტბის ხელში ჩასაგდებად? რეალურად, ვისი იყო კუს ტბა? როგორ მიითვისა ხარძიანმა ეს აქციები, სააკაშვილის ხელისუფლების წყალობით, და როგორ შეეწირა მესაკუთრის სიცოცხლე ამ უსამართლობას? — ეს ის კითხვებია, რომლის გამოძიებასა და სიმართლის რეალურად დადგენას, ხარძიანი-ბუბა კიკაბიძის ტანდემის უსამართლობის შესწავლას სამართალდამცავებსა და ივანიშვილის ხელისუფლებას ტბის ყოფილი მფლობელები სთხოვენ. ხარძიანს კუს ტბის აქციების მითვისებაში მფლობელთა დიდი ჯგუფი ამხელს და მას ბიზნესში „თაღლითს“ უწოდებს. მფლობელთა ჯგუფი აცხადებს, რომ ხარძიანს ივანიშვილის ხელისუფლების შეცდომაში შეყვანა და უდანაშაულოდ „რეპრესირებული“ ბიზნესმენის როლის შესრულება სურს, თუმცა ამ საკითხით გამოძიება უნდა დაინტერესდეს, რადგან წილების ამხევი და მიმსაკუთრებელი თვითონაა და ამაზე პასუხი უნდა აგოსო.

ექსკლუზიურად, „ვერსიას“ კუს ტბის ერთ-ერთი ყოფილი აქციონერის, შვეიცარული კომპანია „თკომპანის“ წარმომადგენელი ნუგზარ ჭიჭინაძე და კუს ტბის ერთ-ერთი ყოფილი პარტნიორი, ილია კაკაბაძე ესაუბრებიან.

— ბატონო ილია, როგორც შევიტყვე, კუს ტბის ყოფილი მფლობელები აპირებთ კუს ტბის დასაბრუნებლად ბრძოლას და ხარძიანს ადანაშაულებთ თქვენი წილების მისაკუთრებაში...

— მე ჩამოვაყალიბე კუს ტბის სამეთვალყურეო საბჭო და ხარძიანი მივიღე, როგორც ჯარისკაცი. თავდაპირველად, ჩვენთან ერთად კუს ტბის მფლობელები იყვნენ ექიმთა ჯგუფი „ეი-სი-ტი – ეს ჯორჯია“, რომლის პრეზიდენტიც გახლავთ გია წილოსანი, რამაზ გიორგაძე, ალეკო კვასხვაძე, კუს ტბის პროექტის ავტორი თემურ მიქაშავიძე და სხვები. კუს ტბის ლანდშაფტური პირობების განვითარებისთვის გვინდოდა ამერიკული ინვესტიციის მოზიდვა, თუმცა იმ ეტაპისთვის, ეს ვერ მოხერხდა. ამიტომ, რადგანაც მათ გარკვეული ფინანსები ჰქონდათ, ისინი შემოვიყვანეთ წილში. მაშინ ხარძიანი იხვეწებოდა, როგორც ჯარისკაცი მიმიღეთო და რა აფერა დაატრიალა იქ. მართვისთვის რომ უკეთესი ყოფილიყო, ერთობლივი შეთანხმებით, ორი შპს დავაარსეთ, რათა ქონების ნაწილის მართვა პროპორციულად მომხდარიყო, მაგრამ მალევე ხარძიანი-კიკაბიძის თაღლითური, ოფშორული სქემის მეშვეობით, მოხდა ჩვენთვის ამ ქონების წართმევა.

— ეს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი იყო?

— კი, ზუსტად. ახლა ხარძიანი აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სდევნიდა, მაგრამ ფაქტია და ჩვენ ვართ თვითმხილველები — ჩვენს შემთხვევაში ხარძიანი, უშუალოდ, სააკაშვილის მთავრობის მეშვეობით ახერხებდა ამ უკანონო ქმედებების ჩადენას..

— თქვენთან ერთად, სხვა მესაკუთრეებიც იყვნენ, ვისაც წილები აახიეს?

— კი, ესენი იყვნენ რამაზ გიორგობიანი, რეზო სუჯაშვილი და ზემოთ ხსენებული პარტნიორები. ერთ-ერთი პარტნიორის სიცოცხლეც კი შეეწირა ამ უსამართლობას. ამის შემდეგ სასამართლოს მეშვეობით ართმევენ გარდაცვლილი ადამიანის ოჯახს მის კუთვნილ წილს. მალე პროკურატურაში შევა საქმე და იქ დასახელდება იმ მოსამართლეების გვარები, რომელთა მეშვეობითაც ხარძიანისა და კიკაბიძის ტანდემმა კუს ტბის ხელში ჩაგდება მოახერხა. იმედია, ისინი აღიარებენ, რომ სხვისი ქონების მისაკუთრება მოახერხეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეს მიეცემა მსვლელობა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კალანდაძე იყო, თუ არ ვცდები. მოდიოდა ინფორმაცია, რომ უშუალოდ, სასამართლოს თავმჯდომარის, შავლიაშვილის პატრონაჟით მოახერხა ხარძიანმა ამ ყველაფრის ხელში ჩაგდება. სასამართლომ უდიდესი დარღვევებით მოახდინა მათი გამართლება და უპრეცედენტო ფაქტი დაუშვა, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, გაითვალისწინა გარემოებები. ხარძიანი მაშინ კიკაბიძის ხელდასხმული და წარმომადგენელი იყო. მართვის პროცესში იყო დაარსებული ორი შპს „კუს ტბა“, და „კუს ტბა 21“. ორივე შპს ერთი და იგივე იურიდიული პირის მიერაა შექმნილი, შემდეგ კი თავის მიერვე შექმნილ შპს-ებზე ამბობდა, არასამართლებრივიაო. ამ ყველაფერს გამოძიება ახლა გამოააშკარავებს.

კიკაბიძემ მიმართა სასამართლოს იმ მოტივით, თითქოსდა არ იცოდა ამ შპს-ს არსებობა, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან ხარძიანი, როგორც მისი ნდობით აღჭურვილი პირი და წარმომადგენელი, ესწრებოდა და უძღვებოდა პარტნიორთა კრებებს. ეს მათი ერთობლივი აფერა იყო სასამართლოსა და „ნაციონალური“ სამთავრობო რესურსის გამოყენებით.

— ბატონო ნუგზარ, როცა ხარძიანმა უდესიანსა და მის თანაპარტნიორებს მიჰყიდა კუს ტბის წილი, დიდ წილს უკვე თავად ფლობდა...

— კი, უკვე მას ჰქონდა ხელში. დიდი პროცენტი მან მიითვისა და ეს სიბინძურე მისი საშუალებით გაკეთდა. ხარძიანს ჰქონდა კიკაბიძის მინდობილობა. რამდენიმე წლის შემდგომ კიკაბიძემ განაცხადა, არ ვიყავი ამის საქმის კურსშიო და ამ მოტივით გააუფასურეს იმ შპს-ს ქონება, რომელშიც ჩვენ ვიყავით და წაგვართვეს ჩვენი საკუთრება. კიკაბიძე მუდმივად იყო აქ და დღესაც არის კუს ტბის ერთ-ერთი მფლობელი. კიკაბიძის წარმომადგენელი მაშინ ხარძიანი იყო. კიკაბიძე აცხადებდა, რომ ამ ახალი შპს-ს დარეგისტრირების საქმის კურსში არ იყო, ასეთ შემთხვევაში კიკაბიძეს უნდა ეჩივლა ხარძიანისთვის, რადგან ის დადიოდა პარტნიორთა კრებებზე, როგორც მისი წარმომადგენელი. კუს ტბის ეს საქმე სასამართლოს იმდენად ნონსენსური გადაწყვეტილებაა, რომ საკმარისი საბაბია შესაბამისი ორგანოების დაინტერესებისთვის.

— ბატონო ნუგზარ, შემდგომ ხარძიანი კუს ტბის წილებს ასხვისებს და როგორც ჩემთან საუბრისას ეს ინვესტორები აცხადებენ, ისინი კუს ტბის მფლობელობაში რამდენიმე მილიონის ინვესტიციას დებენ. ციხიდან ახლახან გამოსული ხარძიანი, რომელიც ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს, ხელისუფლების ცვლილებისთანავე აცხადებს, რომ ზეწოლის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა — მას თავად ადანაშაულებენ კუს ტბის აქციების მისაკუთრებაში..

— ხარძიანის უტიფრობა და უნამუსობა არ გვაკვირვებს, მაგრამ ადამიანი როდესაც აცხადებს, უკანონოდ მომექცნენო, საზოგადოებამაც და სამართალდამცავებმაც უნდა იცოდნენ, თვითონ რის ფასად და რამდენად კანონიერად ჩაიგდო ხელში კუს ტბა. ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებთ ბოლომდე. მოზიდული გვყავდა შვეიცარიელი ინვესტორები, მაშინ, დიდი ინვესტიცია უნდა ჩაედოთ, მაგრამ ისეთი თაღლითური რაღაცები დაახვედრეს, უცხოელებმა გადაიფიქრეს. პროკურატურისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს, როგორ მოქმედებდა ხარძიანი-კიკაბიძის ტანდემი, სააკაშვილის მოსამართლეებთან ერთად. ბესო ხარძიანის ნარკოტიკებთან ურთიერთობაზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, არ ვიცი, მაგრამ ბიზნესში რა მეთოდებს იყენებდა, ესაა დასადგენი და გამოსაძიებელი. ბიზნესმენი ის ადამიანია, რომელიც კანონიერად შოულობს შემოსავალს. ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით, რომ ხარძიანი კანონიერებიდან შორს იყო, ბიზნესში მისი მხედველობიდან და ფულის შოვნიდან გამომდინარე.

იცოდა თუ არა კუს ტბის შეძენის პროცესში, რომ ხარძიანს კუს ტბის საქმეში მოდავეები ჰყავდა, „ვერსია“ ამის დასადგენად, კუს ტბის ამჟამინდელ თანამფლობელ გია უდესიანთანაც ცდილობდა დაკავშირებას, თუმცა კონტაქტი ვერ მოხერხდა. „ვერსია“ ვერც ციხიდან ახლადგამოსულ ბესო ხარძიანს დაუკავშირდა, თუმცა თუ ხარძიანი არ გაექცევა ჩვენთან ინტერვიუს, მზად ვართ, მისი და ბუბა კიკაბიძის პოზიციებიც დავაფიქსიროთ.

facebook NEWS

პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქართულ საზოგადოებას გამოღვიძებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ საქართველოს, სტალინის ძეგლის გახსნისა და პრეზერვატივებზე საუბრის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა აწუხებდეს.

„ვინ პროვოკატორი აწყობს სტალინის ძეგლის გახსნას სწორედ ეხლა... რომ მერე „ნაცმოძრაობის“ რუპორებმა ეს ფაქტი მიანოდონ უცხოელებს თანდართული განმარტებებით – „უკრაინიზაცია“ „უკან დაბრუნების სინდრომი“ ..... ხალხნო, გამოიღვიძეთ, ნუთუ პრეზერვატივების, ერთის მხრივ და სტალინის გაცოცხლების, მეორე მხრივ, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე არა აქვს სააკაშვილის, მართლაც სტალინისტური რეჟიმისგან გათავისუფლებულ საქართველოს!?“– აცხადებს სალომე ზურაბიშვილი

ავთო ტყაბლაძე

ამას რა უნდა უთხრა ახლა? ასკინკილათი რომ დარბოდა პარიზში, მოიგო სამართლიანობამ და ავშენდით, ბიძია-ბაბუაო, აბა, რა ეგონა? დავითაშვილ-ბესელია ქვეყნის საჭირბოროტო საქმეებისთვის დაძაბავდნენ მაყუთისთვის დახვეულ ერთნახევარ ნაოჭს ტვინში?

ძია ნოდარის წიგნები

„ნუთუ პრეზერვატივების, ერთის მხრივ, და სტალინის გაცოცხლების, მეორე მხრივ, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე“ — არ უნდა ამას ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ეს ორივე ერთი და იგივე მოვლენაა.

facebook NEWS

ავთო ტყაბლაძე

ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისევ შევიდოდით რუსეთის შემადგენლობაში. სამწუხაროდ, ეს გარდაუვალია. ერი გაბიძინდა, ბესელია პარლამენტის ლიდერია, პეტრიაშვილი მთავრობის ვარსკვლავი, ფხალაძე და მაჭავარიანი რუსეთთან ურთიერთობის ექსპერტები.

თქვა იმ პატიოსანმა კაცმა კოლუმბიის ერთ მოედანზე სწორი სიტყვები. რას ვიფიქრებდი, რომ ჩვენ ჩევიდებდით :(.

მე ვერ მოვესწარი ნორმალურ, დამოუკიდებელ საქართველოს, ისე ჩანს. ჰა-ჰა 25 წელი ვიცოცხლო, და არ დაიშლება რუსეთი ამაზე ჩქარა. :(

თანაც რუსეთი რა შუაშია, ჩვენ დეგენერატები ვიყოთ.

ბოდიში, ყველასთან.

* *

ერთი რამაა საინტერესო, რუსეთში ჯავახეთიანად შევალთ, თუ რუსები სანაცვლოდ, ჯავახეთის დამოუკიდებლობას მოგვთხოვენ? ის რომ საქართველოს მთავრობა რუსების დუდუკზე ცეკვავს, მე მგონი, იდიოტმა შეიძლება არ დაიჯეროს მხოლოდ. კარასინმა ჟენევის მოლაპარაკებები დატოვა და აბაშიძე გაეკიდა, რომ ცალკე შეხვედროდა. თითქოს, არ შეიძლებოდა მოსკოვში მიეღოთ, ან ერთი ორი დღის შემდეგ შეხვედროდნენ. რუსებმა მოთხოვეს და ამათაც ჩაიხადეს. რუსებმა ამით დაანახეს დასავლეთს, კარგად იყავით, ქართველებს თქვენს გარეშე მოვუვლითო. აბაშიძემაც ხელი შეუწყო ამას. ამ ხნის კაცია, ცალი ფეხი სამარეში აქვს და რას ელის ამნაირს, რომ თხასავით ყიდის ქვეყანას?

* *

კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემს კითხვას. ბატონი ივანიშვილის დანიშნული სპეცწარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე შეჰპირდა ქართველ ხალხს, რომ დააზუსტებდა, რა თქვა კარასინმა სინამდვილეში. ჰოდა, დაზუსტა თუ არა?

რას შვრება ბატონი ბიძინას დანიშნული კაცი, ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე გა დაყლაპა ენა? თუ ვინმემ აიძულა, დაჰპირებოდა ხალხს?

ნიკალაი პატრუშევი: „პირველი ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას!“

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკალაი პატრუშევის განცხადებით, „რუსეთი საქართველოსთან დიალოგისთვის მზადაა, თუმცა არა მხოლოდ განცხადებებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი, არამედ საქართველოს ხელისუფლების რეალურ ნაბიჯებზე, რომელიც პირველებმა მათ უნდა გადადგან“.

როგორც პატრუშევმა „კომსომოლსკაია პრავდასთან“ ინტერვიუში განაცხადა, „სამწუხაროდ, ქართული მხარე, ჯერჯერობით, არ საუბრობს იმაზე, რომ რუსეთის მიერ აღიარებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ძალას არ გამოიყენებს“.

„ამჟამად, თავად საქართველოში რთული პოლიტიკური სიტუაცია ნარჩუნდება. დიდ გავლენას ახდენს აშშ და ნატო. ნათელია დაპირისპირება პრემიერ-მინისტრ ივანიშვილსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის. მათ საკუთარი შიდა პრობლემები უნდა გადაწყვიტონ, განსაზღვრონ, ვის რა როლი აქვს. ერთი ამბობს, რომ დაინტერესებულია რუსეთთან ურთიერთობის აღდგენით, მეორე ასეთ განცხადებებს არ აკეთებს. რიგ საკითხებში მათი პოზიცია ემთხვევა, მაგალითად, ორივე აცხადებს, რომ მათი მიზანი საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებაა. ჩვენი ხალხი ისტორიულად ახლობელია, დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთიან სახელმწიფოში, აქტიურად თანამშრომლობდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო, სადაც რუსეთის ბევრი მოქალაქე ცხოვრობს, რამაც სერიოზული სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობა შექმნა“, — განაცხადა პატრუშევმა.

„პირველი“

არასრულწლოვანი გოგონას გატაცების ბრალდებით აღგილობრივი მკვიდრი დააკავეს

შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ ხორნაბუჯის სკოლიდან არასრულწლოვანი გოგონას გატაცების ფაქტზე ადგილობრივი მცხოვრები, 61 წლის მამაკაცი დააკავეს, — იუწყება ინტერნეტგამოცემა ქიზიყი.გე.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა ქიზიყი.გე-ს განუცხადა, 13 წლის გოგონა მესამე გაკვეთილიდან გაუჩინარდა და სკოლის ადმინისტრაციამ მისი ძიება მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო. მომხდარის გამო პოლიცია თავად პედაგოგებმა გამოიძახეს. **„გოგონა ორ გაკვეთილს დაესწრო და მერე გაუჩინარდა. იყვნენ თვითმხილველები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ასაკოვანმა მამაკაცმა გაიტაცა. გამოვიძახეთ პოლიცია. ადგილზე გამოცხადდნენ და მიმდინარეობს გამოძიება. სხვა დეტალები ჩემთვის უცნობია. ეს მამაკაცი ვიცი, ვინც არის, თუმცა მისი გვარი და სახელი არ მახსოვს. დანარჩენს გამოძიება დაადგენს“,** – აღნიშნავს ხორნაბუჯის სკოლის დირექტორი.

ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცმა არასრულწლოვანი გოგონა სექსუალური ძალადობის მიზნით გაიტაცა.

„მედიანიუსი“

„პარტიას არავის დასამარცხებლად არ ვქმნით – იგი საქართველოს გასამარჯვებლად იქმნება!“

ნინო თურმანიძე

19 დეკემბერს, 15 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ახალი პარტიის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება. პარტიის ლიდერი დავით თარხან-მოურავი იქნება, ხოლო თავად ახალი ძალა პოლიტიკურ ბრძოლაში 2-წლიანი გამოცდილების მქონე „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ბაზაზე დაფუძნდება. ჩანს, პარტიას საკმაოდ საინტერესო სასტარტო პირობები აქვს — მის რიგებში ბევრი ახალი, ბევრიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეა, მის ანგარიშზე კი — ციხის სკანდალური კადრები, რამაც სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში უდავო წვლილი შეიტანა. რამდენად მომგებიანი დროა კიდევ ერთი ძალის პოლიტიკურ სცენაზე შემოსასვლელად, როცა არჩევნების შემდეგ, ყოფილ მმართველ პარტიასა და ახალი ხელისუფლებას შორის ელექტორატი უკვე გადანაწილებულია, არის თუ არა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ის ე.წ. მესამე ძალა, რომლის არსებობის აუცილებლობას დიდი ხანია, ყველა ხედავს და რა ტაქტიკურ-სტრატეგიულ ამოცანებს ისახავს მიზნად ეს ახალი ორგანიზაცია — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე დავით თარხან-მოურავი საუბრობს:

— 2012 წელს ჩვეულებრივი კი არა, ძალზე სპეციფიკური არჩევნები ჩატარდა: არსებობდა ბოროტი ხელისუფლება, მიდიოდა ბრძოლა მის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში, რეჟიმის საპირისპირო მხარეს, ბიძინა ივანიშვილმა შექმნა დიდი გაერთიანება, კოალიცია, რომლის ამოცანა რეჟიმის დამხობა იყო. თუმცა რეჟიმი, პირველ რიგში, ხალხმა დაამხო, რომელიც ლიდერს გაყვა. ეს არ იყო პოლიტიკური არჩევნები, მეტიც, ეს არც კონკურენტული არჩევნები ყოფილა. ჩვენს ქვეყანაში, რეალურად, თავისუფალი არჩევნები 1991 წლის მერე, როცა გამსახურდია მოვიდა ხელისუფლებაში, აღარც ჩატარებულა. ამის მერე ყველა არჩევნები გაყალბდა, პოლიტიკურად კონკურენტული გარემო კი, ბოლო 9 წლის განმავლობაში, საერთოდ მოისპო. ამიტომ 2012 წლის არჩევნებს სულ სხვა მიზანი ჰქონდა — რეჟიმი დამარცხდა! ძველმა ხელისუფლებამ მარცხი აღიარა და სააკაშვილმა, თუნდაც ციხის ცნობილი კადრების გამო, არჩევნების ტოტალური გაყალბება ვეღარ გაბედა, მაგრამ რაღაც პროცენტები მაინც მოიპარა. ახლა მას პარლამენტში იმაზე ორჯერ მეტი დეპუტატი ჰყავს, ვიდრე უნდა ჰყავდეს. უმრავლესობაში კი მაინც „ქართული ოცნებაა“, რაც ძალიან კარგია, თუმცა არასაკმარისი — ჩვენი ქვეყანა განვითარების სხვა ეტაპზე უნდა გადავიდეს, ახალმა ხელისუფლებამ კი კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს. ეს მისი დაპირებაცაა, ფუნქციაც, ამოცანაცა და ვალდებულებაც!

— მერე, იმის ნიშნები თუ ჩანს, რომ ეს დაპირება შესრულდება?

— ჯერ საერთოდ, არაფერი ჩანს, საქმე აქამდე არც მისულა. ახლა დღის წესრიგში ორი საკითხის გარკვევა უნდა იდგეს — რამდენი ამომრჩეველი გვყავს რეალურად ქვეყანაში და მეორე, შეიქმნას ნორმალური საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო ადმინისტრაცია კი უფრო სწორი პრინციპითა და გამჭვირვალედ დაკომპლექტდეს. ამის შედეგად, ჯამში, ისეთი პოლიტიკური გარემო უნდა მივიღოთ, როცა არჩევნებში მონაწილეობა ყველას შეეძლება და არც იმის შეეშინდება ვინმეს, ხმებს მომპარავენო.

— გამოდის, პოლიტიკურ ველზე გამოსაჩენად სწორედ ახლაა ყველაზე შესაფერისი დრო, როცა ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რაც, თავის თავში, ბუნებრივია, არჩევანის მრავალფეროვნებასაც გულისხმობს — თქვენ ის ე.წ. მესამე ძალა, კიდევ ერთი არჩევანი ხართ, რომლის არსებობის აუცილებლობას დიდი ხანია ბევრი ხედავს?

— რა თქმა უნდა, ახლა სწორედ შესაფერისი დროა პოლიტიკურ ველზე შემოსასვლელად. ეს საარჩევნო კოდექსი და ტექნიკური საკითხები სხვა თემაა, ამასობაში კი, ქვეყანაში ახალი პარტიები უნდა შეიქმნას და რაც მეტი, მით უკეთესი. ჩვენ ვქმნით ახალ პარტიას, ოღონდ არ ვიცი, ეს მესამე ძალაა თუ მეხუთე — ე.წ. მესამე ძალას ხან კახა კუკავასა და მის დაჯგუფებას უწოდებდნენ, ხანაც — ნინო ბურჯანაძეს. მე კი ასე არ ვყოფ პოლიტიკურ სპექტრს და არც არავითარი პრეტენზიები მაქვს იმაზე, მესამე ძალა ვიყო — მე მაქვს პრეტენზია, რომ ეროვნული სულისკვეთების პარტია ვიქნებით, რომელმაც, კონკურენტულ გარემოში, დიდი წარმომადგენლობით უნდა შეაღწიოს პარლამენტში და ქვეყანას ის ხედვა შესთავაზოს, რასაც ნამდვილ ქართულ პოლიტიკას ვუწოდებ.

— ეს ძალიან ზოგადი განცხადებაა — დააკონკრეტეთ, რაში მდგომარეობს ქართული პოლიტიკური ხედვა და რა სტრატეგია აქვს თქვენს პარტიას პოლიტსივრცეში დასამკვიდრებლად?

— ჩვენი ორგანიზაცია თითქმის აუთვისებელ, ასე ვთქვათ, ქართულ ველს დაიკავებს. ვფიქრობ, საქართველოში მრავლადაა პარტიები, ვინც ე.წ. პრამერიკულ ველს იკავებს, ან ამისკენ მიისწრაფვის. არიან, ასევე, „პრორუსული“ პარტიები, რომლებიც ჩვენს ინტერესებს კი არ იცავენ რუსეთში, არამედ რუსეთის ინტერესებს იცავენ საქართველოში. ამიტომ მგონია, რომ ჩვენთან ცნება „პრო“, ცოტა გადაბრუნებულია. ქვეყანაში ისეთი პარტიების ნაკლებობაა, რომლებიც ყოველგვარი „პრო“-ს გარეშე, ქართულები იქნებიან და საქართველოს ინტერესებს დაიცავენ საქართველოშიც, ამერიკაშიც, რუსეთშიც, საფრანგეთიც, თურქეთშიც და ყველგან! მაგალითად, ქვეყნის ღალატის ტოლფასი და კანონით დასჯადი უნდა იყოს ის, როგორ იცავდა თურქეთის ინტერესებს აჭარაში ძველი ხელისუფლება, როცა 25 000 თურქს მოქალაქეობა მისცა და სასათბურე პირობები შეუქმნა!

— არაფერი გითქვამთ საგარეო კურსზე და ალბათ, საზოგადოებასაც გაუჩნდება ეს კითხვა — საით იხრება ახალი პარტია — ნატო-სკენ თუ რუსეთისკენ?

— ძალიან კარგია ნატო-ში შესვლა, ჩემი ნება რომ იყოს, ნატო-ში დღესვე შევიდოდი, მაგრამ აბსოლუტურად ღიად წერს გერმანია — საქართველოს ნატო-ში შესვლის საკითხს 2020 წლამდე არც კი განვიხილავო, ამასვე უდასტურებს საფრანგეთი და მათ ნათქვამს, ცხადია, ბენილუქსის ქვეყნები ეთანხმებიან. ღიად ვამბობ — ნატო, თავდაცვის ერთ-ერთი სრულყოფილი სისტემაა, სადაც ჩვენ არ მიგვიღებენ. ყველაფერი დანარჩენი კი ლამაზი, დამამშვიდებელი სიტყვებია! ასე რომ, ახლა ამაზე მსჯელობა, საერთოდ, უნაყოფოდ მიმაჩნია.

— როგორც ჩანს, ძველი ხელისუფლების მუშაობა არც ისე უნაყოფოა საგარეო პოლიტიკის ნაწილში — ბევრს მიაჩნია, რომ „ნაციონალები“ „ოცნებას“, საგარეო ფრონტზე, ჯერჯერობით, უგებენ!

— იცით, სააკაშვილი და მისი მიმდევრები დასავლეთში მართლაც, ძალიან აქტიურად მუშაობენ და ისტერიკას ქმნიან, თითქოს, საქართველოში მოვიდა ხელისუფლება, რომელიც რუსეთის აგენტია და იქაც ყველა ისტერიკაში ვარდება. ამ დროს, ესეც ერთ-ერთი მორიგი ტყუილია, რაც სააკაშვილის რეჟიმს ასე სჩვევია!

— მაგრამ დასავლეთის პოზიცია შეცვლილია — როცა პირადად ხვდებოდით ქეთრინ ეშტონსა და მაღალი რანგის სხვა პოლიტიკოსებს, რომელთაც საქართველოში მიმდინარე პროცესებს აცნობდით, მაშინ მათი შეფასებები ბევრად კრიტიკული იყო „ნაციონალების“ მიმართ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა?

— ახლა სხვა რეალობაა — სააკაშვილის ხელისუფლება დაემხო და ის რევანშისთვის ემზადება: ხარჯავს 10-ჯერ მეტ ფულს, ვიდრე აქამდე, ქირაობს 30-ჯერ მეტ ლობისტს, რომლებიც ევროპელ და ამერიკელ ჩინოვნიკებთან დადიან და არწმუნებენ, რომ საქართველოში ტრაგიკული სიტუაციაა, რომ აქ ხელისუფლებაში რუსეთის აგენტურა მოვიდა, რომელსაც ქვეყნის დაძირვა და მისი დასავლეთისთვის ჩამოშორება სურს!

— დაჭერების კონტექსტშიც, დასავლეთი შერჩევით სამართალზე საუბრობს...

— მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეები არიან და მათი დაპატიმრება შერჩევით სამართალთან არანაირ კავშირშია, მაგრამ ძველ ხელისუფლებას აბსოლუტურად იდიოტური გეგმა აქვს — როგორმე, მსოფლიო უნდა დაარწმუნონ, რომ ეს ციხის კადრები დადგმული იყო! თუმცა ერთი არ მესმის — როგორ უნდა დადგა კადრი, სადაც ციხის თითქმის ყველა თანამშრომელი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ჩათვლით, ერთად დგას და პატიმრებს ურტყამს?! ეს ე.წ. კარანტინის დაშლის კადრები, გამაგებინონ, როგორ უნდა დადგა? ამიტომ, როცა პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მეკითხებით, შემიძლია, პირველი რიგის ტაქტიკური ამოცანა გაგანდოთ — ისეთი სამართლებრივი მექანიზმების მოძებნა გვინდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივროთ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადები, რადგან მას, რეალურად, ვადა 2013 წლის 20 იანვარს, მისი ინაუგურაციის დღეს ეწურება და არა 2013 წლის ოქტომბერში!

— რაკი საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ერთდროულად ვსაუბრობთ, მაშინ ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეულ, ტერიტორიული მთლიანობის საკითხსაც შევეხოთ — გაქვთ თუ არა მკაფიო ხედვა, როგორ უნდა დავარეგულიროთ ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობლებთან და დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო?

— იმით დავიწყებ, რომ მიხეილ სააკაშვილს, ამ კუთხით, არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს. არ ვიცი, რას იზამს ახალი ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ თუ მოვალთ ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, საზოგადოებას ჩვენ ხედვას შევთავაზებთ. მოკლედ გეტყვით: ჯერ ერთი, ზუსტად ვიცით, რა აინტერესებს დასავლეთს ისევე, როგორც რუსეთს — მხოლოდ ენერგეტიკული საკითხები, ასე რომ, აქ საერთო გადაკვეთის წერტილების გამონახვა შეიძლება და თუ ეს წერტილები ვერ გამოვნახეთ, ეს საკითხი არ გადაწყდება. თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ დღეს აფხაზი კაცი რუსს მეგობრად აღარ აღიქვამს, მაგრამ არც საქართველოში სურს დაბრუნება. ასევე, არსებობს სხვადასხვა კომბინაცია, რაც რუსეთსაც და დასავლეთსაც უნდა შევთავაზოთ, მაგრამ ამ სიტუაციაში, ყველაზე მეტად, მაინც ჩვენ მოვიგოთ. ათვლის წერტილი სწორედ საქართველო და ჩვენი ქვეყნის ინტერესები უნდა იყოს. გასაგებია, რომ რუსეთმა გვავნო და ჩვენი ძირძველი მიწები ახლა მის გამგებლობაშია. ისიც გასაგებია, რომ რუსეთზე სამართლიანად ვართ გაბრაზებულები, მაგრამ ბრაზს სამომავლო შანსები არ უნდა გადავაყოლოთ. კარგად უნდა გავიგოთ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალიან გაჭირდება, თუ ამ საკითხში რუსეთ-ამერიკა მოკავშირეები არ გახდებიან!

— ისინი რით უნდა დავაინტერესოთ — დაგაზუსტეთ, რა კომბინაცია შეიძლება გამოინახოს, რომ ეს ორივე ქვეყანა კმაყოფილი, საქართველო კი მოგებული დარჩეს?

— მათი მოკავშირეობა სწორედ ეკონომიკური ბერკეტებით უნდა ვცადოთ! ჩვენ ვიცით, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, თუმცა ხვდებით, რომ ამ ფორმატში, ყველასთვის ყველაფრის მოყოლა მართებული არ იქნება. სამწუხაროდ, „ნაციონალებს“ დღესაც არ ესმით, რომ საქართველო უბრალოდ ბერკეტი არ არის ამერიკის ხელში — ეს სახელმწიფოა, რომლის ამოცანა არც რუსეთთან ბრძოლაა და არც — ამერიკის ინტერესებისთვის თავგანწირვა! ამერიკა, ცხადია, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი უნდა იყოს, მაგრამ მასაც უნდა გავაგებინოთ, რომ ეს ცალმხრივ თავგანწირვას არ ნიშნავს — ჩვენ მათი დახმარება გვჭირდება, თუმცა არამხოლოდ ფულით,

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

რადგან სოხუმი და ცხინვალი ჩვენთვის ნებისმიერ ფულზე მეტია! ამასობაში კი, რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჯობია, ერთიანი საქართველო იყოს მისი მოკავშირე, ვიდრე პატარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როცა მტრად მათზე სამჯერ დიდი საქართველო ჰყავს! თუმცა, სამწუხაროდ, ახლა აფხაზებთან საუბარი ბევრად რთული გახდა. ისიც მტკივნეულია, რომ აქ უკვე ორი თაობა ისე გაიზარდა, ბევრმა ახალგაზრდამ საერთოდ არ იცის, სოხუმი და ცხინვალი რა არის და პირდაპირ ვიტყვი, არც იქ დაბრუნება აინტერესებს! ეს კი იმიტომ მოხდა, რომ წლების განმავლობაში, ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებისთვის არაფერი კეთდებოდა, პირიქით — ახალ თაობას უხსნიდნენ, რომ ძალიან კარგია, თუ ინგლისურად იმღერებ და „ბიგ მაკს“ შეჭამ! წლების განმავლობაში დამკვიდრებული ამ პოლიტიკის შემობრუნება სწრაფად და უმტკივნეულოდ არ გამოვა, მაგრამ მისაღებ ვადებში შესაძლებელია.

— ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან კიდევ ერთი, არანაკლებ მტკივნეული თემაა, რაზეც „წინააღმდეგობის მოძრაობა“ ჯერ კიდევ ხელისუფლების შეცვლამდე საუბრობდა — ფართომასშტაბიანი ამნისტია ციხეებში. რჩება თუ არა ეს საკითხი პარტიის პრიორიტეტადაც და ზოგადად, რა იქნება თქვენი ორგანიზაციის პრიორიტეტები?

— დავაზუსტებ, მაშინ ჩვენი ამოცანა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, იმ რეჟიმის სამოქმედო გეგმა კი — ქვეყნის ციხედ გადაქცევა და ყველას დაჭერა. ამიტომ ებრძოდა „წინააღმდეგობის მოძრაობა“ ამ სისტემას! მაშინაც ასე მიგვაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობთ, რომ პატიმართა 90% ციხეში უდანაშაულოდ ზის. დღესაც ფართო ამნისტიის მომხრე ვარ, მაგრამ სამწუხაროდ ჩანს, რომ ამნისტია ფართო არ იქნება! ჯობს, მოვლენების განვითარებას მაინც ბოლომდე დაველოდოთ, თუმცა პატიმართა უფლებებისთვის ბრძოლას, რა თქმა უნდა, პარტიის რიგებიდანაც გავაგრძელებთ. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ჩვენი პარტია არავის მოერიდება — მიტინგებს სააკაშვილის რეჟიმის დროს ვმართავდით და ახლა რა პრობლემაა? თუკი პატიმრების თემაზე მიტინგების მოწყობა გახდა საჭირო, კიდეც მოვაწყობთ და 15 000 კაცსაც გამოვიყვანთ! ყველას უნდა ესმოდეს — ბრძოლის ეს მეთოდები არსად არავის გადაუგდია, პირიქით, სწორედ ახლა უნდა ვითარდებოდეს და სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება მკვიდრდებოდეს!

— აქციების, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი გზის გარდა, პროგრამულად, რას სთავაზობთ თქვენს ამომრჩეველს?

— გეტყვით და სწორედ ესაა ჩვენი პრიორიტეტებიც — პირველი ნაბიჯი, რაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გადადგას, საარჩევნო სისტემის მოწესრიგებაა. ამაში მხოლოდ ამომრჩეველთა აღრიცხვა და უკეთესი საარჩევნო კანონმდებლობა არ იგულისხმება. მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში დეპუტატების რაოდენობა 200 კაცი უნდა იყოს და ქვეყანა, პირობითად, 200 თანაბარ საარჩევნო ოლქად

რა შემთხვევაში მოაწყობს 15 000-კაციან მიტინგს და რა სარჩელი შეაქვს სააკაშვილის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში „საქართველოს პატრიოტთა აღიანსს“

უნდა დაიყოს, სადაც ამომრჩევლის თანაბარი რაოდენობა ხმას მისთვის ცნობილ და სასურველ ადამიანს მისცემს. ღიად ვიტყვი — ჩვენნაირ პატარა ქვეყნებში მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები უნდა ტარდებოდეს და ხალხი თავის კანდიდატებს იცნობდეს, პარლამენტში კი დეპუტატები პარტიული სიით არ უნდა შედიოდნენ, რადგან არავინ იცის ვიღაც კაცი, ვინც სიაში 38-ე ნომრად წერია! ახლა, ზოგად მოსაზრებას გიზიარებთ და სხვა, უკეთესი საარჩევნო მოდელების დანერგვაც შეიძლება. უბრალოდ მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ამ და სხვა, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ჩვენი ხედვა გაგვაჩნია. მაგალითად, ვფიქრობ, რომ პარლამენტი ორპალატიანი უნდა იყოს, ხოლო მეორე პალატაში, სენატში, საქართველოს 21 ისტორიული კუთხიდან წარმომადგენლები უნდა ირჩეოდნენ. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეს ორი შტო ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს და ორივეს ისეთი ბერკეტები ჰქონდეს, ერთმანეთის შეკავება შეეძლოთ! მოკლედ, აქ ძალიან ბევრი სიღრმეა და არც იმის თქმას მოვერიდები, რომ ეს ცოდნა ბევრ პარტიას არ აქვს, ანდა, შესაძლოა, არც არავის ჰქონდეს. თავს კი არ ვიქებ, უბრალოდ, იმ პრაგმატულ რეალობაზე ვსაუბრობ, რაც არის!

— და ამდენი ხისტი რეფორმის პირობებში, რაც ამ წლებში გამოვიარეთ, არის თუ არა მზად საზოგადოება, მიიღოს თქვენი ხედვები და ახალ სისტემურ რეფორმებს დაუჭიროს მხარი?

— რეფორმა უწყვეტი რამაა — ის 5-10 კი არა, 200 და 500 წელს შეიძლება გაგრძელდეს. ყოველი ახალი ხელისუფლება მუდმივად ატარებს ახალ რეფორმებს, რადგან მისი საქმე სწორედ ესაა. ამიტომ ნებისმიერი ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა, ვალდებულია, რეფორმები გაატაროს. ასე რომ, დავიღალეთ თუ არა რეფორმებით, ეს ისაა, რასაც ჩვენ ვერ გავექცევით! ამას უნდა შევეგუოთ და ყოველთვის ამ გზით ვიაროთ! თუმცა მეორე საკითხია, რა რეფორმებს სთავაზობენ საზოგადოებას — მთავარია, რეფორმა ღია, ყველასთვის გასაგები და ხალხის მიერ მხარდაჭერილი იყოს. ხოლო ხალხს თუ არ მოსწონს, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და დავეკითხოთ, როგორი მოსწონს და კონსენსუსს მივაღწიოთ. ესაა მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კულტურა, რაც ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა!

— დაგვისახელეთ, ვინ იზიარებს ამ იდეებს — ვინ არის თქვენი საყრდენი ძალა პარტიის შიგნით და ვინ იქნებიან თქვენი პარტნიორი ძალები პარტიის გარეთ არსებული პოლიტიკური სპექტრიდან?

— საყრდენ ძალად, ცხადია, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ სახეები რჩებიან და არც ახალი სახეების ნაკლებობა გვექნება. მაგალითისთვის გეტყვით, რომ პოლიტიკაში ერთ-ერთ ახალ სახედ მანუჩარ მაჩაიძე მოგვევლინება, რომელიც არამხოლოდ ტიტულოვანი ფეხბურთელი, არამედ ჭადრაკის ოსტატი და მეცნიერებათა დოქტორია. პარტიაში ისეთი ხალხის გაერთიანებას შევეცდებით, ვისაც აქვს ცოდნა და შეუძლია, ქვეყანას შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი მაქსიმალურად სწრაფად შესთავაზოს. ჩვენ ვიქნებით მცოდნეთა, სწავლულთა და არა ინტრიგანთა პარტია, როგორებიც, სამწუხაროდ, ბოლო 2 წელიწადში მრავლად იქმნებოდა! დროა, ლანძღვასა და ცილისწამებას თავი დავანებოთ და საქმე ვაკეთოთ! რაც შეეხება პარტნიორებს, არსებულ პოლიტიკურ სპექტრში, ჩვენ მათ არ ვეძებთ. უბრალოდ, მხარს დავუჭერთ პერსონალურად ბიძინა ივანიშვილს, რადგან ამ კაცს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. „ქართული ოცნება“ პარტიაცაა და კოალიციაც და ეს ორი სხვადასხვა რამაა. თუ პარტიაზე ვსაუბრობთ, თუნდაც, სოსო ჯაჭვლიანი „წინააღმდეგობისა მოძრაობის“ წევრიცაა და ცხადია, მათთან მეგობრობა გვაკავშირებს, თუმცა კოალიციაში სხვა უამრავი პარტია შედის, რომელთანაც, პირდაპირ ვამბობ, პარტნიორობა კი არა, კონკურენცია გვექნება. ამ ეტაპზე, ყოველგვარი კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ — ერთს ვიტყვი: პარტიას არავის დასამარცხებლად არ ვქმნით — იგი საქართველოს გასამარჯვებლად იქმნება!

facebook NEWS

გოჩა კელენჯერიძე

წმიდა ბარბარეს მადლი მოასწრებს ქართველობას ერთმანეთის დამხმარე და ერთმანეთზე გადაგებულ, ერთმანეთისთვის თავგანწირული, ერთ სისხლ-ხორც და სულ შეკრული ქართველების საქართველოს!

ქრისტიანული ფორმულა გადარჩენისა და საკუთარი ბედნიერების საპოვნელად — გაჭირვებული ქართველების დახმარებას გულისხმობს და წაქცეულის ფეხზე დაყენებას...

ეს ფეისბუქობანას დრო უნდა დამთავრდეს და ყველა ქართველმა თვალებში უნდა ჩახედოს ერთმანეთს. ეს პირადი პასუხისმგებლობის — მამულიშვილობის გარდაუვალი ცეცხლის დანთებითაა შესაძლებელი თითოეული ქართველის გულში, იმ სანთლად რომ გამოანათებს — საქართველოს, ანუ თითოეული ქართველის გადასარჩენად მათი თვალებიდან — მერაბმა რომ გვითხრა — სანთლით მოძებნიან ქართველები ბოლოს ერთმანეთსო...

გაერთიანდით, დარბაისელო ქართველებო ყველა ქვეყნის ყველა ქალაქში ისეთი ტიპის კულტურულ-პოლიტიკურ-მამულიშვილურ ჯგუფებად — სალონების ტიპის ქართული კერები რომ იყო ქართულ ინტელიგენციისა მე-19 საუკუნეში...

დღეს, საქართველოს ხელისუფლებას უნდა მივაწოდოთ გონიერი ქართული ემიგრაციის თხოვნა, რომ ემიგრანტებთან მიმართებაში შეცვალოს არსებული ტაქტიკა, რომელიც გულისხმობს ჩვენი დაუყოვნებლივი დაბრუნების მიზანშეუწონლობას ორი არგუმენტით 1 — ქართული ემიგრაციის მიერ გადარიცხულ თანხას დაკარგავს საქართველოს ბიუჯეტი და 2 — საქართველოში ჯერ არ არის პირობები თითქმის ნახევარი საქართველოს ემიგრაციიდან დაბრუნებისთვისო.

ხელისუფლების ტაქტიკა, ამ საკითხის გადასაჭრელად, წინასწარ პირობების მომზადებას, ანუ საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას ითვალისწინებს, რაც უტოპიური შეცდომაა, რადგან ნახევარი ერი ვერ შეძლებს მთელი ერის საქმის გაკეთებას, ის ვერც საკუთარი საქმის კეთებას შეძლებს, ვიდრე არ გამთლიანდება. ქართველი ერი, ისევე, როგორც ჩვენი სულები — ორად არის გახლეჩილი და მისი გამთლიანების მოთხოვნით, ჩვენ ქართული ემიგრაციის იმ ნაწილმა, რომელნიც ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი სამშობლოს წინაშე და რომელნიც ვისწრაფვით დაბრუნებას საქართველოში, თუნდაც სიცოცხლის ფასად, რომელნიც არ ვივიწყებთ თითოეული ქართველის უფლებას — იყოს თავისუფალი საკუთარ მიწაზე — მიწის კანონის მიღებას ვითხოვთ საქართველოს პარლამენტისგან, რომელიც მფლობელობაში დაუკანონებს თითოეულ ქართველ ემიგრანტს საკუთარ წილ ქართულ მიწას და დაბრუნებული — გამობრძმედილი ქართული ემიგრაცია — არა მარტო წალკოტად გადააქცევს საკუთარ მიწას, არამედ — პირველ რიგში, მომგებიანი სახელმწიფოებრივი ეფექტურობით ჩაანაცვლებს სახელისუფლებო და ხელმძღვანელ კადრებს და მეორე რიგში — დაბრუნებული ქართული ემიგრაცია, იმ გამოცდილებით, რომელიც მას აქვს, წარმატებით დაასაქმებს საქართველოს საკეთილდღეოდ საქართველოში დარჩენილ ქართველობას, რომელნიც გამოცდილების არქონის გამო, სრულიად დაუცველნი და უუფლებონი არიან იმ ახალი ეკონომიკური სისტემის წინაშე, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, მათი გადარჩენილი მცირე ნაწილის მომსახურე და გასართობ პერსონალადაა გამეტებული საკუთარ სამშობლოში, ეს კი — აპარტეიდია, რომელსაც თითოეული გონიერი ქართველის ნებითა და თანადგომით, სამართლიანობისა და ლეგიტიმურობის პრინციპით და რაც მთავარია, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარით — საქართველოს პროვინციული ფაშიზმის ლენინური ტირანიისაგან განმათავისუფლებელ ხელისუფლებასთან ერთად ადვილად და დაუყოვნებლივ აღვკვეთთ იმ საქართველოში, რ ომელთაც საკუთარ სამშობლოში ეროვნული, ქრისტიანული და დემოკრატიული ქართული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უფლების პრეტენზია გვაქვს და ეს მიზანი ნამდვილად თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეზე მეტია, ალბათ — ისევე, როგორც იყო ის ჩვენი წინაპრებისთვის...

ქართველები უნდა დაბრუნდნენ დაუყოვნებლივ საქართველოში — ყველა ქვეყნიდან, რადგან საქართველო არის ქართველი ერი და არა მისგან დაცლილი ტერიტორია. — წმიდაო დაგვიცევ!

დავით დევიძე
5(93) 219 042

„ომის მოგებაც შეგვეძლო და როკის გვირაბამდე გაუჩერებლივ გასვლაც, მაგრამ ბრძანება არ მოგვცეს!“

„ვერსია“ აგრძელებს 2008 წლის აგვისტოში მთავარსარდალ სააკაშვილის მიერ გმირულად წარმოებული ბრძოლების აღწერას. ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი რეზო გურგენიძეა. იგი პროფესიონალი ტანკისტია და საბჭოთა არმიაში სატანკო ნაწილში მსახურობდა. 1989 წელს სამშობლოში დაბრუნდა, რათა თავისი ცოდნა ეროვნული ჯარის ჩამოყალიბებისთვის გამოეყენებინა. ჯერ მე-11 ბრიგადის მეთაურად დაინიშნა, მერე იყო შეიარაღების უფროსი, შემდეგ მთელი ხუთი წლის განმავლობაში, სამშვიდობოთა სარდალი ცხინვალში. სხვათა შორის, პუტჩის დროს სთხოვეს, რუსთაველზე ტანკები გამოიყვანე და გამსახურდიას ჩამოგდებაში მოგვეხმარეო, რაზეც უპასუხა: ქართველმა კაცმა რუსთაველზე ტანკით როგორ გავიაროო. მოკლედ, არც პროფესიონალიზმი აკლია და არც — კაცობა, მაგრამ 2003 წლის შემდეგ, მისთვის, როგორც საბჭოთა ოფიცრისთვის, ქართულ არმიაში ადგილი აღარ აღმოჩნდა და ჯარიდან უბოდიშოდ გამოუშვეს ისევე, როგორც ბევრი სხვა პროფესიონალი. მოკლედ, ომამდე ტანკისტი ვიყავიო — სწორედ მასზეა ნათქვამი. არადა, მიიჩნევს, რომ ჩვენთან ტანკისტობა იშვიათი პროფესიაა, რადგან კადრები ძალიან ცოტაა — სულ რამდენიმე ოფიცერი. როცა ბატონ რეზოსთან ინტერვიუს ჩასაწერად მივედი, ძმასთან — ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი გურგენიძესთან ერთად დამხვდა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის აქტიური მონაწილეა. გთავაზობთ მათი თვალით დანახული ომის შეფასებასა და ანალიზს.

გენერალი რეზო გურგენიძე: — მართალია, არმიიდან 2003 წელს გამომიშვეს და 2008 წლის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ჯარში კავშირები დღემდე მაქვს და კარგად ვიცი, მაშინ რა მოხდა. როდესაც პირველად მითხრეს, ჩვენები სამხედრო ოპერაციას გეგმავენო, ჩემს ძმას, გიორგის, რომელიც მაშინ საარტილერიო ბრიგადის დაზვერვის უფროსი იყო და ამ ბრიგადის მეთაურს გენერალ ჭანკვეტაძეს ვუთხარი: სად მიდიხართ და რას აკეთებთ, ხალხი არ ხართ, ცხინვალი რომ აიღოთ, მაშინ ხომ სოხუმიდან შემოვლენ ან, თუ მაინცდამაინც გინდათ ცხინვალში შესვლა, ეს უნდა განახორციელოთ შემოვლითი მანერვრით, ანუ უნდა წახვიდეთ რაჭის გავლით, მოუაროთ ნაქერალაზე და, ონის გავლით, ჩააღწიოთ როკის გვირაბამდე. ავუხსენი, რომ ამით საგრძნობლად ვაძლიერებდით ჩვენს თავდაცვით პოზიციებს. მერე ისიც ვიკითხე, თვითმფრინავებით რომ შემოგვიტიონ, ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები გაგვაჩნია-მეთქი?

ისეთი საშუალებები გვაქვს, ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო, მივიღე პასუხად როგორც ჯარის, ასევე უშიშროების ბიჭებიდან. ჩიტის შემოფრენა კი არა, თბილისში როგორც უნდოდათ, ისე დაფრინავდნენ რუსები.

— მითხრეს, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები ჰქონდათ, მაგრამ ძირითადად არ შლიდნენ რადარებს, რადგან სიგნალს გამოსცემს და მტერი ამ სიგნალის მიხედვით გაანადგურებდა.

— სწორად უთქვამთ. ჰქონდათ, მაგრამ ქონებას გამოყენება უნდა. მართლა შეეშინდათ, რომ იერიშს მიიტანდნენ ამ საშუალებებზე და აღარ გამოიყენეს(?!). ამას თავი გავანებოთ, არც ერთი ჩვენი თვითმფრინავი არ ასწიეს ჰაერში იმავე მიზეზით — რუსები ჩამოაგდებენო. აი, ასეთი ომი გვქონდა. არადა, თუ მიდიხარ და ასეთ კამპანიას იწყებ, გაბედულებაც ხომ უნდა გქონდეს, მით უმეტეს, როცა იცი, შენს წინააღმდეგ იბრძვის რუსეთი.

— რა გითხრეს, რეკომენდაციები როცა მიეცით საომარი ოპერაციების დაგეგმვასთან დაკავშირებით?

— ყველაფერი ჩაიწერეს, მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსს, გოგავას ვუთხარი, რომ პირველ რიგში, უნდა აეფეთქებინათ ჯავის ძველი და ახალი ხიდები, მოწინააღმდეგე აქეთ სწრაფად რომ ვეღარ გამოსულიყო. იმ ხიდების გაკეთებას სამ დღეს ხომ მაინც მოუნდებოდნენ. ამასობაში კი, დროს ვიგებდით, რასაც ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ ერთმა დიდმა კაცმა უშიშროებიდან, მკითხა: რამე რომ მოხდეს, რუსებს გავუძლებთო? ვუპასუხე, თუ არ მივცემდით სწრაფად შემოსვლის საშუალებას, ყველაფერი შესაძლებელი იყო. იმ აფეთქებული ხიდების შეკეთებაში დროს ხომ დაკარგავდნენ. მართალია, არსებობს სპეციალური სამხედრო ხიდები, მაგრამ რუსები როცა მათ გაშლას შეეცდებოდნენ, უნდა გვებომბა თვითმფრინავებით. ამათ კი თვითმფრინავები საერთოდ გადამალეს. თუმცა რა დაბომბვაზეა საუბარი, როცა ხიდების აფეთქებაც კი ვერ გაბედეს.

— წეღან როკის გვირაბი ახსენეთ. ექსპერტთა აზრი ორად იყოფა ამ გვირაბთან დაკავშირებით. ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი უნდა აგვეფეთქებინა, ნაწილი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

— თუ რამეს ვაპირებდით და, როგორც ჩანს, ვაპირებდით, პირველი, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ეს იყო როკის გვირაბის აფეთქება. ამის შემდეგ მთიდან გადმოსული ქვეითების მოგერიება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით იოლი იქნებოდა...“

ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი გურგენიძე, რომელიც 2008 წლის ომში თავად იბრძოდა:

— სამხედრო ოპერაცია ტაქტიკურად არასწორად იყო დადგენილი. უფრო სწორად, საერთოდ არ იყო დაგეგმილი, თუმცა, მანამდე, 2-3 წლის განმავლობაში, ვმუშაობდით გეგმებზე და დამუშავებული გეგმაც არსებობდა. თავდაცვის სამინისტრო ამუშავებს გეგმას, თუ რა ტაქტიკით უნდა იომოს ამა თუ იმ დანაყოფმა, ამისთვის არსებობს ოპერაციული დაგეგმარების დეპარტამენტი და მან უნდა შეასრულოს ეს სამუშაო, თუმცა, არც ერთმა შემუშავებულმა გეგმამ არ იმუშავა.

— რატომ არ იმუშავა?

— გადამწყვეტ მომენტში, ვინ რა იფიქრა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ თავდაცვის სამინისტროს ეგიდით დაიწყო ბრძოლა. მეწინავედ, რატომღაც, შსს გაუშვეს დროშებით, ეტყობა, სულ სხვა გათვლა ჰქონდათ.

— თქვენი ბრიგადა სად იბრძოდა?

— ჩვენი დისლოკაციის ადგილი იყო გორში, საიდანაც ცხინვალამდე შევედით. გავანადგურეთ რუსების პირველი ორი კოლონა. გახსოვთ, ალბათ, რუსების დაჭრილი სარდალი რომ გაიქცა. რუსებს დღემდე ვერ მოუნელებიათ ეს მარცხი. ეს კადრები ინტერნეტითაცაა გავრცელებული და მთელმა მსოფლიომ ნახა.

— გეთანხმებით, თქვენ მაშინ კუდით ქვა ასროლინეთ მტერს. ამის შემდეგ რა მოხდა, რატომ გამოვიქეცით ასე სამარცხვინოდ, არ შეიძლებოდა რუსებთან ბრძოლა?

> **— ბრძოლაც შეიძლებოდა და მოგებაც, მაგრამ არ იყო მეთაურობა, ვინაიდან და რადგანაც ბატალიონის მეთაურები, ბოდიში და, ჟღვლინტიანები იყვნენ, ასეულის მეთაურები — მოუმზადებლები, ხოლო ოცმეთაურების ზოლი მთლიანად იყო ამოვარდნილი, ანუ გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ ჰქონდა, არ იცოდნენ, რა გადაეწყვიტათ.**
> **ჯარი იყო დაბნეული. როცა ცხინვალში შევედით და შევასრულეთ პირველადი დავალება, ამის შემდეგ კაცმა არ იცოდა, რა უნდა გაგვეკეთებინა. არადა, ომის დაწერილი კანონია და სამხედრო აკადემიის დამთავრება არ სჭირდება იმის ცოდნას, რომ ტერიტორიის დაკავების შემდეგ, პოზიციები უნდა გაამაგრო და მორიგი იერიშისთვის მოემზადო. ამაზე საერთოდ არავის უფიქრია.**

— თქვენ რომ რუსების პირველი კოლონა გაანადგურეთ, მერე რა მოხდა?

— რუსები გაიქცნენ. წესით, მერე ჩვენ უნდა შევსულიყავით და გაგვემაგრებინა ის პოზიცია, მაგრამ არ გვქონდა არანაირი ბრძანება, რა წინ წაწევაზეა საუბარი? ცხინვალში შევდიოდით დღეში ორჯერ. გათენდებოდა — ავიღებდით ქალაქს. დაღამდებოდა — გადავიკიდებდით თოხებივით ავტომატებს და გამოვიდოდით უკან — ნიქოზში. მეორე დღეს ისევ იგივე. არავითარი ხელმძღვანელობა და მართვა. ეს იყო რაღაც გაუგებარი სიტუაცია. ოთხი ბრიგადა შეიძლება ერთ გზაზე? მთელი ჯარი, ფაქტობრივად, თავმოყრილი იყო ქვემო და ზემო ხვითში. მე-4 ბრიგადას ჰქონდა დავალება, რომ შემოევლო ცხინვალისთვის და გასულიყო ჯავის ხიდთან, მაგრამ დასცხეს ზევიდან და ამით დამთავრდა ყველაფერი. არადა, წეღან რეზო დროის მოგებაზე საუბრობდა.

> **დროის მოგებაც შეგვეძლო და ომის მოგებაც. შეიარაღებით ვჯობდით რუსებს, ასევე სამხედრო მომზადებითაც, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ვიბრძოდით და საკუთარ მიწას ვიცავდით. ანუ, ყველაფერში უპირა ტესობა გვქონდა. შეგვეძლო, როკის გვირაბამდე გაუჩერებლივ გავსულიყავით, მაგრამ ვერ გავედით იმიტომ, რომ ბრძანება არ მოგვცეს. ერთ ადგილზე ჩვენი ბიჭები ვნახე, ვკითხე, აქ რას აკეთებთ, ბიჭებო-მეთქი? არ ვიცით, რა გავაკეთოთ, მეთაურები არ გვყავსო, იმალებიანო, მიპასუხეს, ამიტომ იყო სამარცხვინო ომი. ჩვენ ბრძოლა შეგვეძლო, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვცეს...**

P.S. აი, სააკაშვილის მიერ დაგეგმილი ტაქტიკური ბრძოლის კიდევ ერთი უბადლო ნიმუში. იმის მიუხედავად, რომ ომამდე მილიონები დაიხარჯა კადრების მომზადებასა და იარაღის შეძენაში, გადამწყვეტ დროს ეს კადრები სრულიად უსუსური აღმოჩნდა, ხოლო იარაღი — გამოუყენებელი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი წინასწარ გეგმავდა იმას, რაც მოხდა, ანუ რუსებისთვის ტერიტორიის დათმობას. ომის შემდეგ კი, საკუთარი დანაშაული სხვებს გადააბრალა. ისევ სამხედროებს შეახოცა ხელი, რომელთა ერთი ნაწილი საერთოდ გაყარა არმიიდან, უფრო დიდი ნაწილი სხვადასხვა უაზრო ბრალდებით ციხეში გამოამწყვდია. ფაქტობრივად, ეს ხუთდღიანი ომი კარგად რომ გავაანალიზოთ, სრულიად საკმარისი იქნება, რომ საკაშვილი და მისი „სარდლობა“ ღალატის ბრალდებით გასამართლდნენ. არმიის შენება, „პლეხანოვზე“ ფასადების შეღებვა არ არის. „მთავარსარდალი“ სწორედ ფასადურ კეთილდღეობას ქმნიდა, რაც ქვეყანას დაკარგულ ტერიტორიებად და საზარბაზნე ხორცადქცეულ ბიჭებად დაუჯდა.

ვერსიანიუსი

პანკისის ხეობაში უხუცესთა საბჭო შეიქმნა

პანკისის ხეობაში უხუცესთა საბჭო შეიქმნა. საბჭოს თავმჯდომარედ დუისის მკვიდრი, 83 წლის სოსო ქავთარაშვილი აირჩიეს. საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სხვა კანდიდატურებიც განიხილებოდა, რომლებსაც შს სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ლობირებდნენ.

სწორედ მათ უმრავლესობას შეხვდა შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რამდენიმე დღის წინ, პანკისის ხეობაში სტუმრობისას. პანკისის ხეობაში უხუცესთა საბჭო ფორმალურად არსებობდა, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. ხეობაში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ე.წ. პანკისის ჯამაათის ხელმძღვანელები იღებდნენ, თუმცა ამ გადაწყვეტილებას ხეობაში მცხოვრები ტრადიციული ისლამის მიმდევრები არ იზიარებდნენ. პანკისის ჯამაათს, ძირითადად, ე.წ. ვაჰაბიტები მართავენ. მათგან რამდენიმეს ახლო ურთიერთობები აქვს შს სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელობასთან.

„ჯი-ეიჩ-ენი“

საპარლამენტო კომისია „ნაციონალურ მოძრაობას“ დროშას ართმევს

2012 წლის 21 ნოემბერს „თავისუფალმა საქართველომ“ საქართველოს პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, რომლის შემუშავება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო დროშის გამოყენება ხდება არასათანადოდ ცალკეული იურიდიული პირების მიერ. კანონპროექტით იკრძალება სახელმწიფო სიმბოლოს, სახელმწიფო დროშის გამოყენება ცალკეული ორგანიზაციების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების სიმბოლოდ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, წლების განმავლობაში, თავის პარტიულ დროშად იყენებს საქართველოს სახელმწიფო დროშას, რაც არღვევს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებს სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო გამიჯვნის აუცილებელი ნორმების დაცვის შესახებ. საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის საკითხების განსახილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ თავისუფალი საქართველოს მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება შეისწავლა და დადებითი დასკვნა მისცა. კომისია საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ არასახელმწიფო და იურიდიული პირების სიმბოლოდ სახელმწიფო დროშის გამოყენების აკრძალვა კომისიისათვის მისაღებია და მზად არის, სახელმწიფო დროშის ცვლილების საკითხზე „თავისუფალ საქართველოსთან“ ითანამშრომლოს. **„კომისია დასაშვებად მიიჩნევს, საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციების დროშების აღმართვას სახელმწიფო დროშასთან ერთად მხოლოდ სახელმწიფო დროშის გამოყენების წესების დაცვით“,** — ნათქვამია კომისიის დასკვნაში.

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ვინ არის ყვარლის ახალი გამგებელი, რომელმაც „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად კანადაში ბიზნესი მიატოვა

დავით ქევხიშვილი: „მიღიარდიანი ფონდიდან დაზარალებულებს თანხა 2013 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დაურიგდება“

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დაწყებული პარტიული გადაჯგუფება ყველა რაიონში მტკივნეულად როდი სრულდება. მაგალითად, „ნაციონალებმა“ დიდი სიხარულით და რაც მთავარია, შენობებში გამაგრებისა და კარის გადარაზვების გვერდისავლით დაუთმეს „ოცნებას“ ლამის მთელი კახეთი. დაახლოებით, ასეთი სიხარულით გადადგა ყვარლის გამგებელი ბესიკ ზანდარაშვილიც, საკუთარი განცხადების საფუძველზე და თან დააყოლა: „დავიღალე უკვე, რამდენი ხანია, ამ თანამდებობაზე ვარ — აღარ მინდა, უნდა დავისვენო“. ასე მიატოვა 2007 წლიდან გამგებლის პოსტზე დანიშნულმა ზანდარაშვილმა, დასეტყვილი რაიონი და მოსავალგანადგურებული მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილის მილიარდიანი ფონდის იმედად. თუმცა, როგორც „ვერსიას“ ახალმა გამგებელმა, 29 წლის სპორტსმენმა, ДАВИТ ქევხიშვილმა შეატყობინა, 2013 წლის იანვრიდან ეს ფონდიც შეიქმნება და აღწერის საფუძველზე დადგენილი ზარალის შესაბამისად, მოსახლეობას საკომპენსაციო თანხაც დაურიგდება:

— ყვარლის გამგებლად ჩემი დანიშვნის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი ის იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი სწორედ მე გახლდით რაიონში. კარგია, რომ ყვარელში არანაირი კითხვის ნიშნები და დაძაბულობა არ ყოფილა გამგებლის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე ვმართავთ ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებს, მათ შორის, საკრებულოშიც. სხვათა შორის, მოვასწარით საუბარი ყვარლის პრობლემებთან დაკავშირებით და საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მივიღე, თუმცა — არასრულყოფილად. ამიტომ შეხვედრები გრძელდება და არსებული პრობლემების გადაწყვეტაც ეტაპობრივად დაიწყება.

— პირველ რიგში მოსაგვარებელ პრობლემად რა მიაჩნია ახალ გამგებელს?

— პირველ ეტაპზე, აუცილებლად უნდა დასრულდეს რაიონის ყველა სოფლის წყლით უზრუნველყოფა. ეს პროცესი, ნაწილობრივ, დაწყებულიც იყო. იგეგმება რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაც, რათა ყვარელი ტურისტებისთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს.

— არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდით — დასეტყვილ რაიონს მკაცრი ზამთრის წინ იბარებთ. შეგიძლიათ კონკრეტული თარიღი დაასახელოთ, როდის მიიღებს მოსახლეობა დაპირებულ კომპენსაციას?

— შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ გლეხების დაკმაყოფილება ძალიან მალე ადგილებზე მოხდება და ამაში სწორედ სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდი შეასრულებს ყველაზე დიდ როლს. მეტსაც გეტყვით — ეს ფონდი იანვარში შეიქმნება. ხოლო კახეთში უკვე დაწყებულია აღწერა, ზარალის დაანგარიშება თითოეულ ოჯახში მიმდინარეობს და სრული ინფორმაცია უკვე ამ კვირის ბოლოს გვექნება. სწორედ ამ დაზუსტებული ინფორმაციის მიხედვით გაიცემა თანხები ახალი წლის პირველი რიცხვებიდან!

— რაიონის განვითარებას ის ფაქტი თუ შეაფერხებს, რომ ყვარლის მაჟორიტარი „ნაციონალი“ მარიკა ვერულაშვილი გახდა, გამგებელი — თქვენ, „ოცნებიდან“ და ამ ორ პარტიას შორის დაძაბული პოლიტიკური ფონია?

— მინდა, საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ჩვენს შორის არანაირი დაძაბულობა და კინკლაობა არ არის და არც მომავალში იქნება! თუკი სადმე შეიძლება გამოვიყენოთ ახალი ტერმინი კოჰაბიტაცია, ეს სწორედ ყვარლის რაიონია! აბსოლუტურად გამოვრიცხავ იმას, რომ ყვარლის რაიონი შესაძლოა, ჩვენი დაძაბული ურთიერთობის გამო დაზარალდეს — დაძაბული ურთიერთობა უბრალოდ, არ არსებობს!“

ასე, დაძაბულობის გარეშე, მიიღო ყვარლის რაიონმა ახალგაზრდა სპორტსმენი გამგებლად, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში დამარცხებულმა ქევხიშვილმა ორი, გამგებლისა და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი. **თუმცა, როგორც სრულიად ახალ სახეს პოლიტიკაში, საზოგადოება ნაკლებად იცნობს, სამაგიეროდ, იცნობენ ძიუდოისტ ქევხიშვილს, რომელიც ახალსოფელში დაიბადა და რაიონი რამდენჯერმე ასახელა. ადგილობრივ სკოლაში სწავლის პარალელურად, ქევხიშვილმა სპორტული მოღვაწეობა სოფელში გახსნილ ძიუდოს სექციაზე დაიწყო. შემდეგ სწავლა თბილისში, თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა და შეეცადა, დაემსხვრია სტერეოტიპი „კუნთმაგარი და ჭკუასუსტი სპორტსმენების“ შესახებ. როგორც გადეპუტატებული „ოცნების“ წევრი, ევროპის საუკეთესო მწვრთნელი ძიუდოში ШОТА ხაბარელი ამბობს:** „სიტყვა „სწორდი“, ეს ნიშნავდა, აიღეთ მაგალითი დათოსგან! ის ჩემი მოსწავლე იყო, ერთ-ერთი უნიჭიერესი და განათლებული ადამიანი, უამრავი ტიტულით“. **მართლაც, დავით ქევხიშვილი, 2002 წლიდან მოყოლებული, 10 წლის განმავლობაში, ნაკრების პირველი ნომერია, 6-ჯერ ხდება ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში, მონაწილეობს ათენისა და პეკინის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მისი საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილია. 2005-2009 წლებში ძიუდოისტთა გუნდის კაპიტანია, ახლა კი უკვე ფედერაციის პრეზიდენტიც, თუმცა, ჯერ ვერ აკონკრეტებს, როგორ უნდა გახდეს სპორტული ფედერაცია აპოლიტიკური და რაა შესაცვლელი ფედერაციის მუშაობაში, რომელიც ასე არ მოსწონდა:** „დღეს ყველა სფერო პოლიტიზებულია, მათ შორის, სპორტიც. როცა ძიუდოს ნაკრებში ვიყავი, მახსოვს, იყო გარკვეული მოთხოვნები და ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან, რომ ჩვენ გუნდს ყველაფერი ისე გადაეწყვიტა და გაეკეთებინა, როგორც არსებული რეჟიმი მოისურვებდა. ამაზე ხშირად უარს ვაცხადებდით. მე კი, როგორც გუნდის კაპიტანს, პირველ რიგში, უნდა დამეცვა ჩვენი სპორტსმენების პოზიცია და ინტერესები. სწორედ ამან გამოიწვია უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა ჩემსა და მაშინდელ ხელისუფლებას შორის. ეს პირველად 2007 წლის ცნობილი მოვლენებისას მოხდა, როცა ხალხი დაარბიეს. ძალიან ბევრ საკითხზე მქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი, თუმცა მაინც ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, არანაირ მოწონებას არ იმსახურებს მოქმედი სპორტსმენის მიერ პოლიტიკური განცხადებების კეთება, რომელი მხარის სასარგებლოდაც უნდა იყოს. სპორტსმენი მთლიანად თავის საქმეში უნდა იყოს ჩართული, ხოლო როცა ხელისუფლების მხრიდან ხდება მითითება, ახლა ასეთი პოზიცია უნდა დაიჭიროო, ხშირ შემთხვევაში, ეს ძალიან ცუდ გავლენას ახდენს შედეგებზე. ამიტომაც არ მქონია აქამდე არანაირი პოლიტიკური გამოცდილება... მე სპორტსმენი ვარ, ძიუდოისტი და ალბათ, ამან განაპირობა ჩემი დანიშვნა ფედერაციის თავმჯდომარის პოსტზე. ძიუდოს ფედერაცია ერთ-ერთი წამყვანი უნდა გახდეს საქართველოში და ყველა სპორტსმენის ინტერესების დაკმაყოფილება უნდა მოახერხოს. ერთი კაცი ამას ვერ გააკეთებს, ფედერაცია ერთიანი და ძლიერი თუ არ იქნება“, — **აცხადებს პოლიტიკაში მოსული სპორტსმენი, რომელმაც, როგორც დღეს ხსნის, გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის გამო შეცვალა — მეტიც, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კანადაში, მეგობრებთან ერთად დაწყებული ბიზნესიც მიატოვა და პოლიტიკურ ცვლილებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში დაბრუნდა:** „კანადაში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი. საერთოდ, იქ იმიტომ აღმოვჩნდი, რომ მივხვდი, ჩემი ადგილი აღარ იყო ამ ქვეყანაში — ახალი ცხოვრების დაწყება მინდოდა. კანადაში ჩემი პატარა სამშენებლო ბიზნესი მქონდა მეგობრებთან ერთად, ამის პარალელურად ვვარჯიშობდი, ბავშვებსაც ვავარჯიშებდი და ინგლისურ ენასაც ვეუფლებოდი. უბრალოდ, აქ, საქართველოში ვერ შევძლებდი, ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მოღვაწეობა საყვარელი პროფესიით გამეგრძელებინა. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი იყო. წელიწადნახევრის შემდეგ კი, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გავიგე და გადაწყვეტილება შევცვალე. ამ დროს უკვე ზუსტად ვიცოდი, პოლიტიკისკენ არასდროს გავიხედავდი, რადგან ვაპირებდი, მთელი ჩემი სამომავლო გეგმები კანადისთვის დამეკავშირებინა, თუმცა რეალური ახალი ცხოვრება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ დავიწყე. როგორც კი მისი სურვილების შესახებ გაცხადდა, პირველივე ეტაპზევე მომინდა, ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიმეღო“, — **მიიღო კიდეც და კანადაში სამშენებლო ბიზნესით დაკავებული იურისტი ძიუდოისტი ჯერ პარტია „ქართულ ოცნებაში“, მერე ყვარლის გამგებლის სკამზე აღმოჩნდა.**

სხვათა შორის, ვიდრე მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, ყვარლელებს ბევრი დაპირებაც მისცა: რაიონში ერთი, 26-ადგილიანი საავადმყოფო დაგვრჩა, სადაც კატასტროფული ფასებია და ხალხს ვპირდები, მოსახლეობის რაოდენობის ადეკვატურ საავადმყოფოს ავაშენებთო. არც რაიონის გაზიფიკაცია მოსწონდა — ჩემს სოფელში, ახალქალაქში, გაზი მხოლოდ ახლა შეჰყავთ და ესეც მოსახლეობის ხარჯზე კეთდება, რაც 600 ლარამდე ჯდება და ადგილობრივები ვერ იხდიანო. იმასაც ამბობდა, წყალს მიაქვს აქაურობა, არადა, პენსიონერებს წყლის გადასახადი პენსიიდან ექვითებათ, რეალურად კი, წყალს ხელით ეზიდებიან და მასზე დაწესებული არაადეკვატურად გაზრდილი ტარიფები აწუხებთო. თავად ქევხიშვილს კეთილმოწყობილი კლუბისა და გასართობი ცენტრის არარსებობა აწუხებდა რაიონში, ამიტომ ახალგაზრდებს კულტურული და გასართობი დაწესებულებების აშენებასაც პირდებოდა. მოკლედ, ყვარლელების „ვალებით“ დახუნძლული მაჟორიტარობის კანდიდატი ახლა გამგებელია და არანაკლებ ეფექტური მუშაობა შეუძლია საკმაოდ ეფექტური პოსტიდან, რომ წინასაარჩევნო დაპირებები ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს!

ვინ აკონტროლებს სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ მანდატურებს?

მოლი კორსო

EURASIANET.org

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს, ქართულმა სკოლებმა ინგლისური ენის შესწავლისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, წინსვლას მიაღწიეს. დღეს, ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება განათლების სისტემის რეფორმირების სფეროში ახალი ამოცანების გადაწყვეტას შეუდგა. კერძოდ, საქმე ეხება სკოლებში „მანდატურის“ ინსტიტუტის რეორგანიზაციას. მანდატურები ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

მანდატურთა ინსტიტუტი (სკოლებში წესრიგზე ზედამხედველი პირები), რომელიც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წელს ამოქმედდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული დანაყოფია. მანდატურები მხოლოდ დერეფნებში წესრიგზე ზედამხედველები არ იყვნენ, მათ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოეგვარებინათ ისეთი დიდი ხნის

პრობლემა, როგორიც იყო სკოლებში ძალადობა და დაშინება. თუმცა, ზოგიერთი ოპონენტი შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ზედამხედველთა სამსახურის მუშაობა სხვა მიზანსაც ემსახურებოდა, კერძოდ, ის ეხმარებოდა შინაგან საქმეთა ძალოვან სამინისტროს სასკოლო ადმინისტრაციისა და პედაგოგების გაკონტროლებასა და იმაში, რომ განათლების სისტემას მოქმედი ხელისუფლების ინტერესებში ემოქმედა. ამ პროგრამის წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად, საქართველოს განათლების ახალი მინისტრი მის რეფორმირებას ამჯობინებს და არა — დახურვას. სასკოლო ზედამხედველების იდეას საფუძველი გააჩნდა, აღნიშნა **EurasiaNet.org**-თან ინტერვიუში, მიუხედავად იმისა, რომ მისი „განხორციელება“ პოლიტიზებული იყო.

განათლების ექსმინისტრმა, რომელიც ამ პროგრამას ახორციელებდა, საქართველო 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა, არჩევნებისა, რომელშიც სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა. მასთან კომენტარისთვის დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზედამხედველები „არ იყვნენ ერთგვარი სასკოლო „კაგებეშნიკები“, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ ინსტიტუტის მართვის სისტემაში ცვლილებების შეტანა და სკოლის მოსწავლეებისთვის იმის შესაძლებლობის მიცემაა, რომ მათ მანდატურებისთვის უნიფორმა შეიმუშაონ, ამბობს გიორგი მარგველაშვილი, წარსულში თბილისის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხელმძღვანელი. მისი თქმით, მშობლებიც და სკოლებიც მხარს უჭერენ განათლების სამინისტროს ზედამხედველების გამოყენებას სკოლებში მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

სკოლის მანდატურები, **EurasiaNet.org**-თან საუბრისას, ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმას, რომ მათი მუშაობის შედეგად სიტუაცია სკოლებში გაცილებით დამშვიდდა. 1 400 მანდატურის ანგარიშის თანახმად, ჩხუბების რაოდენობა 2011-2012 სასწავლო წელს 45,8%-მდე შემცირდა.

თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დირექტორი ცისანა წერეთელი იწონებს მანდატურების მუშაობას და მათ პოზიტიურ წვლილს საგანმანათლებლო პროცესში. გეგმის თანახმად, რეფორმას დაექვემდებარება ურთიერთობა მანდატურებსა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შორის. დისციპლინის მხარდაჭერის სფეროში მანდატურების როლის ხაზგასმით, პროგრამა ნელ-ნელა ასუსტებდა სკოლების დირექტორების და პედაგოგების როლს, ამტკიცებს საგანმანათლებლო რეფორმის სპეციალისტი სიმონ ჯანაშია. არსებული ინფორმაციით, ადმინისტრაციის ზოგიერთ წარმომადგენელს ეშინოდა მანდატურებისთვის შენიშვნა მიეცა ან რაიმე ფორმით გაეკონტროლებინა ისინი. საქართველოს განათლების სფეროს სპეციალისტების მტკიცებით, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მასწავლებლებს და დირექტორებს სამსახურიდან ათავისუფლებდნენ სკოლის მანდატურების ანგარიშებში მოყვანილი ფაქტების გამო.

„ამოცანა მანდატურების პროგრამისა იყო არა მხოლოდ და, ზოგიერთის თქმით, არა იმდენად ძალადობის პრობლემის აღმოფხვრა სკოლებში: ისინი სასკოლო დაწესებულებების საქმიანობის კონტროლს ახორციელებდნენ“, – ამბობს სიმონ ჯანაშია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ზედამხედველები ამბობენ, რომ თავიანთი ქმედებებით, ისინი ცდილობენ, არ გასცდნენ სკოლებში ზღვარს უსაფრთხოებაზე ზრუნვასა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პედაგოგთა ჯგუფის კონტროლს შორის. როგორც მანდატურთა ინსტიტუტის ახლადდანიშნული დირექტორი ლევან აბაშიძე ამბობს, მანდატურები მომზადებას გადიან იმ კუთხით, რომ ყურადღების კონცენტრირება მოახდინონ მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე: **„ჩვენ ვიმუშავებთ მხოლოდ მართლწესრიგის დარღვევასა და მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ჩვენ არ ჩავერევით სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების საქმიანობაში. ამას უსიამოვნება მოსდევდა ხოლმე. ყველა ეს ჭორი და უკმაყოფილება პროვოცირებული იყო იმით, რომ მანდატურები მათ მუშაობაში ერეოდნენ“.**

კრიტიკოსების აზრით, მოსწავლეებისთვის კონფლიქტების დარეგულირების პროგრამები გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს ატმოსფეროს გაუმჯობესებაზე ამა თუ იმ სასკოლო დაწესებულებაში, ვიდრე დამატებითი ვიდეოკამერების და უსაფრთხოების სხვა ფიზიკური ზომების დაწესება.

„დღეს ქვეყნის პედაგოგებს მანდატურების იმედი აქვთ, რომ სწორედ ისინი დაარეგულირებენ მოსწავლეთა ქცევას, თავად კი არ ასწავლიან ბავშვებს იმას, თუ როგორ უნდა დაარეგულირონ ეს ურთიერთობები ერთმანეთთან“, — ამბობს სიმონ ჯანაშია, — **„მოსწავლეებს აღარ ასწავლიან იმას, თუ როგორ უნდა გადაწყვიტონ კონფლიქტები, როგორ უნდა ურთიერთობდნენ ერთმანეთთან, საჭიროა მოსწავლეებში არა მხოლოდ ფასეულობების, არამედ ქცევის კულტივირებაც. ეს აბსოლუტურად შესაძლებელია“.**

გიორგი მარგველაშვილის ინფორმაციით, მისი უწყება მუშაობს სტრატეგიაზე, რომელიც სამოქალაქო ცნობიერების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. **„ჩვენი მიდგომის მიზანი მოსწავლეების ახალი თაობის აღზრდაა, მოსწავლეების, რომლებიც დანაშაულს არ ჩადიან არა იმიტომ, რომ მათ ვიღაც უთვალთვალებს, არამედ იმიტომ, რომ კანონმორჩილი მოქალაქეები არიან“,** — აცხადებს განათლების მინისტრი.

foreignpress.ge



მოიხსნება თუ არა დაწესებული შეზღუდვები პრესტიჟული ფაკულტეტების დაფინანსებაზე

ნელი თორდია

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი რომ 8+1 მოდელით მუშაობას არ აპირებს, უკვე საზოგადოებისთვის ცნობილია. თუმცა როგორი იქნება 2013 წლის გამოცდები, როდის ჩატარდება ოქტომბერში დაგეგმილი საგრანტო გამოცდები, გაუქმდება თუ არა პრესტიჟულ ფაკულტეტებზე გრანტების გაცემაზე დაწესებული შეზღუდვები — ეს ის საკითხებია, რომელიც აბიტურიენტს, პედაგოგსა და მშობელს თანაბრად აინტერესებს და „ვერსიას“ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ივა მინდაძე განუმარტავს:

— 2013 წელი ჩვენთვის გარდამავალი წელია, რადგან ამიერიდან, სკოლები იქნებიან პასუხისმგებელნი იმაზე, თუ რა სახის გამოცდას შესთავაზებენ მოსწავლეებს.

დღევანდელი მე-11 კლასელები, მომავალი წლის შემოდგომაზე ჩააბარებენ 4 გამოცდას საბუნებისმეტყველო საგნებსა და გეოგრაფიაში, ხოლო დანარჩენ 4 საგანს — მაისში. გამოცდების ახალი მოდელის თანახმად, საატესტატო გამოცდებზე ჩასაბარებელი 8 გამოცდა 2 წელზე (მე-11-მე-12 კლასებზე) გადანაწილდება. შესაბამისად, მოიხსნება ის სამართლიანი საყვედური, რომ მოსწავლეს ძალიან მოკლე პერიოდში, ბევრი გამოცდის ჩაბარება უწევს. ესეც რომ არ იყოს, დღევანდელი მოცემულობით, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლება მთავრდება მე-11 კლასში, ამიტომ ლოგიკურია, ამ საგნებში გამოცდები ჩატარდეს მე-11 კლასის ბოლოს. ქართულში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში კი მე-12 კლასის ბოლოს.

ასეთი მოდელი ერთის მხრივ, მოქნილ სისტემას გვაძლევს და, მეორე მხრივ, მოსწავლეებში საგამოცდო სტრესს ამცირებს, რადგან მე-11 კლასის გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, მას ეძლევა საშუალება, გააგრძელოს სწავლა და მომდევნო წელს კიდევ სცადოს ბედი.

— განათლების სამინისტროს წინა ხელმძღვანელობა ოქტომბერში საგრანტო გამოცდების ჩატარებას გეგმავდა, რაც ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, გაურკვეველი დროით გადაიდო. დღეისთვის თუა ცნობილი, როდის და რა პრინციპით ჩატარდება საგრანტო გამოცდები?

— როცა საგრანტო გამოცდებზე ვსაუბრობთ, უნდა დავაზუსტოთ, რომ არსებობს ერთი ტიპის გამოცდა, რომელიც სტუდენტებისთვის ტარდება და საგრანტო მონაცემების გაუმჯობესების საშუალებას აძლევს, მეორე საგრანტო კონკურსი კი აბიტურიენტებისთვისაა განკუთვნილი. სტუდენტებისთვის გრანტის გაუმჯობესების გამოცდები ჩატარდება ივლისში, მისაღები გამოცდების პერიოდში.

არსებობს სპეციალური შეთავაზება, რომლითაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს — დაახლოებით, თებერვალ-მარტში გაივლის რეგისტრაციას, ივლის ში გამოცდაზე გავა და, წარმატების შემთხვევაში, გრანტის ოდენობას გაიუმჯობესებს.

რაც შეეხება ზოგადად, გრანტებს, უკვე ცნობილია, რომ გრანტირებული სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება და გადანაწილდება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, ანუ გრანტი უფრო მეტ ადამიანს შეეხება.

— 2011 წელს, გრანტის გაცემის წესში შეტანილი ცვლილების თანახმად, პრესტიჟულ ფაკულტეტებზე (ბიზნესის ადმინისტრირების, ჯანდაცვის, საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის) სახელმწიფო დაფინანსებით სწავლა მხოლოდ 100%-იანი დაფინანსების პირობებშია შესაძლებელი. მოიხსნება თუ არა ეს შეზღუდვა?

— ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოცდების ეროვნულ ცენტრს, განათლების სამინისტროსა და მთავრობას შორის გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს. ცხადია, ამას კურირებს სამინისტრო და ეს მათი პრეროგატივაა, მაგრამ ვფიქრობ, ცვლილება მოსალოდნელი არ არის და ყველაფერი ძველებურად დარჩება.

— თავის დროზე, ამ ცვლილებებმა მოსახლეობის დიდი პროტესტი გამოიწვია და ბევრი იმედოვნებდა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, პრესტიჟული ფაკულტეტების დაფინანსებაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნებოდა.

— გიმეორებთ, ამასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს კონსულტაცია და ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. პირადად, ჩემი აზრია, ყველაფერი ძველებურად დარჩეს იმიტომ, რომ გრანტების უმრავლესობა საუკეთესო სტუდენტებთან ერთად მიედინებოდა პრესტიჟული ფაკულტეტებისკენ და თითქმის დაფინანსების გარეშე რჩებოდა ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო ფაკულტეტები, როგორიცაა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო სპეციალობები. დაფინანსების მოქმედი მოდელი ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების ერთგვარი ირიბი დაფინანსება და ხელშეწყობაა.

— შარშან, შარშანწინ ათასობით მოსწავლემ მხოლოდ იმიტომ ვერ აიღო ატესტატი, რომ სკოლის დირექტორმა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, საატესტატო გამოცდაზე არ დაუშვა. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, იმედია, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სკოლის დირექტორებისთვის დაწესებული სანქციები მოიხსნება.

— ბოლო ორი წლის განმავლობაში, მართლაც, მანკიერ შემთხვევებთან გვქონდა საქმე, როცა დირექტორები, პასუხისმგებლობის შიშით, მოსწავლეებს გამოცდაზე არ უშვებდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი სკოლა, სამინისტროს მხრიდან, წნეხის ქვეშ მოექცა და დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. ეს მიდგომა ნამდვილად შეიცვალა. დასჯისა და სანქციების დაწესების ნაცვლად, საჭიროა, სკოლების პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა და უკეთესი შედეგების მიღწევაში დახმარება. ცხადია, წინასწარ ვერავინ იტყვის, რამდენი მოსწავლე აიღებს წელს ატესტატს. ალბათ, აჯობებს, მოვლენებს წინ არ გავუსწროთ და გამოცდების შედეგებს დაველოდოთ.

„სამართლიანობა არ აღდგება, სანამ კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა!“

მერაბ ბერიძე

რევოლუციურმა „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ ქართული ციხეები პირთამდე გაავსო. სამართლიანობა-უსამართლობას შორის ზღვარი წაიშალა და შესაბამის „ორგანოებს“ საპროცესო შეთანხმებების გასაფორმებლად, „სოციალისტური შეჯიბრებები" ჰქონდათ გამართული. ამ დოღში, ადამიანი და მისი კონსტიტუციური უფლება სამართლიანი სასამართლო, ფეხქვეშ გათელილი აღმოჩნდა. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელმძღვანელობაშეცვლილ პროკურატურასთან რიგები დადგა — უკანონოდ დასჯილი (მათ შორის ფინანსურად) ადამიანები სამართლებრივ რეაბილიტაციას ითხოვენ. ბოთლიდან ჯინი ამოშვებულია და მისი შეჩერება შეუძლებელია. იმედია, ეს ახალი ხელისუფლებისთვის კარგი პრევენცია იქნება, რომ მსგავსი დანაშაულებრივი შეცდომები არ გაიმეოროს.

ერთ-ერთი არასამთავრობო, რომელიც ბოლო წლებში უკანონოდ გასამართლებულ ადამიანებს გვერდით უდგას და მათი რეაბილიტაციისთვის იბრძვის, „უფლებადამცველთა გაერთიანებაა“, რომლის ლიდერი ნიკოლოზ მჟავანაძე, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კონკრეტული სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ მოხელეებს, ვინც წლების განმავლობაში უკანონობები ჩაიდინა. მისივე თქმით, ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაღატაკებულია.

ნიკა მჟავანაძე: — საქართველოში, 2004-დან 2012 წლამდე უკანონოდ გასამართლდა ათასობით ადამიანი. ისინი დღემდე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან — ფსიქოლოგიური დახმარება, რეაბილიტაცია სჭირდებათ. ამ ადამიანებისთვის კონკრეტული დახმარების გაწევას ვიწყებთ. უამრავი განცხადება უკვე შევიტანეთ პროკურატურასა და სასამართლოში, რათა დროულად აღდგეს შელახული უფლებები. რად ღირს, თუნდაც, სიმონ კილაძის საქმე, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებით იქნა დაკავებული. პროკურატურაში განცხადებები სამოხელეო დანაშაულის კუთხითაც შეგვაქვს. ხელისუფლების შეცვლამდე პარტიების უმრავლესობას ხელი მოვაწერინეთ, რომ ძალადობით გაფორმებული საპროცესო შეთანხმებები გადაიხედებოდა. პრობაციონერების რაოდენობით, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ქვემო ქართლის მოსახლეობა. აქ უამრავი ისეთი დანაშაული იკვეთება, რომელიც დღემდე უცნობი იყო.

— კანონდარღვევების შემოქმედებს რა ტიპის პასუხისგება მოუწევთ?

— ამ ხალხმა, ვინც ადამიანებს უკანონოდ ასამართლებდა, პასუხისმგებლობა უნდა იკისროს სისხლის სამართლებრივად და ფინანსურადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას მთელი ბიუჯეტი არ ეყოფა. აანაზღაურონ ზიანი და უკანონოდ გასამართლების შედეგად გადახდილი თანხები. ამასთან, საპროცესო შეთანხმებების დროს, ხალხს ფულს პროკურატურის ფონდში ახდევინებდნენ. საიდანაც ეს ფული ბიუჯეტში, ელემენტარულად, არ მიდიოდა, ამიტომ უკანონობის ჩამდენ მოხელეებს ფინანსური სანქციებიც უნდა დაეკისროს. საპროცესო შეთანხმებებში კი მილიონობით თანხებია გადახდილი და ამას არც ერთი ჩვენნაირი ქვეყნის ბიუჯეტი არ ეყოფა.

— ქვემო ქართლში პრობაციონერების დიდი ციფრი რას უკავშირდება?

— ამ რეგიონში მმრომელი ხალხი ცხოვრობს, დანაზოგები აქვთ. მაღალჩინოსნები ადამიანებს იმის გამო იჭერდნენ, თუ რა ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ. როგორც ამას მცხეთაში, პროკურორი მიხეილ ჩინჩალაძე აკეთებდა. რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრებები ტარდებოდა, ვინ უფრო მეტ თანხებს შეიტანდა საპროცესო შეთანხმებების შედეგად. ვინაიდან ქვემო ქართლში ფინანსური შესაძლებლობები მეტი იყო, ხალხის ხარჯზე ამ თანხების ამოქაჩვა ხდებოდა. ადამიანებს ტყუილუბრალოდ პასუხისგებაში აძლევდნენ, დიდ თანხებს ახდევინებდნენ. ის ხდებოდა ნასამართლევი, მერე პრობაციონერი და ამის შემდეგ ხელისუფლებისთვის ეს ხალხი ადვილად სამართავი იყო. ამ ე.წ. პრობაციონერებს მერე „ნაციონალური მოძრაობისთვის“ უამრავი ხმა მიჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ციხეებში შეაბრუნებდნენ. უამრავი ნასამართლევი ადამიანი ხელისუფლების პირდაპირი მძევალი იყო. პროტესტის გამოხატვა კი მიტინგებზე ხდებოდა და სათითაოდ ამას ვერავინ გამოხატავდა. ეს მომენტი განსაკუთრებით, ქვემო ქართლში იყო საგრძნობი.

დღეს, ლამის, ნახევარი საქართველო ბინას ყიდის. ეს მარტო ეკონომიკური გაჭირვების გამო არ ხდება. მიზეზი ყოფილი ხელისუფლების რეკეტი და ძალადობაა.

ბოლო წლებში, მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდის სტატისტიკას წარმოგიდგენთ: 2004 წელს 7867 პატიმარი გვყავდა. 2005-ში — 9688, 2006-ში — 15465, 2007-ში — 18309, 2008-ში — 18659, 2009-ში — 21075, 2010-ში — 2375, 2011-ში — 24114 და 2012 წელს — 24011. აქედან, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თვრამეტ წლამდე 170 ადამიანია, 45 წლამდე — 19315, 60 წლამდე — 4055. ხოლო სამოც წელს ზემოთ — 471 ადამიანი. რაც შეეხება პრობაციონერთა სავარაუდო რაოდენობას. 40469 ადამიანი იყო ასეთ მდგომარეობაში 2012 წლის ივნისის მდგომარეობით. აქედან, 3639 მამაკაცი, 3057 ქალი. საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას 3057 პრობაციონერი ქალი რომ გეყოლება, უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებს.

სტაჯუსშეჩერებული სტუდენტები აქციებს იწყებენ!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

საახალწლოდ სტუდენტები ფართომასშტაბიანი აქციების დასაწყებად ემზადებიან. ისინი მოითხოვენ, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტუდენტებს არ შეუჩერდეთ სტატუსი და მისცენ დრო, დავალიანების ეტაპობრივად დასაფარად.

ალექსანდრე კობაიძე, დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის თავმჯდომარე:

— 20 დეკემბერს ვაპირებთ შეკრებას, რათა ორგანიზება გავუწიოთ სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პრობლემებს. აქამდე ვინც ჩვენამდე მოვიდა, მოვუგვარეთ ეს პრობლემა და ადმინისტრაციამ სტატუსი აღუდგინა. სამწუხაროდ, დავდექით ახალი ფაქტის წინაშე. კონკრეტულად, ჩემს ფაკულტეტზე, სადაც 5000-მდე სტუდენტი სწავლობს, 1200-სს სტატუსი შეუჩერდება ან უკვე შეჩერებული აქვს. ყველა უმაღლეს სასწავლებელში ანალოგიურად მძიმე სიტუაციაა, რაც განპირობებულია იმით, რომ იმ სოციალურად დაუცველებსა და მარჩენალდაკარგულ სტუდენტებს, ვისაც ადრე მერია უხდიდა სწავლის გადასახადს, მასიურად უჩერდებათ დაფინანსება. არავის მივცემთ უფლებას, სტუდენტის უფლებები დაარღვიოს, ასევე არ უნდა დაირღვეს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. ამის გათვალისწინებით არ უნდა მიეცეს უნივერსიტეტების ადმინისტრაციებს უფლება, სტუდენტი, რომელიც სწავლას არის მოწადინებული, რაიმე პრობლემა შეექმნას, თანხის გადაუხდელობის გამო. დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციამ გადაწყვიტა, აქციების მოწყობა და ასევე, შესაძლოა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციებთან ინდივიდუალურადაც ვიმუშაოთ თითოეული სტუდენტის პრობლემის მოსაგვარებლად. მთავარია, სტუდენტი გარეთ არ დარჩეს და სტატუსი არ შეუჩერდეს.

მერიის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ღატაკ სტუდენტებს სტატუსს უჩერებენ!

— თბილისის მერიას სოციალურად დაუცველთა სწავლის დასაფარად თანხა არ გადაურიცხავს?

— როგორც ადმინისტრაციაში გვითხრეს, მერიიდან არაფერია გადარიცხული, რაც პრობლემას უქმნის ადმინისტრაციას. კოჰაბიტაციას სტუდენტები არ უნდა შეეწირონ. მათ უნდა მიეცეთ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება. ახლა სესიებია უნივერსიტეტებში, ახლა უნდა დაიწეროს ქულები და, გადაუხდელობის გამო, სტუდენტებს სტატუსის შეჩერება ემუქრებათ.

— რატომ არ მიმართავთ იგივე მოთხოვნით განათლების სამინისტროსა და დედაქალაქის მერიას?

— ადმინისტრაცია აცხადებს, სოციალურად დაუცველებსა და მარჩენალდაკარგულებს სახელმწიფოს სწავლის საფასურს აღარ უხდისო, თუმცა ჩვენ პასუხი არ გვაკმაყოფილებს და მიგვაჩნია, რომ ეს არაჯანსაღი მიდგომაა. სჯობს, ადმინისტრაციამ, გარკვეული დროით, არ მისცეს თანამშრომლებს ხელფასი, სტუდენტს კი საფასურის გადახდა აცადოს. უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციებს იმიტომ ვთხოვთ ამ პრობლემის მოგვარებას, რომ ისინი არასამეწარმეო იურიდიულ პირებად არიან დარეგისტრირებული და სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციას, რექტორატსა და აკადემიურ საბჭოს. მათ უნდა უზრუნველყონ სტუდენტების პრობლემების მოგვარება და არა განათლების სამინისტრომ, რომელმაც რაღაც პროგრამა უნდა შეიმუშაოს, სოციალურად შეჭირვებული სტუდენტების დასახმარებლად.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ ალექსანდრე ებრალიძე საპატიო წევრად აირჩია

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ ალექსანდრე ებრალიძე საპატიო წევრად აირჩია. ამის შესახებ ბიზნეს-აკადემიის წევრთა სხდომაზე გახდა ცნობილი, რომელსაც საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე კუჭუხიძე უძღვებოდა.

დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და მეცენატის, ალექსანდრე ებრალიძის არჩევა და მისთვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებისთვის შუამდგომლობის მიცემის საკითხის განხილვა. ალექსანდრე კუჭუხიძემ აღნიშნა, რომ სრულიად დაუშვებელია, მოქალაქეობის მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ ადამიანს, რომელიც საქართველოში დაიბადა, საშუალო სკოლა საქართველოში დაამთავრა და რომლის ოჯახის ფუძე დღესაც საქართველოშია. შეხვედრას საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორი ნანა ჯაფარიძე ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ იმავე სხდომაზე აკადემიის წევრებად ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ქინქლაძე და ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ვახანია მიიღეს.

„პირველი“

საქართველოში „მაიქროსოფთის“ პროგრამების 91% არალიცენზირებულია!

დავით ასათიანი

სულ მალე, „მაიქროსოფთ საქართველო“ სამართალდამცავ ორგანოებს „მაიქროსოფთის“ ლიცენზირებული პროგრამების საავტორო უფლებების დამრღვევთა შესახებ, ინფორმაციას მიაწვდის. „მაიქროსოფთ საქართველომ“ უკვე დაასრულა „იდუმალი მყიდველის“ პროგრამის მორიგი ეტაპი, რომელიც პერსონალური კომპიუტერებით მოვაჭრე კომპანიების საბაზრო კვლევის შედეგად განახორციელა. „მაიქროსოფთის“ წარმომადგენლებს აინტერესებდათ, ეს კომპანიები ყიდდნენ, ან სთავაზობდნენ თუ არა მომხმარებლებს არალიცენზირებულ პროგრამებს. პროგრამის ფარგლებში, „მაიქროსოფთის“ წარმომადგენლებმა პერსონალური კომპიუტერების საკონტროლო შესყიდვა განახორციელეს და საკმაოდ შემაშფოთებელ ფაქტებსაც გადააწყდნენ.

ლიცენზირებულ პროგრამებს საბანკო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებში იყენებენ

დავით ასათიანი

„მაიქროსოფთ საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა, **დავით ასათიანმა** სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ „იდუმალი მყიდველის“ პროგრამის ფარგლებში, სატელეფონო ზარებისა და პერსონალური ვიზიტების შედეგად, 40 მაღაზია შეფასდა. ისეთი პერსონალური კომპიუტერი, რომელსაც ლიცენზირებული Windows-ის ასლები გააჩნდა, მხოლოდ 25 მაღაზიაში აღმოჩნდა, მაგრამ ამ მაღაზიებშიც კი, კონსულტანტები მომხმარებლებს არალიცენზირებული პროგრამების შეძენისკენ მოუწოდებდნენ. დავით ასათიანის განცხადებით, შემოწმებულ 15 მაღაზიაში, კონსულტანტები პირატულ ასლებს ღიად სთავაზობდნენ მომხმარებლებს:

„კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პერსონალური კომპიუტერებით მოვაჭრე მაღაზიების 93%-ში, „მაიქროსოფთის“ პირატულ პროგრამებს აინსტალირებდნენ და გამყიდველების მხოლოდ 7% სთავაზობდა მომხმარებლებს ლიცენზირებული პროგრამების ინსტალაციას. ირკვევა, რომ მომხმარებლები რისკის ქვეშ დგანან, რადგან მათთვის უცნობია, რომ არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შედეგად, ისინი არღვევენ საქართველოს კანონს საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. 2011 წელს, პირატული პროგრამული უზრუნველყოფის გლობალური კვლევა განხორციელდა და გაირკვა, რომ საქართველოში გამოყენებული პროგრამების 91% არალიცენზირებულია. შედეგად, პირატული პროგრამების გამოყენების მხრივ, საქართველო მთელ მსოფლიოში მეორე ადგილზე, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კი — პირველ ადგილზე“.

„მაიქროსოფთის“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისის ბიზნესის განვითარების დირექტორმა, **ევგენი დანილოვმა** განაცხადა, რომ:

„მაიქროსოფთ საქართველოს“ მიერ განხორციელებული მრავალი საგანმანათლებლო ღონისძიების მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პერსონალური კომპიუტერების გამყიდველი მაღაზიების უმრავლესობა კვლავაც აგრძელებს კომპიუტერების გაყიდვას პირატული პროგრამებით. დროა, გაცილებით სერიოზული ღონისძიებები განხორციელდეს“.

„მაიქროსოფთ საქართველოს“ წარმომადგენლები მოუწოდებენ მოსახლეობას, რომ პერსონალური კომპიუტერის შეძენის შემთხვევაში, მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები მოითხოვონ. დავით ასათიანმა საკმაოდ მკაცრად დასძინა, რომ დროა, საქართველოში იმ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რომლებსაც მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავთ და მხოლოდ პირატულ პროდუქციას სთავაზობენ. შესაბამისად, „მაიქროსოფთ საქართველოს“ წარმომადგენლები, „იდუმალი მყიდველის“ კვლევის შედეგებს სამართალდამცავ ორგანოებს გადასცემენ. მისივე თქმით, „მაიქროსოფთის“ ლიცენზირებულ პროგრამებს საქართველოში მხოლოდ საბანკო და ტელეკომუნიკაციების სექტორში, ასევე სახელმწიფო უწყებებსა და სამინისტროებში იყენებენ.

მაია მიშელაძე

აქცია

თბილისის სასწრაფოს ექიმები ცენტრის ფინანსურ შემოწმებას ითხოვენ!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მედპერსონალი სასწრაფო სამედიცინო მომსახურეობის არაეფექტურობასა და ცენტრის გაუმართაობაზე ღიად ალაპარაკდნენ. ექიმები აცხადებენ, რომ პრობლემები, მეტწილად, ფინანსურ საკითხებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ წელს თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბიუჯეტი არ შემცირებულა, მათი მუშაობის პირობები მკვეთრად გაუარესდა. ისინი ოფიციალური წერილით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს მიმართავენ და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ფინანსურ შემოწმებას ითხოვენ.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმის, ლევან ლომსიანიძის განმარტებით: „2012 წლის განმავლობაში, თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეფექტურობა მკვეთრად შემცირდა. გაიზარდა სასწრაფოს გამოძახებაზე მისვლის დრო, რაც საკმაოდ დიდი საფრთხეა ჩვენი მოსახლეობისთვის. სასწრაფოს მანქანების უმრავლესობა ამორტიზებულია, მათი რემონტისთვის გამოყოფილი თანხები კი, სავარაუდოდ, გაზრდილი და არარეალურია. მანქანების რემონტი არასრულყოფილად ხდება, ამის გამო, თვეში რამდენჯერმე, თითოეულ მანქანას 500 000 კილომეტრი აქვს გარბენი და ტექნიკური პრობლემები ექმნება. დღეს, თბილისში, 80 ბრიგადა მუშაობს, რაც არასაკმარისია. იმ პირობებში, როცა ამ 80 ბრიგადიდან 10 მანქანა ყოველდღიურად ფუჭდება, ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად დგას მაშინ, როცა 112-ში შემოსული ზარებიდან 70%-ზე მეტრი სასწრაფო-სამედიცინო გამოძახების ზარებია“.

მანქანების მწყობრიდან გამოსვლა თანამშრომელთა ხელფასების კლებაზეც აისახება, კერძოდ კი, როცა მანქანა ფუჭდება, ბრიგადის ექიმებს სამუშაო საათებს უმცირებენ და მათ ანაზღაურების გარეშე ტოვებენ.

„ჩვენ გავაფრთხილეთ ადმინისტრაცია, რომ პლანშეტური კომპიუტერები ექსტრემალურ სიტუაციაში არ იმუშავებდა და პაციენტის ისტორიასა და მდგომარეობას ვერ შევიყვანდით ონლაინ-რეჟიმში, მაგრამ მათ ეს ყურად არ იღეს. მაინც შეიძინეს სასწრაფოსთვის გამოუსადეგარი აპარატურა, რომელიც ექსპლოატაციაში საერთოდ არ შესულა. 2 დღის წინ კი გამოაცხადეს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები ახალი აპარატურით აღიჭურვაო, არადა, ეს ტექნიკა ხარისხით იმაზე გაცილებით ნაკლებია, რომელიც აქამდე გვქონდა. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩვენს სამსახურში ყოველთვიურად ხდებოდა სოლიდური პრემიების გამოყოფა ადმინისტრაციისთვის და თანხები იხარჯება არამიზნობრივად, ამიტომაც ვითხოვთ ცენტრის ფინანსურ შემოწმებას“, — **განაცხადა ლევან ლომსიანიძემ.**

სასწრაფოს ექიმები უმძიმეს რეჟიმში მუშაობაზეც საუბრობენ და აცხადებენ, რომ ბრიგადებს არ აძლევენ დროს, 24 საათის განმავლობაში კვებისა და პირადი ჰიგიენისთვის. ექიმები მოითხოვენ, 2013 წლის ბიუჯეტი არ განკარგოს არსებულმა ადმინისტრაციამ. ასევე მოემატოთ ხელფასი, გაიცეს მე-13 ხელფასი და ბრიგადებს დაემატოს ექიმები, რადგან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფილიალები ბრიგადის ექიმების ნაკლებობას განიცდის. თითოეულ ექიმს თვეში 240-დან-360 სამუშაო საათამდე მუშაობა უწევს მაშინ, როცა სასწრაფოს ექიმი თვეში 7-8-ჯერ უნდა მორიგეობდეს, რაც უარყოფითად აისახება თითოეული ექიმის ჯანმრთელობაზე.

ვერსიანიუსი

საია-ს ახალი თავმჯდომარე კახა კოჟორიძეა

საია-ს წესდების თანახმად, გამგეობის პირველივე სხომაზე ახალი თავმჯდომარის არჩევა ხდება. ერთსა და იმავე პირს თავმჯდომარეობის უფლება ზედიზედ მხოლოდ სამჯერ აქვს.

თამარ ჩუგოშვილი, რომელიც ასოციაციას 2010-2012 წლებში ხელმძღვანელობდა, უკვე ორჯერ იყო არჩეული საია-ს თავმჯდომარედ.

ცნობისთვის, კახა კოჟორიძე 1982 წლის 2 იანვარს დაიბადა. 1999 წელს ხაშურის №9 საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა. 2005 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. 2005-2006 წლებში სწავლობდა GIPA-ს სამართლის პროგრამაზე; 2004-2005 წლებში საქართველოს პარლამენტში სტაჟირება გაიარა. 2005-2007 წლებში იყო „უსუფაშვილი-ზედელაშვილი ადვოკატთა ჯგუფის“ ადვოკატი. 2007-2009 საია-ში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატად მუშაობდა; 2009 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს. საია-ში არის სხვადასხვა კვლევის თანაავტორი. 2009 წლიდან 2012 წლის ნოემბრამდე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორად მუშაობდა. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

„პირველი“

თბილისის მერიამ საახალწლო პროგრამა გამოაქვეყნა

25 დეკემბერი — საახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონია — რუსთაველის გამზირზე — 18:00 საათი;

25 დეკემბრიდან 14 იანვრამდე — მთაწმინდის პარკში სანტა-კლაუსი და თოვლის ბაბუა პატარებს საჩუქრებით და სხვადასხვა გასართობი სანახაობით შეხვდებიან, ყოველდღიურად გაიმართება საბავშვო კონცერტები და თეატრალური წარმოდგენები;

25 დეკემბერი — მეიდნის საახალწლო ფესტივალის გახსნა — თბილისის ბიგ ბენდის კონცერტით, 16:00 საათზე;

25 დეკემბერი — კინოს მოედანი — ნაძვის ხეების ფესტივალის გახსნა (სხვადასხვა კომპანიები წარმოადგენენ თავიანთი დიზაინით შექმნილ ორიგინალურ ნაძვის ხეებს, რომლებიც გამოფენილი იქნება 2 იანვრამდე);

ასევე, მეიდნის საახალწლო ფესტივალის განმავლობაში, ყოველდღე, კინოს მოედანზე გაიმართება თბილისის ხელოვნების სკოლების ორკესტრებისა და ანსამბლების კონცერტები — 16:00 საათიდან;

26 დეკემბერი — კინოს მოედანი — თოჯინების საოპერო თეატრის სპექტაკლი „სევილიელი დალაქი“ 15:00 საათზე;

27 დეკემბერი — კინოს მოედანი — თითების თეატრის სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“ 18:00 საათზე;

25 დეკემბრიდან 15 იანვრამდე — ყინულის მოედანი — გლდანის პარკში;

თოვლის ბაბუა 4 იანვარს გლდანის პარკს და 10 იანვარს კი მუშტაიდის პარკს ესტუმრება ტრადიციული საჩუქრებით.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„ფეხზე მდგომი მგზავრის აყვანის შემთხვევაში, „მარშრუტკით“ მგზავრობის ფასი 30 თეთრი უნდა დაწესდეს“

ნელი თორდია

ქალაქში მოძრავი სამარშრუტო ტაქსის მგზავრები აუცილებლად შეამჩნევდნენ წინა სავარძელზე მოკალათებულ დავთრიან ადამიანებს, რომლებიც ყველა ამომავალ და ჩამავალ მგზავრს აღრიცხავენ. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ სამარშრუტო ტაქსებში მონიტორინგს ახორციელებს, რომლის მიზანი მგზავრთნაკადების დათვლა და დიფერენცირებული საგზურის გადასახადის გადახედვაა. მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური, „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ მონიტორინგის დაწყების მიზეზი სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა მიერ გადასახადების შემცირების მოთხოვნა გახდა:

— თქვენთვის ცნობილია, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა ყოველდღიური, გეგმური გადასახადის შემცირების მოთხოვნით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ რამდენჯერმე მიმართეს და გაფიცვის მოწყობითაც დაემუქრნენ. მძღოლები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, თითქოს მცირე მგზავრთნაკადი არ აძლევს საშუალებას, რომ მანქანაც შეინახონ, ხარჯებიც აანაზღაურონ და სახლში ხელფასიც წაიღონ. კომპანიის ხელმძღვანელობამ პრობლემა მარტივად გადაწყვიტა და სამარშრუტო ტაქსებში თავისი მონიტორინგის ჯგუფები დაგზავნა. ახლა იმ ხაზებზე, რომელმაც გადასახადების შემცირების პრეტენზია გამოთქვა, მონიტორინგის სამსახური ზის და მგზავრებს ითვლის... როგორც ვიცი, ზოგიერთ მძღოლს, რომელიც წუწუნებდა, მგზავრები არა მყავს და გეგმა ვერ შემომაქვსო, დაუთვალეს მგზავრთნაკადი და მეტიც გამოუვიდა. ასეთებს გეგმა, შემცირების მაგივრად, გაუზარდეს. გამოდის, რომ ბევრმა მძღოლმა საკუთარი ნებით გაჰყო ხაფანგში თავი, თუმცა ისეთებიც აღმოჩნდნენ, მცირე შემოსავალი რომ ჰქონდათ. ასეთებს გეგმა შეუმცირეს და დაუტოვეს 30-დან 40 ლარამდე შემოსავალი დღეში. ყველა იმ ხაზზე, რომელსაც გეგმის შემცირების პრეტენზია აქვს, იგივე მოხდება. რამდენიმე დღის განმავლობაში მგზავრებს დაუთვლიან, საშუალო თანხას გამოუყვანენ და ინდივიდუალური გეგმის ოდენობას იმის მიხედვით განსაზღვრავენ.

— როგორც გავიგე, შესაძლოა, მეტროდან მოძრავ მოკლე ხაზებზე, სადაც მგზავრობის გადასახადი 40 თეთრია, მონიტორინგის დასრულების შემდეგ მგზავრობის ღირებულება გაიზარდოს.

— მგზავრობის ღირებულების გაზრდას სრულიად გამოვრიცხავ. რაც შეეხება მეტროდან მოძრავ ხაზებს. მაგალითად, ახმეტელის მეტროდან გლდანისკენ მოძრავი 39 ნომერი მოკლე ხაზია და მგზავრობა 40 თეთრი ღირს. ჩემი ინფორმაციით, თითოეულ მანქანას ყოველდღიურად დღეში 1000-დან 1200-მდე მგზავრი გადაჰყავს. ვფიქრობ, ასეთი შემოსავლის პირობებში ყოველდღიური გეგმის გადახდა არ უნდა გაჭირვებოდათ, თუმცა ამ ადამიანებს დაუგეს ხაფანგი და უარეს მდგომარეობაში ჩაყარეს. ახლა კომპანია დაითვლის მგზავრებს, მძღოლებს დაუტოვებს 40-დან 50 ლარამდე შემოსავალს და დანარჩენს თვითონ წაიღებს. შედეგად, ბევრი ხაზი, გეგმის შემცირების ნაცვლად, მომატებას მიიღებს.

ზოგადად, გლდანის ხაზები შემოსავლით ყოველთვის კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა და ვინ ააბუნტა, მაგრამ ასეთი დაუფიქრებელი მოთხოვნების შედეგებს მივიღებთ უახლოეს დღეებში. ის ადამიანები, რომლებიც ისედაც კარგად შოულობდნენ და მეტი მოუნდათ, იმასაც დაკარგავენ, რაც ჰქონდათ“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისთვის“ ხელმძღვანელი ზაურ კაჭარავა მიიჩნევს, რომ სამარშრუტო ტაქსების სისტემას ვერავითარი მონიტორინგი ვერ უშველის და სისტემაში წესრიგი არ დამყარდება, სანამ სამარშრუტო ტაქსებზე სავალდებულო სერტიფიცირება არ დაწესდება. კაჭარავას თქმით, მგზავრებს უნდა მიეცეს საშუალება, რომ მგზავრობის საფასური მომსახურების მიხედვით გადაიხადონ:

— გემახსოვრებათ, ყვითელი მიკროავტობუსების ექსპლოატაციაში შესვლისთანავე, საპატრულო პოლიციამ კანონის შესაბამისად დაიწყო მგზავრებით გადატვირთული ტაქსების მძღოლების დაჯარიმება, რასაც მაშინვე მოჰყვა მძღოლების გაფიცვა. მერიამ, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად, მოსახლეობისგან სამი-ოთხი თვის ვადა ითხოვა, რაც დიდი ხანია გავიდა, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ისიც გაუგებარია, რომელი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა ჩარეულიყო მერია კერძო ფირმისა და მგზავრების ურთიერთობაში. რაც შეეხება, სამარშრუტო ტაქსებში მიმდინარე მონიტორინგსა და წესრიგის დამყარების მცდელობას. ვფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბილისელებს უნდა ჰქონდეთ სატრანსპორტო ბაზარზე მომსახურეობის შესყიდვის უფლება, მისი ხარისხის გათვალისწინებით. მომსახურების ნორმების დაცვის პირობებში, გადაიხადონ მგზავრობის საფასური მოქმედი ტარიფებით, ხოლო მომსახურეობის გაუარესების, ანუ ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანის შემთხვევაში, შემცირებული ტარიფი.

— ეს რას ნიშნავს, ფეხზე მდგომმა მგზავრმა სხვა საფასური უნდა გადაიხადოს და სავარძელზე მჯდომმა — სხვა?

— არა, ბატონო. სერტიფიკატზე წერია, რომ მგზავრობის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში, როცა მძღოლმა აიყვანა ფეხზე მდგომი მგზავრი, ყველა მგზავრი გადაიხდის დაბალ ტარიფს იმიტომ, რომ მომსახურეობის ხარისხი გაუარესდება სალონში მყოფი ყველა მგზავრისთვის. ეს ტარიფი იმდენად დაბალი უნდა იყოს, რომ მძღოლმა არავითარ შემთხვევაში არ აიყვანოს ფეხზე მდგომი მგზავრი. აი, ახლა ხომ 80 თეთრია? ფეხზე მდგომი მგზავრის აყვანის შემთხვევაში, 30 თეთრი უნდა დაწესდეს და მძღოლს ზედმეტი მგზავრის გადაყვანის ინტერესი არ ექნება.

— სამარშრუტო ტაქსებში მყოფ მგზავრებს აშკარად გაუმართლებთ, მაგრამ გაჩერებებზე მდგომებს რა ეშველებათ?

— ეს სხვა პრობლემაა და იმას ნიშნავს, რომ იმ მარშრუტზე, სადაც მგზავრებს ფეხზე დგომა უწევთ, შესაცვლელია მოძრავი შემადგენლობა. აქ უფრო დიდი ტევადობის საშუალება, ანუ ავტობუსი უნდა გამოვიყენოთ, რომ ავითვისოთ მგზავრთნაკადი. რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს, საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სამარშრუტო ტაქსების მარშრუტებზე მომსახურეობის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღების შესახებ. სერტიფიკატი უნდა გამოიკრას ყველა სატრანსპორტო საშუალებაში, რომელზეც აღინიშნება მგზავრობის საფასური მომსახურეობის ნორმების დაცვის პირობებში და შემცირებული ტარიფი ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანის პირობებში. ყველა თბილისელი უნდა გაეცნოს სერტიფიკატის მოქმედების პირობებს. ეს ერთგვარი ტესტი იქნება თბილისელებისთვის, რათა საზოგადოება გაერკვეს, რამდენად მზად არის, ჩაერთოს დედაქალაქში მიმდინარე პროცესების მართვაში.

რა შემთხვევაში იმგზავრებთ 50 თეთრით ნაკლებად, რა ხაფანგი დაუგეს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს და რატომ არის აუცილებელი „მარშრუტკების“ სერტიფიცირება?

პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით პერმანენტული აქციები იწყება და 4 იანვარს პრეზიდენტის რეზიდენციასთან დასრულდება!

თამარ მელქაძე

„ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ ინიციატივით, შეიქმნა მემორანდუმი პრეზიდენტის გადადგომის შესახებ, რომელსაც 30 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აწერს ხელს.
მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის მემორანდუმით გაერთიანებული 30 ორგანიზაციის სახელით მიმართვა მზადდება საქართველოს პარლამენტისა და საერთაშორისო საზოგადოების სახელზე. ხელმომწერი ორგანიზაციები პრეზიდენტის საკონსტიტუციო ვადის ამოწურვიდან ოქტომბრის არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილის სტატუსის განსაზღვრას მოითხოვენ.

მემორანდუმის საორგანიზაციო ჯგუფი, ქვეყნის მასშტაბით, პერმანენტულ აქციებს გეგმავს, რომელიც 4 იანვარს, პრეზიდენტის სასახლესთან დასრულდება.

როგორც „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ თავმჯდომარე **მიხეილ ანდღულაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადა, იანვარში საქართველო საკონსტიტუციო ჩიხში მოექცევა:

„კანონით, 2013 წლის 20 იანვრის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილს ეწურება საპრეზიდენტო ვადა. იმისათვის, რომ ქვეყანა კონსტიტუციურ ჩიხში არ მოექცეს, მან უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობა. 30-ზე მეტი ორგანიზაცია ერთიანდება ერთი მოთხოვნით — მოხდეს მშვიდობიანად გამოსვლა საკონსტიტუციო ჩიხიდან. 2013 წლის იანვარში სააკაშვილმა უნდა დაასრულოს საპრეზიდენტო ვადა და ჩამოშორდეს ქვეყანას“.

საპროტესტო აქციაში მონაწილეებისგან განსხვავებით, პოლიტოლოგები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას დასავლეთისთვის უარყოფითად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ ეს შეიძლება პოლიტიკურ დევნად შეფასდეს საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, თუმცა ანდღულაძე აპირებს, მიმართოს ვენეციის კომისიას, ევროსაბჭოსა და გაეროს, რათა მოხდეს სააკაშვილისთვის იმ სტატუსის განსაზღვრა, რაც მას საკონსტიტუციო ვადის ამოწურვის შემდეგ ექნება.

„ეს არ არის ვადამდელი გადადგომის მოთხოვნა. მეორე ვადით მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად 2008 წლის 5 იანვარს იქნა არჩეული. კონსტიტუციის 70-ე მუხლში ცალსახად წერია, რომ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. იანვრის შემდეგ მას უწყდება უფლებამოსილება. გაერო-ს მოთხოვნით, მოვიწვიეთ საქართველოში არსებული იურისპრუდენციის მაღალი კლასის სპეციალისტები და შევქმენით სამეცნიერო საბჭო, რომელიც ახლა აყალიბებს დასკვნას და მიმართავს პარლამენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს, ვენეციის კომისიას, ევროსაბჭოსა და გაეროს. მოვითხოვთ კითხვაზე განმარტებას, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ იანვრიდან ოქტომბრამდე, რა სტატუსი ექნება სააკაშვილს“, — აცხადებს ანდღულაძე.

საპროტესტო მემორანდუმის ერთ-ერთი ხელმომწერია პოლიტიკური მოძრაობა „თეთრები“. როგორც მისი ლიდერი, **თემურ შაშიაშვილი** აცხადებს, საქართველოს მთავარი პრობლემა ქვეყნის პრეზიდენტია, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის და იმედი აქვს, რომ დაწყებულ საპროტესტო ტალღას მოსახლეობა შეუერთდება და სასურველ მიზანს 2013 წლის 5 იანვარს მიაღწევენ.

„1 ოქტომბერს, ქვეყანაში უდიდესი პროცესი დაიწყო, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტით უნდა დასრულდეს. პრეზიდენტი, რომელიც ომის დროს მიწაზე ფორთხავდა, ქვეყნის სირცხვილია. ვაცხადებთ, რომ ასეთი პრეზიდენტი ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს. სააკაშვილი ქვეყნის პრობლემაა. ეჭვგარეშეა, ამ მოთხოვნას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება. მსოფლიომ არ იცის შემთხვევა, როცა ქვეყნის მთავარსარდალი საკუთარი მოსახლეობის ოპოზიცია ხდება. ასეთი პრეზიდენტი ქვეყნისათვის საშიშია. არ გვჭირდება არც მიწაზე მფორთხავი, არც ქართველთა გენოციდის მომწყობი და არც არაბი შეიხივით მაცხოვრებელი პრეზიდენტი. ამას ვთავაზობთ საზოგადოებას და თუ გვერდით დაგვიდგებიან, მივაღწევთ მიზანს. პირველი, რაც დღეს ქვეყანას ანგრევს ისაა, რომ ხალხს ჰგონია, 1 ოქტომბერს ყველაფერი დასრულდა. ქვეყანას ანადგურებს ჩასაფრებული, გაყოყოჩებული და გაბოროტებული ადამიანების ჯგუფი, ოპოზიციონერ პრეზიდენტთან ერთად“, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი და დასძენს, — **„სკამზე მიკერებული და ძალაუფლებაზე შეყვარებული კაცის იმედი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლას აზრი არ აქვს. შესაძლოა, ეს მოთხოვნები საერთაშორისო საზოგადოებაში პოლიტიკურ დევნად შეფასდეს, მაგრამ რეალურად, ეს ასე არ არის. სააკაშვილი მათთვის უკვე ძალიან მძიმე გახდა. დასავლეთს არ აწყობს, სააკაშვილმა პირი დააღოს და ილაპარაკოს, ვინ და რატომ დაიწყო ცხინვალის ომი. ეს მხოლოდ რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს. სწორედ დასავლეთი და რუსეთი იქცა საქართველოს უბედურებად, რომელიც გაერთიანდა ერთ ადამიანში და საქართველოს მთავარ თავსატეხად ექცა. სააკაშვილი სკამის გადასარჩენად ყველაფერზე წავა“.**

ქართული ლოგიკა: ყველაფერი გამარჯვებულს!

ნეილ გაკლი

FT.com FINANCIAL TIMES

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წევრების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებებისა და მათი დაპატიმრებების ტალღა, რაც მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის არჩევნებში გამარჯვებას მოჰყვა, დასავლელი ჩინოვნიკების თავის ტკივილს იწვევს. მათ არ იციან, თუ როგორ უპასუხონ ამას.

ერთი შეხედვით, ეს სამართლებრივი დევნის კამპანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ლოგიკის გაგრძელებაა – ყველაფერს გამარჯვებული იღებს. ეს იმას ჰგავს, თუ როგორ ეპყრობოდა ბ-ნი სააკაშვილი მისი წინამორბედის, ედუარდ შევარდნაძის გარემოცვას. ეს ჰგავს ასევე უკრაინის ხელისუფლების, კერძოდ კი, ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობის მიერ ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოსა და მისი მოკავშირეების დევნას. მართლაც, სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში, საქართველოში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილიც კი დაიკითხა. მას პროკურორებმა მეტად უცნაური ბრალდებები წაუყენეს, რომ თითქოს მან უცხოეთში სამოგზაურო ყალბი პასპორტი გამოიყენა.

ბ-ნი სააკაშვილის მოკავშირეები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ პირად საუბრებში არ ამტკიცებენ იმას, რომ ოცივე დაკავებული პირი უდანაშაულოა. მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ ბ-ნი ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებულ დაპატიმრებებსა და სამართლებრივ დევნას შერჩევითი ხასიათი აქვს და მათი მიზანია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკის ჩახშობა და ამით მათთვის ლეგიტიმური, საპარლამენტო ოპოზიციის როლის შესრულებაში ხელის შეშლა. ზოგიერთის აზრით, ის ფაქტი, რომ ბიზნესმენი მანამდე არასოდეს მონაწილეობდა პოლიტიკაში და თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, რომელიც დაახლოებით, 6.4 მილიარდი ამერიკული დოლარია, იმას ნიშნავს, რომ მან არ იცის ის, თუ როგორ მუშაობს დემოკრატია.

თუმცა, არსებობს სხვა ნიუანსებიც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. სამართლებრივი სისტემა ბ-ნი სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის დემოკრატიზაციის მცდელობის პროცესში ყველაზე სერიოზული ჩავარდნა იყო. სააკაშვილსა და მის მთავრობას ზოგჯერ, „საბაზრო ბოლშევიკებსაც“ კი უწოდებდნენ. თავიანთი თავგამოდებული ლიბერალიზაციის პროცესში, ისინი მზად იყვნენ, სასამართლო სისტემა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინათ. სასამართლოსათვის საჭირო რეფორმები არ ჩატარებულა და არც თავისუფლება მიუნიჭებიათ მისთვის. ბევრი ქართველი, რომელმაც იცის, როგორ მუშაობდა სასამართლო სისტემა, დასავლეთის მხრიდან იმის მტკიცებას, თითქოს, სააკაშვილის ადმინისტრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის შუქურა იყო, ცინიზმად და ფარისევლობად მიიჩნევს.

ივანიშვილის გუნდი ამტკიცებს, რომ იმ ყოფილი ჩინოვნიკების დასჯა, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თანამდებობებს, ასევე კანონის უზენაესობის განმტკიცება, რიგითი ქართველების მოთხოვნაა. მართლაც, ამ სენტიმენტმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვება, რაც თბილისის ციხეებში სასტიკი ძალადობის ამსახველი შემაძრწუნებელი ვიდეოების გავრცელებას მოჰყვა. არჩევნების შემდეგ, ბევრმა ქართველმა შესაბამის ორგანოებში სარჩელი შეიტანა და ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლების დროს მათ ქონება ან ბიზნესი ჩამოართვეს.

მართლმსაჯულების პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის გამოყენება დაუშვებელია, თუმცა, სააკაშვილის ბანაკმა „ქართული ოცნების“ რეაქცია გარკვეულწილად, თავადაც გამოიწვია. ივანიშვილი და მისი ალიანსი მუდმივი თავდასხმის, კერძოდ, ხშირი დაპატიმრებებისა და ჯარიმების ობიექტი იყო. ფორმალური საბაბით, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობაც კი ჩამოართვეს; შეიჭრნენ მის „ქართუ ბანკში“ და ისიც დროებით წაართვეს.

ამერიკელმა კონსულტანტმა, რომელიც „ქართული ოცნებისთვის“ მუშაობდა, მტკიცებულებები წარმოადგინა, რომ კოალიციისა და ბ-ნი ივანიშვილის ოჯახის წევრების კომპიუტერები ვირუსით დაზიანდა, რამაც უსაფრთხოების სამსახურებს მათში შეღწევის საშუალება მისცა. დღეისთვის, ამ დანაშაულისთვის ათზე მეტი ადამიანია დაკავებული.

ამ ფონზე, დასავლელი ჩინოვნიკების მიერ „ქართული ოცნების“ მთავრობის მიმართ მოწოდებებმა, რომ „დაასრულონ“ ყოფილი ადმინისტრაციის წევრების დაკავებები, შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს ფარისევლობასთან დაკავშირებული უკმაყოფილება. უკეთესი მიდგომა იმის მოთხოვნა იქნებოდა, რომ ნებისმიერი ბრალდება იყოს სარწმუნო და დამაჯერებელი, ხოლო პროცესი, ყველა შემთხვევაში, აბსოლუტურად გამჭვირვალე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, მიღწეულ იქნეს მიზანი – კანონის უზენაესობის განმტკიცება – ზოგიერთი ბოლოდროინდელი საქმე კი თითქოს შორს დგას ამ სტანდარტებისგან.

არსებობს სხვა გამოსავალიც. კარნეგის ფონდისთვის დაწერილ მოხსენებაში კავკასიის საკითხების ექსპერტები — თომას დე ვაალი და ანა დოლიძე საქართველოს გარდამავალ მართლმსაჯულებას ან „სიმართლის კომისიის“ შექმნას სთავაზობენ. მიდგომა, რომელზეც ისინი წერენ, შესაძლოა, იყოს იმ მიდგომების მსგავსი, რომელიც გამოიყენეს სამხრეთ აფრიკამ, ტიმორ-ლესტემ, სიერა ლეონემ და პერუმ.

საქართველოს, ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, არ ჰყოლია ათასობით მსხვერპლი სამოქალაქო კონფლიქტებისა და სამხედრო დიქტატურების შედეგად ბოლო წლებში. თუმცა ავტორების აზრით, ასეთმა კომისიამ უფრო მცირე მასშტაბში შეიძლება იმუშაოს „წარსულთან ერთგვარი დროებითი გამიჯვნისთვის ძალადობრივი სისტემის პირველად მიზეზებთან დაპირისპირებითა და მასზე ისტორიულად დასაბუთებული ნარატივის უზრუნველსაყოფად“.

ასეთი იდეის გაზიარებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს არა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი დემოკრატიის ხარვეზების გამოსწორებას და ბ-ნი ივანიშვილის დემოკრატიული მანდატის განმტკიცებას, არამედ იმასაც, რომ საქართველო დარჩეს შუქურად სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.

Foreignpress.ge

ეროვნული ბანკი ახალ შენობაში გადავიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მისამართი შეიცვალა. ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული ოფისი თბილისში, სანაპიროს 2-ში განთავსდა. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, დღემდე საქართველოს ეროვნული ბანკი რამდენიმე შენობაში იყო განთავსებული, რაც, თავისთავად, აფერხებდა მის ეფექტურ ფუნქციონირებას, გარდა ამისა, ამორტიზებული შენობები ვეღარ პასუხობდა დაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებს. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა ეროვნულმა ბანკმა, ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკასო ცენტრის მშენებლობით დაიწყო. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკასო ცენტრი 2012 წლის ივნისში გაიხსნა და დღეს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით, დაცვისა და უსაფრთხოების ავტომატიზებული სისტემებით მიმდინარეობს ნაღდ ფულსა და ფასეულობებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია.

ამიერიდან, ეროვნული ბანკის ყველა ადმინისტრაციული ერთეული ერთ შენობაში, სანაპიროს 2-ში განაგრძობს საქმიანობას. ამ შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება, სადაც ეროვნული ბანკის თანამშრომლები კვალიფიციურ პასუხსა და რჩევებს აძლევენ დაინტერესებულ პირებსა თუ ფინანსური სექტორის მომხმარებლებს.

„მედიანიუსი“

საქართველო პირობას დებს, რომ გააგრძელებს ავღანეთის სამხედრო მისიას

ნინო ბერაძე

newsVoA.com

საქართველოს ახალარჩეულმა მთავრობამ პირობა დადო, რომ გააგრძელებს თავის გრძელვადიან წვლილს ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში 2014 წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც უცხოური სამხედრო შენაერთების უმეტესობა იქაურობას დატოვებს.

ქართული ჯარი საკვანძო ძალაა ნატო-ს ავღანეთის მისიაში, სადაც საქართველომ, მისი პოპულაციის გათვალისწინებით, უფრო მეტი სამხედრო დაკარგა, ვიდრე მისიის სხვა მონაწილე ქვეყნებმა. მას შემდეგ, რაც საქართველო (2009 წელს) მისიას შეუერთდა, დაიღუპა 18 ქართველი სამხედრო, აქედან 7 – წელს. ამჟამად, ავღანეთში ქართველებს დაახლოებით, 1,570 სამხედრო ჰყავთ, რაც სამხრეთ კავკასიის ამ პატარა ქვეყანას, რომლის მოსახლეობა სულ 4.5 მილიონს შეადგენს, ნატო-ს ავღანეთის მისიაში ყველაზე დიდ კონტრიბუტორად ხდის. ქართული შენაერთების უმეტესობა ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში მსახურობს და მხოლოდ რამდენიმე ათეული სამხედროა დისლოცირებული ქაბულში.

საქართველოს თავდაცვის ახალი მინისტრი ირაკლი ალასანია, ამას წინათ, ეწვია ავღანეთში ქართულ ჯარს და იქ ნატო-ს მაღალჩინოსნებსა და ავღანეთის ოფიციალურ პირებს შეხვდა. ალასანიამ განაცხადა, რომ საქართველოს სურს ავღანეთის პრეზიდენტის, ჰამიდ კარზაის დახმარება და 2014 წელს, როდესაც საერთაშორისო ჯარების უმეტესობა დატოვებს ავღანეთს, ქართველი სამხედროები დაეხმარებიან ავღანელებს უშიშროების ჯარების წვრთნაში.

„ჩემი ვიზიტი ჩვენს გმირ ჯარისკაცებთან ავღანეთში არის მხარდაჭერა მათი მისწრაფებისა, უზრუნველყონ, ერთი მხრივ, საქართველოს უშიშროება და, მეორე მხრივ, გლობალური უსაფრთხოება“, — უთხრა მან „ამერიკის ხმის“ ქართულ სამსახურს, — **„თითოეული ეს ოპერაცია და ჩვენი თავსებადობა ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებთან, ძალიან მნიშვნელოვანია“.**

ნატო-ს საჭიროებანი

ოქტომბერში, საქართველოს დედაქალაქ თბილისს კავკასიის რეგიონში ნატო-ს წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ეწვია. მან განაცხადა, რომ ქართულ ჯარს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ავღანური ძალების წვრთნის პროცესში.

„ჩვენ არ გვსურს არაფრის დაგეგმვა, საქართველოს მონაწილეობის გარეშე“, — განაცხადა მან, — **„საქართველომ შეიძლება მოისურვოს თავისი ჯარების გაგზავნა ავღანეთში 2014 წლის შემდეგ და ეს წვლილი ძალიან მნიშვნელოვანია“.**

საქართველოს ინტერესი პრაგმატულიცაა და ისტორიულიც. მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, საქართველოს ნატო-ს ალიანსში გაწევრიანების ამბიცია აქვს და ალასანიამ განაცხადა, რომ ავღანელები ისევე, როგორც ქართველები, წარსულში საბჭოთა ბატონობას ებრძოდნენ.

„ჩვენც ვიცით, რა ძნელია საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ ცხოვრება – ქართველებმაც გამოიარეს ეს გზა და ეს ყველაფერი უფრო მჭიდრო კავშირს აყალიბებს ჩვენსა და ავღანელ ხალხს შორის, რაც ჩვენი მათდამი სიმპათიის მიზეზია“, — განაცხადა ალასანიამ. თუმცა ქართველი ოფიციალური პირები აცნობიერებენ, რომ ავღანეთის მისია ნატო-ში გაწევრიანების გარანტიას ვერ ქმნის.

„არავინ გასცემს ბილეთს ნატო-ში გასაწევრიანებლად“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა, რომელიც პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობს, **„ჩვენ უნდა შევეგუოთ ამ ფაქტს, რადგან გაწევრიანებისთვის 28 ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო“.**

საქართველოს სარგებელი

საქართველოს სპეციალისტი ჯონ ჩიკი ვაშინგტონის თავდაცვის უნივერსიტეტიდან აცხადებს, რომ საქართველომ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მოგება ნახოს.

„ავღანეთში თავისი ჯარების დისლოცირებით საქართველო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ის ნატო-ს უსაფრთხოების სისტემაში პროვაიდერის როლს ასრულებს. მას სურს და შეუძლია, გაგზავნოს თავისი ჯარი რთულ ადგილებში ისეთი შეზღუდვების გარეშე, როგორსაც ნატო-ს ზოგიერთი წევრი აწესებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჯარი ბევრად გამოცდილია, ვიდრე ქართული“, — განაცხადა მან. ჩიკი ამბობს, რომ ჩართულობა ავღანეთში, საქართველოს ვაშინგტონთან უკეთესი დიპლომატიური ურთიერთობებისკენ წაიყვანს, რადგან საქართველო შეავსებს სიცარიელეს, რომელიც 2014 წელს, ავღანეთიდან ამერიკული ჯარების გაყვანის შემდეგ შეიქმნება. საქართველოს შეიარაღებული ჯარები აგრეთვე გაივლიან საერთაშორისო წვრთნას ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამავე დროს, ისწავლიან მულტინაციონალურ კოალიციაში მონაწილეობას, ამბობს ჩიკი. თუმცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის აზრით, საერთაშორისო მისიებში ძალიან დიდი ცოცხალი ძალა იხარჯება.

„თუ პოლიტიკურ ელიტას შეუძლია, იმავე მიზანს ორი ჯარისკაცით მიაღწიოს, მაშინ მესამე ჯარისკაცი უკვე ზედმეტია“, — ამბობს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე. ქართველი ჩინოვნიკების თქმით, 23 წლის კაპრალის ამასწინანდელი სიკვდილი ავღანეთში იმის სასტიკი შეხსენებაა, თუ რა მსხვერპლს სწირავს ქვეყანა.

„ძალიან ძნელია მისიისა და პოლიტიკის გაგრძელებაზე ლაპარაკი, როდესაც სულ რამდენიმე დღის წინ, კიდევ ერთი მამაცი ჯარისკაცი დავკარგეთ“, — განაცხადა ამას წინათ ალასანიამ, — **„ეს ის ტვირთი და ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ აიღო საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.**

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲩᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ

შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სამართალდამცველები პატრულირებას მოახდენენ არა მხოლოდ ცენტრალურ მაგისტრალებზე, არამედ თბილისის ყველა უბანსა და ქუჩაზე.

თბილისის საპატრულო პოლიციაში არსებული 75-ის ნაცვლად, დღეიდან დედაქალაქს 111 საპატრულო ეკიპაჟი მოემსახურება. პატრულ-ინსპექტორების რიცხვი კი უკვე 240-ს შეადგენს. მინისტრის გადაწყვეტილებით, ძველ პოზიციებზე დაბრუნდნენ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული სამართალდამცველები. პატრულ-ინსპექტორების ახალ შემადგენლობაში პოლიციის აკადემიის კურსდამთავრებულებიც არიან.

ცვლილებები, რომელიც საპატრულო პოლიციაში განხორციელდა, ცხადია, სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების მეტ გარანტიას იძლევა. შსს სამინისტრო ამ მიმართულებით რეფორმების გაგრძელებას გეგმავს. მალე საპატრულო ეკიპაჟების რიცხვი რეგიონებშიც გაიზრდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, კანონდარღვევის შემთხვევაში, მინისტრიც ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

„ნებისმიერ შემთხვევაში, იმოქმედეთ კანონის შესაბამისად, განურჩევლად სამართალდამრღვევის პოლიტიკური კუთვნილებისა თუ თანამდებობრივი მდგომარეობისა. არღვევს მინისტრი კანონის მოთხოვნებს? ის ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც ნებისმიერი მოქალაქე“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, საპატრულო პოლიციის რეფორმა წარმატებული პროექტი იყო, თუმცა ახალი ხელისუფლების მიზანი იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრაა, რაც დღემდე არსებობდა.

მინისტრის განმარტებით, ეს გულისხმობს როგორც დეპოლიტიზაციის პროცესს, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თითოეული პოლიციელის სოციალური და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მოქალაქეების უსაფრთხოების უკეთ დაცვას და დანაშაულის პრევენციას.

„ეს ცვლილებები უკვე დაიწყო. ძველ პოზიციებზე წინა ხელისუფლების პირობებში უდანაშაულოდ, უსამართლოდ გათავისუფლებული სამართლადამცველები დაბრუნდნენ, ახალ შემადგენლობას პოლიციის აკადემიის კურსდამთავრებულები დაემატნენ“, — განაცხადა მინისტრმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ: „ᲣᲛᲐᲥᲜᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲨᲘ“

მედიაექსპერტების მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივაში, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეფორმირებას ეხება, ძირითადი აქცენტი სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესზე, მისი წევრების ოდენობასა და მათ ვალდებულება-მოვალეობებზეა გაკეთებული.

როგორც ზვიად ქორიძე აცხადებს, სამეურვეო საბჭო უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ტელევიზიის მართვაში, მაგრამ არა ყოველდღიურ მართვაში, არამედ სწორედ იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აქვს გაწერილი, მაგრამ ვერ ასრულებს.

„სამეურვეო საბჭო რომ იყოს ქმედითი, ბიუჯეტიც იქნება ადეკვატური. როგორ დაამტკიცა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის შესრულება 2010–2011 წლებში ამ სამეურვეო საბჭომ, როდესაც ვარკვევთ, რომ ვალი 8 მილიონ ლარამდეა და ამას ემატება ის, რომ 2010 წელს 9 მილიონ ლარამდე ვალი ჩამოწერა ამ ტელევიზიას საგადასახადო ამნისტიის წყალობით“, – განაცხადა ქორიძემ და დასძინა, რომ უმაქნისი უწყება არ უნდა არსებობდეს „საზოგადოებრივ მაუწყებელში“. **„აღმოჩნდა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ბოლო სამი წელი მხოლოდ თვალს ადევნებს იმას, თუ როგორ იფლანგება საჯარო კაპიტალი ქვეყანაში და არ კეთდება კარგი პროდუქცია“,** – აღნიშნა ქორიძემ.

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲓᲐᲔᲪᲐ

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 73 პროცენტი ამბობს, რომ დღეისთვის, მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს კოალიცია „ქართული ოცნება“ დგას. „ქართულ ოცნებას“ მხარს 63 პროცენტი უჭერს მაშინ, როდესაც 2012 წლის აგვისტოში ჩატარებული კვლევის მიხედვით მხოლოდ 14 პროცენტი უჭერდა მხარს. გამოკითხულთა 10 პროცენტი ამბობს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „ნაციონალური მოძრაობა“ დგას. საპარლამენტო უმცირესობის რეიტინგი, ამა წლის აგვისტოსთან შედარებით, 20 პროცენტითაა დაკლებული. აგვისტოში მას მხარს 38 პროცენტი უჭერდა. გამოკითხულთა 3 პროცენტი აცხადებს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა დგას. 5 პროცენტი არცერთ პარტიას არ უჭერს მხარს. 1 პროცენტი სხვა ოპოზიციურ პარტიებს. 10 პროცენტი პასუხზე უარს ამბობს, ხოლო 8 პროცენტმა არ იცის, თუ რომელი პარტია დგას მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს.

„მედიანიუსი“

„ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ!“

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

წლების განმავლობაში ნგრევის პროცესი, საქართველოს სპორტულ სამყაროსაც მტკივნეულად შეეხო. განსაკუთრებით, დაზარალდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა. სპორტული მოედნები მრავალსართულიანმა საცხოვრებელმა კორპუსებმა დაიკავეს.

იქ, სადაც სტადიონის დანგრევა ვერ შეძლეს, სარბენ ბილიკებს მოუღეს ბოლო. მათ შორის, ყოფილი „ლოკომოტივის“ სტადიონი, თავისი ადგილმდებარეობით, მძლეოსანთა ერთ-ერთ საუკეთესო ბაზად ითვლებოდა. ამას მსოფლიოს საუკეთესო ათლეტები აღიარებდნენ, რომლებიც თბილისს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ. ასეთივე დღეშია სპორტის აკადემიის სტადიონიც, რომლის ნგრევაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. მისი ერთი მხარე უკვე ათვისებულია და თუ ასე გაგრძელდა, მალე აქ ქვას ქვაზე არ დატოვებენ.

ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, გთავაზობთ 2004-2012 წლებში დანგრეული და გაუქმებული სტადიონებისა და სხვა სპორტული ობიექტების ჩამონათვალს: ეს არის ქართული არმიის სტადიონი ავლაბარში, ირგვლივ სახლებია წამოჭიმული; არმია საკუთარი სტადიონის გარეშე დატოვეს; 35-ე საფეხბურთო სკოლის სტადიონი — თევდორე მღვდლის ქუჩაზე, იქ ბაზრობა მოაწყვეს; ადრე აქ ქართული ფეხბურთის სამჭედლო იყო; სტადიონი ეროვნულის გვერდით.

გააუქმეს — „ნორჩი დინამოელის“ სტადიონი — თავისივე ოთხ მოედანთან ერთად, მუშტაიდის ბაღის გვერდით. ემსახურებოდა თბილისის ცენტრალურ უბნებს; „ბერის“ სტადიონი ნაძალადევში, ემსახურებოდა მთელ რაიონს. გაყიდეს: სპორტის აკადემიის სტადიონი ვაკეში — თითქმის გაუქმებულია; იქ ვარჯიშობდნენ ყველა სახეობის სპორტსმენები; მაუდ-კამვოლის სტადიონი დიდუბეში — რაიონს სხვა სტადიონი არ აქვს; „გეპეის“ სტადიონი — სააკაძის მოედნის გვერდით.
ასევე, გააუქმეს ვაკეში არსებული 5 მაღალი რანგის სპორტული ობიექტი;
ესენია: სპორტის აკადემია; მძლეოსნობის „მანეჟი“, სპორტსმენების იმედი ცუდი ამინდების დროს; ძიუდოს დარბაზი — გაუქმებულია; ჩოგბურთის ორი კორტი, ამ რაიონის ერთადერთი სავარჯიშო ბაზა; ხოლო ფალავანთა კლუბი გაყიდულია, ქართული ჭიდაობის სამჭედლო.

ამასთან, 2004-2012 წლებში მათ დაანგრიეს ზუგდიდისა და ბათუმის ცენტრალური სტადიონები. ამ ქმედებებმა მთელ ქართულ სპორტს საძირკველი შეურყია. ამ ობიექტებზე ხომ სპორტის 10 ოლიმპიური სახეობის სპორტსმენები ვარჯიშობდნენ.

ასეთი პოლიტიკის შედეგად, ბოლო პერიოდში, მარტო თბილისში 13 მაღალი რანგის სპორტული ობიექტი განადგურდა. დანგრეულია 3 საერთაშორისო სტანდარტული ზომების სტადიონი, გაუქმებულია ორი, გაყიდულია სამი სტადიონი; მარტო ვაკეში ხალხს წაართვეს მაღალი დონის 5 ობიექტი. მოსახლეობა აცხადებს, რომ ამ დანაშაულის ჩადენას, სააკაშვილისა და უგულავას ნებართვის გარეშე, ვერავინ გაბედავდა.

ყველგან განზრახულია საცხოვრებელი სახლების აშენება (ნაწილზე უკვე დგას მრავალსართულიანი კორპუსები). სპორტის დამსახურებული ვეტერანები მოითხოვენ, დარჩენილ ობიექტებზე კატეგორიულად აიკრძალოს მშენებლობა, რათა ქვეყანამ, სამომავლოდ, შეძლოს სტადიონების აღდგენა; რომლებიც მთლიანად გაქრობას შემთხვევით გადაურჩნენ. არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ეს ვაკის ყოფილი სტუდქალაქის სტადიონს დამართეს. აქ დღეს ნემსი არ ჩავარდება, ისეთი მდგომარეობაა. გავრცელებული ინფორმაციით, თავის დროზე, ეს ტერიტორია შევარდნაძის ნათესავ-მეგობრებმა ხელში ჩაიგდეს და ბოლომდე აითვისეს. მრავალსართულიანი სახლების ფონზე კი, ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორია ნამდვილ გეტოს დაემსგავსა.

ამ ფონზე, ვეტერანები მოითხოვენ, ახლადარჩეულმა პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომლითაც ყველა სტადიონი სახელმწიფოს მფლობელობაში გადავა. მათი თქმით, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, დარჩენილი ობიექტები გადავარჩინოთ. მსგავსი სტადიონების დანიშნულება კი შეუფასებელია — ისინი ემსახურებიან მოსახლეობის გაჯანსაღებასა და მომავალი თაობის სპორტულ წარმატებას. ასეთი სტადიონები მთელ მსოფლიოში ხელშეუხებლად ითვლება.

ვეტერანების ინფორმაციით, ყოფილმა რეჟიმმა ყველაფერთან ერთად, ორი მძიმე და გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა: **„ჯერ კიდევ 1922-1960-იან წლებში, სტალინისა და მჟავანაძის მიერ თბილისში აშენებული 26 სტადიონიდან 15-ის ირგვლივ მოწყობილი სავარჯიშო ბილიკები, დაუჯერებელია, მაგრამ აღარ არსებობს. ჯერ შევარდნაძის უნამუსო მთავრობამ ბილიკები ხუთ სტადიონზე მოშალა. მარტო ვაკის რაიონში ისინი სამ სტადიონზე გააუქმეს. შემდგომ, სააკაშვილის რეჟიმმა ბილიკები შვიდ მოედანზე მოშალა, სამზე კი, სულაც, დაანგრია. სადაც ვარჯიში აღარ შეიძლება. გადარჩენილია მხოლოდ ეროვნულ სტადიონზე, მაგრამ იგი თვით სპორტსმენებისთვისაც კი ჩაკეტილია“.**

მათივე თქმით, 2012 წელს „ნაცმოძრაობის ურდოს“ დანაშაულმა პიკს მიაღწია და ეროვნულის გვერდით მდებარე სტადიონი დაანგრიეს: **„ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ სტადიონს, გვერდით თუ არ აქვს სათადარიგო არენა სარბენი ბილიკებით, სახტომი და სატყორცნი სექტორებით, უფლება არ აქვს, ჩაატაროს საკუთარი დედაქალაქის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.**

ვეტერანები ამბობენ, რომ ამ ქაოსში მძლეოსნობის ფედერაციასაც დიდი წვლილი მიუძღვის. მათ მსოფლიოსა და ევროპის მძლეოსნობის ფედერაციიდან ბერკეტები აქვთ მინიჭებული, რომ დაიცვან სარბენი ბილიკები და მძლეოსნური „მანეჟები“ ნებისმიერი „გადამთიელისგან“: **„მათ არ ისურვეს, გვერდით დადგომოდნენ ქართულ სპორტს და ისეთ სახეობას, რომელსაც ჰყავს მსოფლიოში ლეგენდადაქცეული ვიქტორ სანეევი, რომის ოლიმპიადის გმირი რობერტ შავლაყაძე, მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ნონო დუმბაძე... სტადიონების გადასარჩენად ფიფა-სა და უეფა-სგან მინიჭებული ბერკეტები არ გამოიყენეს ნოდარ ახალკაცმა უმცროსმა და ზვიად სიჭინავამ. ეს ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურებოდა — მეტი ნარკოტიკი, ალკოჰოლი, სიგარეტი და სამედიცინო პრეპარატები გაეყიდათ, ხელისუფლების სათავეში მოკალათებულ ვაიქართველებს, რომლის წილებში თვითონვე იყვნენ წლების განმავლობაში. ამ ხროვას ხელის ერთი მოსმით რომ არ გაენადგურებინა ზემოაღნიშნული სპორტული ობიექტები, მათზე ყოველდღიურად ივარჯიშებდა 2 ათასზე მეტი სპორტსმენი, იმუშავებდა ორასზე მეტი მწვრთნელი“.**

სპორტის მესვეურების თქმით, რომ არა ასეთი სავალალო მდგომარეობა, არ გვექნებოდა ასეთი ძლიერი ჩავარდნა, როგორიც დღეისთვის მთელ ქართულ სპორტში შეინიშნება. ვეტერანები ახალ ხელისუფლებას რის ვაი-ვაგლახით გადარჩენილი ობიექტების კონტროლზე აყვანას სთხოვენ, რადგან ხვალ-ზეგ დედაქალაქში ერთი თავისუფალი გოჯი აღარ დარჩება მათ ასაშენებლად: **„აღნიშნული სპორტული ბაზებიდან ერთ-ერთიც რომ დაიკარგოს, კოალიცია „ქართული ოცნების“ მოღვაწეობას ბზარი გაუჩნდება. ამას ჩვენი ღირსეული სპორტული წარსული, მომავალი თაობები, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები ითხოვენ; რომლებიც ოდესღაც, ამ სპორტულ ობიექტებზე ვარჯიშობდნენ, საკუთარი სამშობლო რომ ესახელებინათ. გადავარჩინოთ და აღვადგინოთ სპორტული ობიექტები, თუნდაც, 5 სტადიონის სავარჯიშო ბილიკი. მათ მეტი არ დაგვიტოვეს“.**

დაბოლოს, მძლეოსნობა — უნივერსალური სპორტია. იგი სჭირდება სპორტის ყველა სახეობას, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყველა ჯანმრთელობისმოყვარულ და ასევე ჯანმრთელობადაკარგულ ადამიანსაც. ამიტომ, გაუგებარია ასეთი მტრული დამოკიდებულება აღნიშნული სფეროს მიმართ. ეს იგივეა, მომავალ თაობას წაართვა შანსი, რომ ფიზკულტურით, სპორტით დაკავდეს და ჯანმრთელი გაიზარდოს. ამ თვალსაზრისით, სტადიონების ნგრევა, საკუთარ მომავალთან უდღეურ ბრძოლას შეიძლება შევადაროთ. ეს კარგს არაფერს მოიტანს.

ღვაწლმოსილი ადამიანების მოწოდება არ სჭირდება იმ სავალალო სურათის დანახვას, როცა დედაქალაქში სტადიონი თუ რეკრეაციული ზონა, ლამის, აღარ დარჩა. წლების განმავლობაში სტიქიურმა მშენებლობებმა, თბილისს ფილტვები დაუვავადა. ცოტა დარჩა ისეთი ადგილი, სადაც შეგიძლია გაისეირნო, ივარჯიშო, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო. ერთ-ერთი ბოლო გამოკითხვისას, თბილისი ეკოლოგიურად საკმაოდ დაბინძურებულ ქალაქად გამოაცხადეს. სააკაშვილის მთავრობას უფრო პიარი აინტერესებდა, თუნდაც ამ სფეროში, ვიდრე რეალური საქმეების კეთება. სხვა რას უნდა დავაბრალოთ მინი-სტადიონების გალამაზებით მუდმივი თავის მონონება, როცა სტანდარტულ სპორტულ ობიექტებს ხელის აუკანკალებლად სპობდნენ.

იმედია, ახალი ხელისუფლება ამ შეცდომას არ გაიმეორებს. გადარჩენილი სტადიონები უნდა აღდგეს სრულფასოვნად, თავისივე სარბენი ბილიკებით. ასევე უნდა აშენდეს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ბაზები, რათა ქვეყანამ დაკარგული წლები და სპორტული შესაძლებლობები აინაზღაუროს. ამ სფეროში ჩადებული სახსრები, მომავალი თაობის სიმრთელესა და სპორტულ წარმატებებს წაადგება. ნებისმიერ ხელისუფლებას, ამაზე საშური საქმე რა უნდა ჰქონდეს.

facebook NEWS

ავთო ტყაბლაძე

კაცი ზის სამზარეულოში, მაგიდაზე უდევს ცარიელი ბოთლი, წინ უზის ჯინი. ჯინი ეუბნება: „ხომ ვიცი, 3 სურვილი გაქვს, მითხარი ბარემ მესამეო“.

კაცი გადაირია: „კი, მაგრამ პირველმა და მეორემ რა დააშავაო“.

ჯინი პასუხობს: „პირველი შეგისრულე, მაგრამ შენი მეორე სურვილი იყო ყველაფერი უკან დაგებრუნებინა. ჰოდა, ველოდები მესამეს“.

კაცი დაფიქრდა, მოიქექა კეფა და ეუბნება ჯინს: „მინდა, ყველა ქალს მოვწონდე“.

ჯინმა გაიცინა და უპასუხა: „კარგი, გავაკეთებ, ოღონდ რომ იცოდე, პირველი სურვილიც ეს იყოო“.

facebook NEWS

გოგა ხაჩიძე:
ჩემი ძველი პოსტი. დღესაც ვეთანხმები.

„ძვირფასო ხელოვანნო! :) მომღერალნო, კომპოზიტორნო, პოეტნო, მწერალნო, მხატვარნო, მოცეკვავენო, რეჟისორნო, მსახიობნო, ქვის მთლელნო, დაფასებულნო, დაუფასებელნო და ა.შ.

(ჩემის აზრით) თქვენ უნდა შეწყვიტოთ იმის მტკიცება ნაცნობ-მეგობრებ-შესაძლო სპონსორებთან, რომ ძალიან ნიჭიერი ხართ; რომ საუკეთესო ხართ; რომ არ გაგიმართლათ; რომ დასაწყისში პატარა ბიძგი გჭირდებათ; რომ თქვენი არ ესმით; რომ თქვენი ხელოვნების გარდა არაფერი გაინტერესებთ...

თქვენ უნდა შეწყვიტოთ წუწუნი!...

თქვენ უნდა შეწყვიტოთ ბოდვა!...

თანამედროვე სამყაროში, გენიალური თუ ხარ, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დაიმალები.

თუ სახლში, სოფელში, ქალაქში, ან თუნდაც ქვეყანაში „დამალულად“ მიგაჩნია თავი ე.ი. გენიალური არ ხარ,.. ნუ, ჯერჯერობით მაინც :)

ჩათვალე, რომ პირადად შენთვის დაუშვა ღმერთმა ინტერნეტის შექმნა... ჩვენებურად „ბურთი და მოედანი“...

მრავალმილიონიანი აუდიტორია, რომელიც ყოველთვის მზადაა, შეგაფასოს და ადგილი მიგიჩინოს.

ხოლო თუ ფიქრობ, რომ შენი ხელოვნება „ზე“-ურია, „ფართო მასებზე არაა გათვლილი“ და „ყველა ვერ გაიგებს“, მაშინ:

„სახელდახელოდ“ დაამზადე რამე „ფართო მასისთვის“ (წესით, ეგ შენთვის ადვილი უნდა იყოს), საჭმლის ფული მაინც იშოვე და მერე აკეთე ეგ შენი „წიუ...“

ოღონდ, ნუ წუწუნებ და ნუ ბოდავ...

მხოლოდ კეთილი სურვილებით“.

facebook NEWS

დათო ლიკლიკაძე

პარლამენტარებმა ჰაერი არ არის შენობაში და ვიხუთებითო.

შეკითხვა მაქვს: ყველა წვიმის დროს წყალი თუ ჩადის პარლამენტში, ჰაერი რა პონტში არ შემოდის?

ვახო სიხარულიძე

იასნია, მაგათ გოროდში ურჩევნიათ! მა, ქუთაისში და ისიც გარეუბანში (ზაოდში რაღა.) რა პონტში უნდა მოსწონდეთ?! მაგათ გოლოვინსკზე ურჩევნიათ, ჰაერიც უკეთესია, პრასვეტიც მეტია და რამე... ქუთაისი რა, ჭიჭიკიები კი არ არიან...

ავაშენებინოთ პარლამენტი აბასთუმანში, იქ ჰაერი საკმაოდ სუფთა და ოზონ-ჟანგბადითაა გაჯერებული, ობსერვატორია და ტელესკოპებიც იქვეა და... მიდი... უყურონ ცას, ვარსკვლავთცვენებს, ჩაუთქვან სურვილები და... იოცნებონ. ქვეყანას კი ვინ ობივატელმა მიხედოს?! ვაი და უი, ჩვენ თავს!

გოგი ქავთარაძე: „გვინდა, დავუბრუნდეთ ძველ ფორმატს — როცა თეატრში პირველი პირი იყო სამხატვრო ხელმძღვანელი, მეორე — დირექტორი!“



ნათია ვასაძე

კანონპროექტს „სახელმწიფო თეატრების შესახებ კანონში“ ცვლილებების შესახებ, თეატრალურ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, ხოლო პროექტის სკანდალური განხილვა, როგორც შემოქმედებით წრეებში ხშირად ხდება ხოლმე, საკმაოდ უსიამოვნო „გარჩევებში“ გადაიზარდა. სხვათა შორის, ამ პროექტს წინ უძღვოდა რუსთაველის თეატრიდან „გაძევებული“ რობერტ სტურუას საქართველოში დაბრუნება და საკმაოდ ამბიციური განცხადება, რომ რუსთაველის თეატრში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ მმართველიცა და სამხატვრო ხელმძღვანელიც თავად იქნება. როგორც ჩანს, ოპონენტებმა ჩათვალეს, რომ კანონში ცვლილებები სწორედ „სტურუას ხუშტურების“ შედეგი იყო. ეჭვის საფუძველი ნამდვილად არსებობდა, რადგან კანონპროექტი თეატრებში მმართველის პოსტის გაუქმებასა და სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს, რამაც განსაკუთრებით, თეატრის მმართველთა უკმაყოფილება გამოიწვია. რატომ გახდა საჭირო კანონში ცვლილების შეტანა და როგორ უნდა წარიმართოს თეატრში შემოქმედებითი თუ ადმინისტრაციული პროცესები მმართველის გარეშე? „ვერსია“ ამ და სხვა საკითხებზე თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, გოგი ქავთარაძე ესაუბრა:

— რატომ გახდა საჭირო თეატრებში მმართველის პოსტის გაუქმება?

— ჩვენ ახლა, განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა გვინდა. არ მესმის, რატომ ატყდა ასეთი ხმაური ამ კანონპროექტთან დაკავშირებით მაშინ, როცა ისტორიულად, სამხატვრო ხელმძღვანელი თეატრში ყოველთვის იყო პირველი პირი. ასე რომ, ახალი არაფერი მოგვიგონია, გვინდა, დავუბრუნდეთ ძველ ფორმატს, რომლის მიხედვითაც, თეატრში პირველი პირი იყო სამხატვრო ხელმძღვანელი და მეორე პირი — თეატრის დირექტორი. რამდენიმე წლის წინ, როცა თეატრის მმართველის თანამდებობა შემოიღეს, არც თეატრის ხელმძღვანელობისთვის და არც თეატრალური საზოგადოებისთვის აზრი არავის უკითხავს. დაგვაყენეს ფაქტის წინაშე და დაგვინიშნეს თეატრებში მმართველები.

— ფიქრობთ, ყველა მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნულია?

— თეატრის მმართველის ინსტიტუტის შემოღება ძალიან ჰგავდა საბჭოთა პერიოდში, თეატრებში კომისრების დანიშვნას. თეატრის მმართველი აუცილებლად უნდა ყოფილიყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ან თანამოაზრე. მმართველის მთავარი ფუნქცია თეატრში ხელისუფლების იდეის გატარება იყო. თეატრის არც ერთი მმართველი არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული შეხედულებისა.

— თუმცა ვერ უარვყოფთ, რომ მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამშრომლობა ზოგ თეატრში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

— გეთანხმებით, ზოგიერთმა მმართველმა გაამართლა კიდეც, თუმცა — მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში. წარმატებულად მიმაჩნია მარჯანიშვილის თეატრში ეკა მაზმიშვილისა და ლევან წულაძის თანამშრომლობა. მუსკომედიის თეატრში ორივე ფუნქცია დავით დოიაშვილმა შეითავსა და ესეც საკმაოდ წარმატებული შემთხვევა აღმოჩნდა. ასეა თავისუფალ თეატრშიც, სადაც ავთო ვარსიმაშვილი გახლავთ სამხატვრო ხელმძღვანელიცა და თეატრის მმართველიც, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია, ჩვენ კი საქმე გვაქვს კანონთან.

— ახალი კანონპროექტით, იქნება თუ არა შესაძლებელი ამ ორი თანამდებობის კვლავ ერთი ადამიანის მიერ შეთავსება?

— ჩვენი კანონპროექტითაც შესაძლებელია, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ერთი პიროვნება იყოს, მაგრამ სასურველია და საქმისთვისაც უკეთესი იქნება, თუ თეატრს ეყოლება დირექტორიც, რომელიც იქნება სამხატვრო ხელმძღვანელის თანამოაზრე ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ საკითხებში. თითქმის ყველგან, მთელ მსოფლიოში, თეატრს ხელმძღვანელობს ერთი პიროვნება, მეორე კი თეატრის ფინანსურ და ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებს.

— იქნებ უფრო მეტად დააკონკრეტოთ, რა ფუნქციები ექნება სამხატვრო ხელმძღვანელს და რა — დირექტორს?

— ნებისმიერ დაწესებულებაში პირველი პირი უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც თავად ქმნის პროდუქციას. თეატრი არის სინთეზური ხელოვნება და მას აუცილებლად უნდა მართავდეს ხელოვანი ადამიანი.

> **სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება პასუხისმგებელი თეატრის სტრატეგიის განსაზღვრაზე, შემოქმედებით მხარეზე, რეპერტუარზე, მსახიობების შერჩევასა და ა.შ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელზე გადადის მთელი ტვირთი. ამ პროცესების რეალიზებაში მას ხელს შეუწყობს თეატრის დირექტორი, რომელსაც თეატრის წარდგინებით, კულტურის სამინისტრო დანიშნავს.**

— ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, აზრი ორად გაიყო, რა არგუმენტები აქვთ მათ, ვინც ამ კანონს ეწინააღმდეგება?

— ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, თუ ვინმეს ექნება ჯანსაღი მოსაზრება და შენიშვნა, აუცილებლად გავითვალისწინებთ, მაგრამ უკმაყოფილებას, ძირითადად, ის მმართველები გამოთქვამენ, რომელთაც იმ ძალაუფლების დაკარგვა არ უნდათ, რაც წინა ხელისუფლების დროს მიენიჭათ.

— არსებობს მოსაზრება, რომ ამ კანონპროექტის შემუშავება საჭირო გახდა რობერტ სტურუასთვის მეტი უფლებების მისანიჭებლად.

— ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. როგორ შეიძლება, ეს აზრი ვინმეს თავში მოუვიდეს.

> **რატომ უნდა გავუკეთოთ კანონი რობერტ სტურუას, როცა ის ამის გარეშეც დადგამს კარგ სპექტაკლებს? კიდევ ვიმეორებ, ჩვენ რომ შეგვექმნა რაიმე ახალი მოდელი, შეიძლება გაჩენილიყო ასეთი ეჭვი, მაგრამ საქმე ეხება თეატრებში, წლების განმავლობაში არსებული ძველი მოდელის დაბრუნებას, მაგრამ თუ დავფიქრდებით, თეატრში, სადაც რობერტ სტურუაა, არ შეიძლება ვინმე იყოს მასზე მეტი.**

— ხომ არ დაასახელებთ რომელიმე თეატრს, სადაც მმართველის საქმიანობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა?

— ამის თვალსაჩინო მაგალითია ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. ეს ის აღმაშფოთებელი შემთხვევაა, სადაც ერთი ადამიანი წყვეტს ყველაფერს — პოლიტიკური ნიშნით თეატრიდან მსახიობების გაშვებით დაწყებული, რეპერტუარის შერჩევით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ სხვა ბრალდებებზე, რაც მიხეილ ანთაძის მისამართით გაჟღერებულა.

— რამ განაპირობა ის, რომ წინა ხელისუფლების პირობებში თეატრი იყო განსაკუთრებულად პოლიტიზირებული და რა კრიზისს განიცდის დღეს ქართული თეატრი?

— წინა ხელისუფლება თავად განაპირობებდა თეატრში იმ არაჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს, რამაც საბოლოოდ, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანა.

> **თუმცა, თეატრი პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია. მაშინაც კი, როდესაც საქართველო და ქართული თეატრი ტოტალური რეჟიმის ქვეშ იმყოფებოდა, გმირობის ტოლფასი კი იყო ამა თუ იმ სპექტაკლში ფარული პოლიტიკური აქცენტების გაკეთება. ვფიქრობ, რაღაც დოზით თეატრი ყოველთვის ოპოზიციაში უნდა იყოს და არა, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებელი. ახლა ქართული თეატრი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, კრიზისია როგორც შემოქმედებითი, ისე ფინანსური თვალსაზრისითაც, მაგრამ იმედი მაქვს, სულ მალე, პროცესები დაემსგავსება ზღვის მოქცევას და მოხდება ე.წ. შემოქმედებითი აფეთქებები.**

მთავარია, ყველა თეატრმა სწორად დაგეგმოს ამ კრიზისიდან გამოსავალი.

ვერსიანიუსი

ზურაბ წერეთლის შვილიშვილი რუსეთში ხელოვნების სფეროში ყველაზე გავლენიანი ადამიანია

2012 წელის შედეგების მიხედვით, რუსეთის თანამედროვე ხელოვნებაში ყველაზე გავლენიანი ადამიანი მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი ვასილი წერეთელი გახდა.

მეორე ადგილზე მოსკოვის **Multimedia Art Museum**-ის დირექტორი ოლგა სვიბლოვა, ხოლო მესამეზე „ფარეხის“ დამფუძნებლები რომან აბრამოვიჩი და დარია ჟუკოვა აღმოჩნდნენ, რომლებსაც რეიტინგში შარშან პირველი ადგილი ჰქონდათ. რეიტინგს ტრადიციულად, ჟურნალი „არტქრონიკა“ აქვეყნებს და მის შედგენაში არტ-საზოგადოების სხვადასხვა სფეროს 11 წარმომადგენელი მონაწილეობს.ვასილ წერეთელი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი 2002 წელს გახდა. გასული წლების განმავლობაში მან განახორციელა მრავალი საინტერესო პროექტი. მათ შორის რამდენიმე თანამედროვე ხელოვნების სფეროში „ინოვაციისა“ და „კანდინსკის პრემიებზე“ იყო ნომინირებული.

წერეთელი 1978 წლის 31 იანვარს თბილისში დაიბადა. იგი ორი წელი სწავლობდა ნიუ-იორკში, დიზაინის უნივერსიტეტში - **Parson School of Design**.

2000 წელს დაამთავრა ნიუ-იორკის **School of Visual Arts**. წერეთელი წარმატებით საქმიანობს მხატვრობაში, ფოტოგრაფიასა და სკულპტურაში. იგი არის რამდენიმე ვიდეოინსტალაციის ავტორი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ეძღვნება დაღუპულ ბავშვებს“, „შიშველი სიმართლე“. წერეთელი არის მრავალი პერფორმანსისა და გამოფენის ავტორი. ჰყავს მეუღლე — ესპანელი მოდელი კირა საკარელო და ოთხი შვილი — სამი ვაჟი და გოგონა.

„ჯი-ეიჩ-ენი“





წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	6	4	2	7	8	3	1	9
3	2	1	4	9	5	8	7	6
8	9	7	6	1	3	5	4	2
1	8	2	7	5	6	4	9	3
9	5	6	3	4	2	1	8	7
4	7	3	1	8	9	2	6	5
2	4	9	5	6	1	7	3	8
7	3	8	9	2	4	6	5	1
6	1	5	8	3	7	9	2	4

საშუალო

6	1	7	4	9	8	5	3	2
5	4	9	3	2	7	1	6	8
8	3	2	6	1	5	9	7	4
7	2	1	5	8	9	6	4	3
4	9	8	1	6	3	2	5	7
3	5	6	2	7	4	8	1	9
2	7	5	9	3	6	4	8	1
1	8	4	7	5	2	3	9	6
9	6	3	8	4	1	7	2	5

რთული

6	2	9	1	8	7	5	4	3
5	4	3	6	2	9	7	1	8
1	8	7	3	5	4	2	6	9
9	7	2	8	4	6	3	5	1
8	6	5	2	3	1	9	7	4
4	3	1	9	7	5	8	2	6
7	5	8	4	1	3	6	9	2
3	1	6	5	9	2	4	8	7
2	9	4	7	6	8	1	3	5

ეჭვიანური

3	9	2	6	1	8	7	5	4
6	5	1	9	4	7	3	8	2
8	4	7	5	2	3	6	1	9
9	3	5	4	8	6	2	7	1
1	6	4	7	3	2	5	9	8
7	2	8	1	5	9	4	6	3
5	1	9	3	7	4	8	2	6
4	8	6	2	9	5	1	3	7
2	7	3	8	6	1	9	4	5

ჰოროსკოპი 19 დეკემბერი

ვერძი – დღეს თქვენ დიდი დროს დახარჯავთ სხვისი პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა, შეძლებთ სიმშვიდის შენარჩუნებას და ყველა საკითხს მოაგვარებთ. ახალი პროექტის რეალიზებასაც კი დაიწყებთ, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ. თავი აარიდეთ კონფლიქტს ოჯახში. კარგი დღეა ნაცნობებთან შეხვედრისა და სხვადასხვაგვარი ოჯახური ღონისძიებებისთვის. რომანტიკული პაემანი კი სჯობს, შუა დღეს დანიშნოთ.

კურო – ეს დღე ისე დაგეგმეთ, რომ სასარგებლო საქმეები სასიამოვნოს ენაცვლებოდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებთ ყველაფრის მოსწრებას, ენერგიისა და კარგი განწყობის შენარჩუნებას. არაქათის გამოცლამდე ნუ იმუშავებთ, ამან შესაძლოა, თქვენს ჯანმრთელობაზე იმოქმედოს, გამწვავდეს ქრონიკული დაავადებები. კარგი დღეა ასევე ხატვისა და ხელსაქმისთვის. კონტაქტებისთვის კი არახელსაყრელი პერიოდია. სჯობს, ურთიერთობებს თავი აარიდოთ და მხოლოდ ოჯახის წევრებით შემოიფარგლოთ.

ტყუპები – დღეს სირთულეები არ წარმოიშობა, თუკი საკუთარ თავზე ძალიან ბევრს არ აიღებთ. გახსოვდეთ, რომ პრობლემების გაზიარება სხვებისთვისაც შეგიძლიათ, საამისოდ ბევრი ნაცნობი გყავთ, ვინც ნებისმიერ მომენტში დახმარებას გაგინევთ. კონტრაქტებს ხელი მოაწერეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები კარგად შესწავლილი და გაანალიზებულია. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულად აენყობა, თუ ყოტა დათმობაზე წახვალთ.

კირჩხიბი – ეს დღე მოულოდნელად, კარგ ამბებს მოგიტანთ. დაივინყებთ ყველა სადარდებელს და მომენტალურად პოზიტიურ განწყობაზე დადგებით. არ გაუშვათ შანსი, რომ თავი საუკეთესოდ წარმოაჩინოთ, ამაზე შესაძლოა, თქვენი მომავალია დამოკიდებული. არ არის გამორიცხული უთანხმოება ძველ ნაცნობებთან. ნუ შეგეშინდებათ ექსპერიმენტების, ამ დღეს ვარსკვლავები დაგეხმარებიან იმის გაკეთებაში, რაც ადრე არაფრით გამოგდიოდათ. ახალი რომანი კი თავბრუდამხვევი იქნება.

ლომი – გამოიყენეთ ეს დღე იმისთვის, რომ საქმეზე აენყოთ, ენერგიის მარაგი შეივსოთ – ეს თქვენ მალე დაგჭირდებათ. მოსამზადებელი დღეა რაიმე განსაკუთრებულისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, რა იქნება ეს – რაიმე პროფესიული პროექტი, მოგზაურობა, საზეიმო ღონისძიება თუ ოჯახური დღესასწაული. გარშემომყოფებთან თავაზიანი და კეთილგანწყობილი იყავით.

ქალწული – დღე მაინცდამაინც კარგად არ ინყება – ბევრის მიღწევა გსურთ, მაგრამ სწრაფად და უშრომელად ეს არ გამოვა. არც დიდი შრომითი ენთუზიაზმით გამოირჩევით და თავს ძალას ატანთ, რომ საქმე აკეთოთ. საბედნიეროდ, დღის მეორე ნახევარში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება და სერიოზული ცვლილებებიც არ დააყოვნებს.

სასწორი – წარმატების საიდუმლო სიმშვიდეშია, მაგრამ სამწუხაროდ, ემოციებს ყოველთვის ვერ უმკლავდებით. განსაკუთრებით საშიშია პატარა გაღიზიანება. დღის განმავლობაში ის გროვდება და მოთმინებაც აღარ გყოფნით. დღეს ფრთხილად იყავით, უცრადღებით გაკვირდებიან ადამიანები, ვისთანაც დიდი ხნის განმავლობაში საქმე გექნებათ. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ მოეშვათ და მაღაზიებში გაიაროთ.

ღრიანკალი – საკმაოდ მშვიდი დღეა, მოულოდნელი არაფერი ხდება და არც მღელვარების მიზეზი გაქვთ. კარგად ჩაივლის საქმიანი შეხვედრები. ახლობლებთან ურთიერთობებიც ჩვეულებრივ რიტმში ენყობა: ყოველთვის კმაყოფილი ხართ. კარგი დღეა საყიდლებისთვის. შეგიძლიათ გართობაზეც იფიქროთ და იმ ადგილებს მიაკითხოთ, სადაც ბევრი ადამიანი იყრის თავს – ეს განწყობას გაგიუმჯობესებთ.

მშვილდოსანი – რაც ნაკლებად გამოავლენთ ემოციებს, მით უკეთ ჩაივლის დღე. ბევრი მშვილდოსნისთვის ოდუნებებთან დაკავშირებული პერიოდია. ვარსკვლავები სიმტკიცეზე გამოცდას გინყობენ და აჩვენეთ, რა შეგიძლიათ. ოჯახში სიმშვიდე და ურთიერთგაგებაა. მზად ხართ, ბევრი რამ გააკეთოთ, ახლობლებს კომფორტული ატმოსფერო რომ შეუქმნათ. საღამო კარგი იქნება პაემნისა და გასეირნებისთვის. არ არის გამორიცხული სასიამოვნო სიურპრიზები და საჩუქრები.

თხის რქა – გეგმების განხორციელებაში სირთულე არ გექმნებათ, ხშირად მოულოდნელ გადაწყვეტილებებსაც იღებთ და სასურველს აღწევთ. შესაძლოა, მნიშვნელოვანი ფულადი ჯილდო მიიღოთ. სტაბილურდება ემოციური ფონი, აღარ ხართ გაღიზიანებული. ეს დღე კარგია მეგობრებთან ურთიერთობისთვის, რომანტიკულ პაემანზე წასვლისგან კი დღეს თავი შეიკავეთ.

მერწყული – წარმატებული დღეა საბუღალტოსთვის: პრობლემას პრობლემაზე აგვარებთ. მეტ წარმატებას აღწევენ ის მერწყულები, ვინც შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი ან შოუბიზნესთან არიან დაკავშირებულნი. ოტა რთულადაა საქმე. აქ სიტუაციის დალაგებაში ინტუიცია დაგეხმარებათ.

თევზები – ნეიტრალური, მშვიდი დღეა. ხელს არაფერი შეგიშლით, გეგმები რომ განახორციელოთ, თანმიმდევრობით და ჯკვიანურად მოქმედებთ და თქვენზე გამოცდილ და ძლიერ კონკურენტებსაც ჯობნით. ეს საკუთარ მომავალზე ფიქრის დღეა. შეეცადეთ, არ აღელდეთ – მალე ისეთი რამ მოხდება, რაზე ვერც კი ოცნებობთ. ყველა პრობლემა წარსულში დარჩება.

ლაიფსტაილი

ყველაზე ჯანმრთელი ქვეყანა იაპონიაა

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, რომელიც ორი წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობდა, სპეციალისტებმა რეიტინგი შეადგინეს, რომელშიც ყველა კონტინენტის 187 სახელმწიფო შევიდა. ჩამონათვალისთვის მეცნიერებმა შეაფასეს ამ ქვეყნებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა. ცალ-ცალკე შეფასდა ქალებისა და კაცების ჯანმრთელობის მდგომარეობაც. როგორც აღმოჩნდა, უკვე ტრადიციულად, ორივე ჯგუფში პირველი ადგილი კვლავ იაპონიამ დაიკავა. მეორეზე სინგაპურელი მამაკაცები გავიდნენ, მესამეზე კი — შვეიცარიელები. პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე, ესპანელი და იტალიელი მამაკაცები, ავსტრალიელები, კანადელები. აღმოჩნდა, რომ ასევე დიდხანს ცოცხლობენ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ანდორადან, ისრაელიდან და სამხრეთ კორეადან. სხვათა შორის, კორეელმა ქალებმა, კაცებისგან განსხვავებით, რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავეს. მესამეზე ესპანელი მანდილოსნები აღმოჩნდნენ. შემდეგ საფეხურზე კვლავ აზიელები — სინგაპურელი და ტაივანელი სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, ათეული კი შვეიცარიის, ანდორას, იტალიის, საფრანგეთისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა ქალბატონებმა შეავსეს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ყველაზე ცუდად აქვთ საქმე აფრიკელ კაცებს (კონგო, მოზამბიკი, ზიმბაბვე, მალავი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ლესოტო, სვაზილენდი, ჩადი, ბურკინა-ფასო). მკვლევართა ნამუშევარმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კაცებზე ორჯერ მეტხანს ცოცხლობენ. ასაკოვან ხალხში ყველაზე გავრცელებული დაავადებები გაფანტული სკლეროზი და ფსიქიკური გადახრები აღმოჩნდა.

კუჭის კიბოს გამომწვევი ბაქტერია აღმოაჩინეს

2005 წელს, ავსტრალიელ ექიმებს, ბარი მარშალსა და რობინ უორენს ნობელის პრემია გადაეცათ აღმოჩენისთვის, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ბაქტერია Helicobacter pylori-ის როლი ისეთი დაავადებების განვითარებაში, როგორიც არის გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. ამ აღმოჩენით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ გასტრიტისა და წყლულოვანი დაავადებების განკურნება იმავე ბაქტერიის განადგურებით შეიძლება, რაც კუჭსა და ნაწლავებში ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების გამომწვევია. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის პლანეტის მოსახლეობის ორი მესამედი სწორედ ამ „ნობელიანტი“ ბაქტერიის მატარებელია. ლიდერის პოზიციები კი აფრიკის ქვეყნებს უკავიათ. დაავადების მთავარი მიზეზი პირადი ჰიგიენის წესების დაუცველობა, გაურეცხავი პროდუქტებისა და დაბინძურებული წყლის მოხმარებაა. მიუხედავად ამისა, ადამიანების უმრავლესობა დაავადების ნიშნებს ვერ ამჩნევს, რადგან ბაქტერია დიდი ხნის განმავლობაში თავს არ ავლენს იმის გამო, რომ საკმაოდ სუსტი მიკროორგანიზმია. დაავადების განვითარება შესაბამის ფაქტორებთან ერთად იწყება. ეს არის კვების არასწორი რეჟიმი და რაციონი, მავნე ჩვევები, სტრესული სიტუაციები და სხვა. აშშ-სა და ევროპაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, პრაქტიკულად ყველა ავადმყოფი, ვისაც კუჭისა და თორმეტგოჯას წყლული ჰქონდა, ბაქტერია Helicobacter pylori-თი იყვნენ დაინფიცირებულნი. ჯანმრთელ ადამიანებში კი ეს ბაქტერია სამჯერ ნაკლებად ხვდებოდათ. გარდა ამისა, კუჭში დიდი ხნის განმავლობაში ამ ბაქტერიის არსებობამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ცვლილებები გამოიწვიოს, რასაც ატროფიულ გასტრიტამდე და კუჭის კიბომდე მივყავართ.

როდის არის მარილი მავნებელი?

მარილი, რასაკვირველია, საჭირო პროდუქტია, ის ჩვენს საკვებს უფრო გემრიელს ხდის, თუმცა ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით მისი მოხმარება საშიშია, გავლენას ახდენს გულის, სისხლძარღვების, ძვლების მდგომარეობაზე. მაგრამ მარილზე საერთოდ უარის თქმაც არ შეიძლება. თუნდაც იმიტომ, რომ ნატრიუმი ისევე აუცილებელია ორგანიზმისთვის, როგორც სხვა მიკროელემენტები. ის ფიზიოლოგიური სითხეების ბალანსის შენარჩუნებაში გვეხმარება, ასევე ხელს უწყობს კუნთებისა და ნერვების მუშაობას. უბრალოდ, არ უნდა მივეძალოთ ზოგიერთ საკვებს, სადაც დიდი რაოდენობით არის ნატრიუმი. მაგალითად, გაყინული სალათები. მართალია, მათი მომზადება ძალიან ადვილია და თანაც სასარგებლო ვიტამინებსა და მინერალებს ინარჩუნებს, მაგრამ მასში ჭარბი რაოდენობით არის ნატრიუმი. ასევეა ბოსტნეულის კონსერვები, მაგალითად, დაკონსერვებული სიმინდი. ასე რომ, სჯობს, მასზე საერთოდ უარი თქვათ. იგივე შეიძლება ითქვას ბოსტნეულის, კერძოდ, ტომატის წვენზეც, რომელიც მაღაზიებში იყიდება. წვენები სჯობს სახლში, თავად დაამზადოთ. გავრცელებული სოუსებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ნატრიუმი სოიოს სოუსშია. ასე რომ, მასთან ფრთხილად იყავით. და კიდევ, რა თქმა უნდა, თავი აარიდეთ ჩიფსებს, „სუხარიკებს“, მარილიან არაქისს — რაც ყველას ასე ძალიან უყვარს, მაგრამ ისინი ორგანიზმს ჭარბი რაოდენობით აწვდის ნატრიუმს.

სტუდენტებს ჯინსის ჩაცმა უფრძალეს

ინდოეთის ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტ გოგონებს, რომელთა ასაკიც 16-19 წელია, ხელმძღვანელობამ გაკვეთილებზე ჯინსით, მაისურითა და მოკლე კაბით სიარული აუკრძალა. ამ გზით რექტორატი ცდილობს, გოგონები თანატოლებისა და ასევე უფროსების მხრიდან სექსუალური ძალადობისგან დაიცვას. არდაშის კოლეჯის ადმინისტრაციის განცხადებით, სწორედ გოგონების გარეგნობა ახდენს გავლენას მათ მიმართ მამაკაცების დამოკიდებულებაზე. თავად სტუდენტები აცხადებენ, რომ ინდოეთში დასავლეთიდან შემოსული ნივთების აკრძალვით რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. სარის ტარება არავის აძლევს გარანტიას, რომ ის სექსუალური ძალადობის ობიექტი არ გახდება. აღსანიშნავია, რომ ინდოელი გოგონები ხშირად ხდებიან ამა თუ იმ აკრძალვის მსხვერპლნი. ასე მაგალითად, 2010 წელს, ერთ-ერთი სოფლის გასათხოვარ ქალიშვილებს მობილური ტელეფონების გამოყენება აუკრძალეს.

მოწყენილობა სტრესზე საშიშია

ესპანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ სამსახურში ადამიანის დაღლილობის მიზეზი არა მხოლოდ სტრესია. გაცილებით მეტად ისინი მოწყენილობისგან იტანჯებიან. სარაგოსას უნივერსიტეტის ფსიქიატრების თქმით, ყოველდღიურად ერთი და იგივე საქმის შესრულება თანამშრომლებს უფრო მეტად ღლის, ვიდრე ცაიტნოტური თუ სხვა სტრესული სიტუაცია. ამ დროს ადამიანი უფრო რთული და საინტერესო ამოცანების წინაშე დგება. გამუდმებულ მოწყენილობას კი აპათეამდე მიჰყავს. სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანი გამოკითხეს და გაარკვიეს, რომ სამსახურში მოწყენილობა ყველაზე მეტად აწუხებს მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებს. ერთფეროვნებისგან თავის დასაღწევად კი სწავლულები მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, ჰობით გატაცებას, მეგობრებთან ხშირ შეხვედრებსა და ახლობლებთან ურთიერთობას ურჩევენ.

გაზაფხულზე დაბადებულები ყველაზე წარმატებულები არიან

სწავლულთა მტკიცებით, დაბადების თარიღი გავლენას ახდენს კარიერაში წარმატებაზე. გარდა ამისა, ყველაზე მეტად წარმატების მიღწევის შანსი მარტში დაბადებულებს აქვთ. ამერიკელმა მეცნიერებმა 375 ადამიანის კარიერული ზრდის მსგავსი დამოკიდებულება შეისწავლეს. 17 წლის განმავლობაში, ყველა მათგანი იმ კომპანიების გენერალურ დირექტორებად მუშაობდა, რომლებიც S& 5000ის რიცხვში შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ამ საფონდო ინდექსით წარმოდგენილნი არიან ის კომპანიები, რომელთაც კაპიტალიზაციის ყველაზე მაღალი დონე აქვთ. როგორც აღმოჩნდა, დირექტორების უმრავლესობა გაზაფხულზე იყო დაბადებული. ივნისში დღეობას დირექტორების 6,13% აღნიშნავდა, ივლისში კი — 5,87%. აპრილში დაბადებული ხელმძღვანელების რიცხვი უფრო მაღალი იყო — 10,67%. წარმატებული ადამიანების ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია კი მარტში აღმოჩნდა დაბადებული — 12,53%. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ზაფხულში დაბადებულების ნაკლები წარმატება შესაძლოა, პირდაპირ უკავშირდებოდეს სკოლაში ასაკით გადანაწილებას.

საკუთარი გვარი გაყიდა

ფლორიდის შტატის მცხოვრებმა საკუთარი გვარი, სპეციალურ საიტზე 45 ათას დოლარად გაყიდა. ასე რომ, უახლოეს დღეებში ჯეისონ სენდლერის ახალი გვარი საიტის სახელწოდება **Headsets.com** იქნება. ეს ონლაინ-რესურსია, რომელზეც სხვადასხვაგვარი სატელეფონო მოწყობილობების ყიდვაა შესაძლებელი. სენდლერმა **Buymylastname.com** (იყიდე ჩემი გვარი) საიტი შექმნა, რომელზეც განათავსა კიდევ საკუთარი განცხადება. ის წერდა, რომ მზად იყო, ოფიციალურად უარი ეთქვა საკუთარ გვარზე და მას იმ სიტყვით ან სიტყვათა კრებულით შეცვლიდა, რაც რომელიმე პროდუქტის რეკლამას წარმოადგენს. აქვე მიუთითა, რომ არ აპირებს რაიმე შეურაცხმყოფელი, პოლიტიკური ან რელიგიური წინადადების განხილვას. ამ უჩვეულო წინადადებით რამდენიმე ფირმა დაინტერესდა, საბოლოოდ კი, აუქციონის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ სენდლერს 45 ათასი დოლარი გადაუხადეს, ერთი წლის განმავლობაში გვარად **Headsets.com** რომ ატაროს. ერთი წლის შემდეგ მას კვლავ შეეძლება გვარი კიდევ ერთხელ გაყიდოს.

ამერიკელები დაკრძალვის რეალითი-შოუს იხილავენ

ერთ-ერთმა ამერიკულმა საკაბელო არხმა TLC მუშაობა დაიწყო ახალ რეალითი-შოუზე „საუკეთესო დაკრძალვები“ (Best Funeral Ever). გადაცემის საპილოტო გამოშვება უკვე ჩაწერილია. გადაცემის ავტორები აცხადებენ, რომ დაკრძალვის ცერემონიაზე „პატარა მხიარულების“ შეტანას ეცდებიან. პროგრამის ყურადღების ცენტრში დამკრძალავი ბიუროს Golden Gate Funeral Home მუშაობა იქნება, რომელიც დალასში მდებარეობს. მაყურებელი პირდაპირ ეთერში ნახავს, კომპანიის თანამშრომლები და გარდაცვლილი ნათესავები როგორ დაგეგმავენ სამგლოვიარო ცერემონიას. როგორც პროგრამის ავტორები ამბობენ, დაკრძალვები ჩვეულებრივი კი არა, თემატური იქნება. თემას კი გარდაცვლილი ადამიანის ხასიათის, ჰობის, საქმიანობის მიხედვით შეარჩევენ. ეს კი მიცვალებულთან გამომშვიდობებას უფრო თბილ სახეს მისცემს. საპილოტო გამოშვებაში მაყურებელი დაკრძალვას საშობაო თემატიკით იხილავს — ირმებით, ელფებითა და თოვლით. გარდაცვლილთა ოჯახებს მათი ცხოვრების ყველაზე ცუდ მომენტში გავაბედნიერებთ, — დარწმუნებულია დამკრძალავი ბიუროს დირექტორი. პირველი გადაცემის ჩვენება ტელევიზიით საშობაოდ იგეგმება.

სუდოკუ

ადვილი

	4		3	9			7	
5	3	2						
	9		6					
			7	6		9		2
		9				4		
8		6		2	9			
					6		9	
						5	3	7
	2			3	5		6	

სტანდარტი

	6		5	3				
			4					2
					9	4		1
	9	4					7	
1		8				3		4
	3					8	9	
5		7	1					
9					2			
				4	7		1	

რთული

	3	5		9			6	
8								
	1		3		5			
		4		2	6			5
			5		4			
2			1	3		8		
			6		2		1	
								7
	8			4		3	2	

ექსპერტი

	2		9		5		7	
		7						
			3			2	1	9
	9						3	
		6	1		3	5		
	4						6	
8	1	9			4			
						7		
	3		2		8		4	

ჰოროსკოპი 20 დეკემბერი

ვერძი – ვერძებს დღეს სიფრთხილე მართებთ. შესაძლოა, წარსულში დაშვებული შეცდომა გამჟღავნდეს და ამას დიდი სკანდალი მოჰყვეს. დღეს დიდია კონფლიქტების ალბათობა. თუ მოთმინებას გამოიჩენთ, შეძლებთ მათ თავიდან არიდებას. დღის მეორე ნახევარი უფრო პოზიტიური იქნება, თუმცა სჯობს, ის ოჯახურ წრეში გაატაროთ.

კურო – ეს დღე შოპინგისთვის გამოიყენეთ. შესაძლოა, თქვენთვის საჭირო ნივთები დიდი ფასდაკლებითაც შეიძინოთ ან გახდეთ აქციის მონაწილე, რაც წარმატებას მოგიტანთ. კარგი დღეა ასევე მეგობრებთან ურთიერთობისთვის, მათთან ერთად სამოგზაუროდ წასვლისთვის.

ტყუპები – ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის პოზიტიური დღეა. სასიამოვნო სიურპრიზები და მოულოდნელი შეხვედრები გელით. მოსალოდნელია ასევე, ძვირადღირებული საჩუქრის ან დიდი ფულადი თანხის მიღება. კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრისთვის.

კირჩხიბი – ამ დღეს რატომღაც, სახლში ყოფნა გინდათ, მაგრამ უცებ ინტერიერის შეცვლის სურვილი გიჩნდებათ. ეს კი ოჯახში ყველას არ მოეწონება. ფრთხილად მიუდექით რადიკალურ ცვლილებებს. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრების დასაგეგმად ან მომავალ პარტნიორებთან არაფორმალური შეხვედრისთვის.

ლომი – ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები დღეს კარგ დასვენებას პირდებიან. ამიტომ შეეცადეთ, დღის მეორე ნახევარი სასიამოვნო ატმოსფეროში გაატაროთ. მეგობრებთან ერთად გასართობად ადით კლუბში ან დისკოთეკაზე, მხოლოდ სასმელს ერიდეთ. დიდია ძვირფასი საჩუქრის მიღების ალბათობაც.

ქალწული – დღეს ყველა საქმის გადადება მოგიწევთ, რადგან პირად ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. სჯობს, მთელი დღე საყვარელ ადამიანს დაუთმოთ, საღამოს კი დადებითი ემოციები არ მოგაკლდებათ. კარგი დღეა ასევე სამოგზაუროდ წასასვლელად.

სასწორი – სასწორებმა დღეს თავი შეიკავეთ ურთიერთობების გარკვევისგან. შეეცადეთ, კოლეგებთან ან ახლობლებთან კონფლიქტი დასაწყისშივე მოაგვაროთ, თუნდაც ამაში სხვისი დახმარება დაგჭირდეთ. შესაძლოა შეხვედრა ადამიანთან, ვინც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ დიდია ფულის დაკარგვის რისკი და სჯობს, ყურადღება მოიკრიბოთ.

ღრიანკალი – გირჩევთ, დღეს მთელი თქვენი გამბედაობა მოიკრიბოთ, რადგან შესაძლოა მნიშვნელოვანი მოვლენები როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში. ცოტა მოთმინებასაც თუ გამოიჩენთ, შეიძლება დიდი ფულადი მოგებაც მიიღოთ. ყველაფერში თამამი იყავით, რადგან მორიდება მხოლოდ ზიანს მოგიტანთ.

მშვილდოსანი – ნუ იქნებით ზედმეტად მფლანგველი. ვიდრე რამეს შეიძენთ, ჯერ კარგად დაფიქრდით, გეჭირდებათ თუ არა ესა თუ ის ნივთი. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმებისთვის. ყურადღება დაუთმეთ ოჯახის ნევრებსაც და საღამო მათთან ერთად, სასიამოვნოდ გაატარეთ.

თხის რქა – ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს წარმატება ელით ყველა ნამონყებში. ყველა საქმე ტრიუმფით დასრულდება. ეს დღე საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობასაც დაუთმეთ. დღის ბოლოს შესაძლოა პატარა კონფლიქტი, თუმცა მის თავიდან არიდებას შეძლებთ, თუ მცირეოდენ მოთმინებასა და ტაქტს გამოიჩენთ.

მერწყული – დღეს შესაძლებელია ერთი შეხედვით, სარფიანი ნინადადება მიიღოთ, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. რჩევისათვის მეგობრებსა და ახლობლებს მიმართეთ. ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს სიფრთხილე მანქანის საჯესთანაც გამოიჩინოთ, რადგან დიდია ტრავმების მიღების რისკი.

თევზები – ეს დღე თევზებმა ყველაზე ახლობელ ადამიანებთან გაატარეთ. გული ნუ დაგწყდებათ, თუ ხმაურიან ნვეულებაზე ვერ მოხვდებით. ამ გზით საფრთხის თავიდან აცილებაა შესაძლებელი, რომელზეც ვარსკვლავები გაფრთხილებენ. არ არის გამორიცხული, ოჯახის ნევრებისგან მოულოდნელად საჩუქარიც მიიღოთ.

ამინდის პროგნოზი

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+4	+7
ქუთაისი	+13	+16
ბათუმი	+18	+20
სოხუმი	+15	+18

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით